წელიწადი მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

კვირა, 1 ნოემბერი 1931 წ. № 252 (3207)

გავაძლიეროთ მანეთით კონტროლი

დღეიდან ძალაში შედის საკავშირო სახკომსაბჭოს 23 ივლისის დადგენილება დაკრედიტების ახალი წესის შესახებ. სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება და დანერგვა, ბრძოლა მრეწველობაში დაგროვების წყაროების შემდგომი გადიდებისა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის — ასეთია 23 ივლისის დადგენილების ძირითადი აზრი.

საკრედიტო რეფორმამ, რომელიც 1930 წლის მარტში ჩატარდა და რომელშიაც შემდეგ მთელი რიგი შესწორებები იქნა შეტანილი, მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საწარმოების სამეურნეო დამოუკიდებლობის გაძლიერების მხრივ და საგეგმო დავალებათა შესრულებაზე მანეთით ნამდვილი კონტროლის განხორციელების საქმეში. მაგრამ არსებულ საკრედიტო ურთიერთობას, ბანკის მიერ სამეურნეო ორგანოების და ფაბრიკა-ქარხნების დაფინანსებას თან ახლდა ზოგიერთი დეფექტები, რომლებმაც თავისი გამოხატულება „შიშველ გეგმების" მიხედვით კრედიტების გაცემაში, დაკრედიტების ავტომატიზმში და საკუთარი და ნასესხები თანხების გამოყენების გაუპიროვნებაში ჰპოვეს.

სახელმწიფო ბანკი — სამეურნეო ორგანიზაციებს კრედიტებს აძლევდა არა საგეგმო დავალებათა ფაქტიური შესრულების მიხედვით, არამედ წლის და კვარტალის დასაწყისში წარმოდგენილ საგეგმო ვარაუდების, „შიშველი გეგმების" საფუძველზე, აძლევდა გეგმის ფაქტიური შესრულების ყოველგვარი შემოწმების გარეშე, ავტომატიურად. ამიტომ ბანკი მანეთით კონტროლის გამწევ ორგანოს ნაცვლად უბრალო აღმასრულებელ ორგანოდ, კრედიტის ავტომატიურად გამცემ ორგანოდ იქცა. საკრედიტო სისტემის დეფექტს წარმოადგენდა სამეურნეო ორგანოების და საწარმოების ნაყოფიერი მუშაობის საფუძველზე მიღებულ თანხების და საშუალებების გამოყენების გაუპიროვნება. თუ რომელიმე საწარმო თავისი უკეთესი, მოქნილი მუშაობის გზით, მიაღწევდა გარკვეულ ფინანსიურ ეფექტს და სათანადო მოგებას მიიღებდა, ეს თანხა ბანკს მიქონდა და საერთო ფონდში რიცხავდა. საწარმოთა საბრუნავი საშუალებების გამოყენების ასეთმა გაუპიროვნებამ გამოიწვია სამეურნეო ორგანიზაციების მხრივ მუშაობის ფინანსიური შედეგებისადმი ინტერესის შესუსტება. მანეთით კონტროლის სუსტ მხარეს წარმოადგენდა აგრეთვე სამეურნეო ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმების უქონლობა. დაკრედიტების ახალმა წესმა ყოველივე ამას ბოლო უნდა მოუღოს.

საკ. სახკომსაბჭოს 23 ივლისის დადგენილების ძირითად მიზანს დაკრედიტების ავტომატიზმის და სახსრების გამოყენების გაუპიროვნების ლიკვიდაცია წარმოადგენს. დაკრედიტების ახალი წესის მიხედვით, დღეიდან ყოველი სამეურნეო ორგანიზაცია და საწარმო მიიღებს მისი სამოქმედო პროგრამის საფუძველზე გამომუშავებულ საკუთარ საბრუნავ თანხას, რომლის სწორად და მიზანშეწონილად გამოყენებაზე თვითვე იქნება სრული პასუხისმგებელი.

დღეიდან სამეურნეო ორგანიზაციებს ექნებათ თავიანთი საბრუნავი სახსრების თავისუფლად გამოყენების სრული შესაძლებლობა. მაგრამ მათ არასოდეს არ ექნებათ ამ სახსრების უყაირათოდ გამოყენების უფლება. სამეურნეო ორგანიზაციებისათვის საკუთარი სახსრების მიცემა —ეს ნიშნავს ამ თანხების გამოყენების ეფექტიანობაზე და მუშაობის შედეგებზე პასუხისმგებლობის გაზრდას, მუშაობის საფინანსო შედეგებით დაინტერესებას. ეს კარგად უნდა ახსოვდეს ჩვენ სამეურნეო მუშაკებს!

დღეიდან ბანკი გადადის მხოლოდ და მხოლოდ მიზნობრივი და ვადიანი კრედიტების გაცემის სისტემაზე. ამიტომ შესწყდება დაკრედიტების ავტომატიზმის ის ნაკადი, რომელმაც რამოდენიმე მილიონი დაუკარგა ჩვენს სახალხო მეურნეობას. სამეურნეო ორგანიზაციები ეხლა ბანკიდან კრედიტებს მიიღებენ გარკვეული მიზნით, გარკვეული ვადით და სრული მატერიალური უზრუნველყოფის საფუძველზე იმ პირობით, რომ ისინი სათანადო გამოყენების შემდეგ აუცილებლად უკან დააბრუნებენ ამ კრედიტს. ეს გარემოება უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს საბჭოთა სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებს, რომლებმაც უნდა მიაღწიონ საფინანსო-საკრედიტო დისციპლინის განმტკიცებაზე და სამეურნეო ხელშეკრულებათა შესრულებაზე ნამდვილი კონტროლის დაწესებას.

დაკრედიტების ახალ წესზე გადასასვლელად საჭირო მოსამზადებელი მუშაობა, რომელსაც სათავეში სახ. ბანკის ორგანოები უნდა ჩადგომოდენ, კერძოდ საქართველოში, სუსტად ჩატარდა. არ ყოფილა თავის დროზე ჩატარებული საბანკო სისტემის ყველა რგოლებში სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ნაციონალური რაიონები დღემდე მოკლებული არიან დაკრედიტების ახალ წესის შესახებ ლიტერატურას და სხვ. ნამდვილი მუშაობა დაკრედიტების ახალ წესზე გადასასვლელად მხოლოდ ოქტომბრის უკანასკნელ დღეებში დაიწყო. მასალები, რომლებსაც ჩვენ ვაქვეყნებდით და დღეს ვაქვეყნებთ, ამაზე გარკვევით ლაპარაკობენ. მთელი რიგი სამეურნეო ორგანიზაციები და საწარმოთა ხელმძღვანელნი დაკრედიტების ახალ წესზე გადასვლას დღემდე ფორმალურად ეკიდებიან. ამიტომ მათ ჩვენ უნდა მოვაგონოთ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკის და სახკომსაბჭოს კატეგორიული დირექტივა, რომ „ის სამეურნეო ორგანოები, რომლებიც არ მოემზადებიან დაკრედიტების ახალი წესისათვის, ვერ მიიღებენ კრედიტებს ბანკში და რომ პასუხისმგებლობა იმ სიძნელეებისათვის, რაც შეიქმნება საწარმოებში სამეურნეო ორგანოების უთადარიგობის და მოუმზადებლობის გამო დაეკისრება ამ უკანასკნელთა ხელმძღვანელებს".

დაკრედიტების ახალი წესი უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებაა. ამას პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან მისი მეოხებით უნდა მივაღწიოთ საბჭოთა მანეთით კონტროლის ნამდვილად განხორციელებას, საბრუნავი სახსრების მიზანშეწონილ დაგეგმიან გამოყენებას, საკუთარი და ნასესხები თანხების გამოყენების გაუპიროვნების მოსპობას, დაკრედიტების ავტომატიზმის სავსებით აღმოფხვრას, მუშაობის ფინანსიური შედეგებით სამეურნეო ორგანოების დაინტერესების გაძლიერებას და ამით მრეწველობაში დაგროვების წყაროების გადიდებას.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკა

მშვიდობიანობის და სხვა სახელმწიფოების დამოუკიდებლობის პატივისცემის პოლიტიკაა

(საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა)

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. ა.-წ. 28 ოქტომბერს იაპონიის ელჩმა ბატონმა ხიროტამ ინახულა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ლ. მ. კარახანი და იაპონიის მთავრობის დავალებით შემდეგი განუცხადა:

ბატონ ხიროტას განცხადება

იაპონია-ჩინეთის ინციდენტის წარმოშობის დროიდან ჩვენს შორის არ მომხდარა არავითარი ამბები, რომელთაც გავლენა მოეხდინათ ჩვენს ურთიერთობაზე, რაც დიდ ბედნიერებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ უკანასკნელ დროს მანჯურიაში დადის სხვადასხვა ხმები, რომლებიც ეხება სხვადასხვა გენერლების ან გენერალთა ჯგუფების ურთიერთობას. იაპონიის მთავრობამ, რომელსაც სასარგებლოდ მიაჩნია ჩვენი ურთიერთობისათვის, წინადადება მისცა ელჩს მოაწყოს საბჭოთა კავშირის მთავრობას ამის შესახებ მის განკარგულებაში არსებული ინფორმაცია. გენერალი მა (ციციკარის) სახალიდან გამგზავრების წინ, დაახლოვებით 12-13 ოქტომბერს ეთათბირა წითელი არმიის ოფიცერს, რომელიც ბლაგოვეშჩენსკიდან ჩავიდა. გენერალ მა-ს არმიაში იმყოფებიან საბჭოთა ინსტრუქტორები. გენერალი მა ამბობს, რომ არსებობს შეთანხმება, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირიდან ღებულობს სამხედრო აეროპლანებს, ზარბაზნებს და მფრინავებს. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დასავლეთ ხაზზე თავს იყრის საბარგო ვაგონები, რომელთაგან 300 ვაგონი სადგურ მანჯურიის რაიონშია. ხეილუნძიანის პროვინციის ჩინური ჯარი, რომელიც მდინარე ნანხოს ჩრდილოეთ ნაპირზე იმყოფება, ზარბაზნებს ღებულობს საბჭოთა კავშირიდან. ციციკარიდან საბოლოო პუნქტისაკენ - ტაონან-ციციკარის გზისაკენ მიმავალი მატარებლით გაიგზავნა ზარბაზნები, ყუმბარები და სამხედრო მასალა, რომელთაც ხეილუნძიანის ჯარი ღებულობს საბჭოთა კავშირიდან. გენერალ მა-ს განცხადებით საბჭოთა კავშირში, დაურის სადგურის მახლობლად, თავს იყრის საბჭოთა ჯარი 220-300 კაცის რაოდენობით. გარდა ამისა, იქ არის 600-700 საბარგო ვაგონი. არსებობს განზრახვა გაიგზავნოს ეს ჯარი მანჯურიაში. ამის შესახებ გენერალ მა-ს სიტყვებიდან ჩანდა, რომ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის დასაცავად საკმარისია ჩინეთის ჯარი, ამიტომ იგი ითხოულობდა ეს ჯარი დაურიდან გადაეყვანათ ქვეყნის შუა გულში. ამ ხმებს და ცნობებს გარდა, არსებობს სხვა ინფორმაციაც. ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ, სახელდობრ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ მანჯურიაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. ამის შესახებ ლაპარაკობენ შანხაიში, ხარბინში და სხვა ადგილებში. ამრიგად, არსებობს ბევრი ხმა და ცნობა, რომლებიც აღელვებენ იაპონიის საზოგადოებრივ აზრს და სამხედრო ხელისუფლებას მანჯურიაში. თუ ჯარი გაიგზავნა საბჭოთა კავშირიდან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, ეს გააუარესებს ატმოსფეროს და გაამწვავებს მდგომარეობას. იაპონიის მთავრობა იძულებული იქნებოდა მიეღო საჭირო ზომები თავისი რეზიდენტების დასაცავად და ტაონან-კოკოზი (ტაონან-ციციკარის გზა) დასაცავად, რომელიც აგებულია იაპონიის ფულით. ამრიგად (გამოტოვებულია) კონფლიქტის საფრთხე ფართოვდება.

29 ოქტომბერს ამხ. კარახანმა მიიწვია იაპონიის ელჩი ბატონი ხიროტა და საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით მას განუცხადა შემდეგი:

ამხ. კარახანის განცხადება

საბჭოთა კავშირის მთავრობას არ შეუძლია არ გამოსთქვას თავისი გაოცება იმ განცხადების გამო, რომელიც ა.-წ. 28 ოქტომბერს გააკეთა იაპონიის ელჩმა ბატონმა ხიროტამ იაპონიის მთავრობის სახელით და რომელიც ეყრდნობა მანჯურიის ეხლანდელ მდგომარეობის დროს პროვოკაციული ხმების გავრცელებით დაინტერესებულ იაპონური ან ჩინური წრეების უპასუხისმგებლო პირებისაგან გამომდინარე ყოვლად უსაფუძვლო ჭორებს და ხმებს. იაპონიის მთავრობას არ შეუძლია არ იცოდეს, რომ არავითარი საბჭოთა ინსტრუქტორები არ არიან ციციკარის ჯარში, ისევე როგორც არ არიან მანჯურიის სხვა რომელიმე პროვინციის ჯარში, რომ არავითარ იარაღს ან სამხედრო მასალას ეს ჯარი საბჭოთა კავშირიდან არ ღებულობდა და არ ღებულობს და რომ საბჭოთა კავშირი არავითარ დახმარებას არ უწევს არც ერთ მებრძოლ მხარეს მანჯურიაში. საბჭოთა კავშირის მთავრობა სასტიკად იცავს ჩაურევლობის პოლიტიკას არა იმიტომ, რომ ასეთი პოლიტიკა ვისმე მოეწონოს ან არ მოეწონოს, საკავშირო მთავრობა იცავს ჩაურევლობის პოლიტიკას იმიტომ, რომ იგი **პატივს სცემს ჩინეთის მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, პატივს სცემს სხვა სახელმწიფოების სუვერენულ უფლებებს და დამოუკიდებლობას** და თვლის, რომ სამხედრო ოკუპაციის პოლიტიკა, რომელიც ტარდება თუნდაც ეგრეთწოდებული დახმარების სახით, შეუთავსებელია საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობის პოლიტიკასთან და საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესებთან. საბჭოთა კავშირის მთავრობა გამოსთქვამს იმედს, რომ ეს პასუხი ამოსწურავს ყველა იმ საკითხებს, რომლებიც იყო აღძრული იაპონიის ელჩ ბატონ ხიროტას ა.-წ 28 ოქტომბრის განცხადებაში. (ადს).

თემთა პალატის არჩევნების შემდეგ

შუბლმაგრები მოითხოვენ „მტკიცე ხელის" პოლიტიკას

კონსერვატორებმა მიიღეს 11.867.697 ხმა

ლონდონი, 29 ოქტომბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 29 ოქტომბერს დილის 3 საათისათვის გამოირკვა, რომ კონსერვატორებმა მიიღეს 472 მანდატი, ნაციონალ-ლეიბორისტებმა—13, ლიბერალებმა—70 (აქედან 25 მანდატი მიიღეს საიმონის ჯგუფის მომხრეებმა), ლეიბორისტებმა — 50 და უპარტიოებმა— 5 მანდატი, სულ „ნაციონალური" მთავრობის მომხრეებმა მიიღეს 555 მანდატი.

კონსერვატორებმა მოიგეს 208 მანდატი, ნაციონალ - ლიბერალებმა — 13, ლიბერალებმა მოიგეს 26 მანდატი, დაჰკარგეს 12, ლეიბორისტებმა დაჰკარგეს 235 მანდატი, უპარტიოებმა დაჰკარგეს 3 მანდატი, მოიგეს 3 მანდატი.

მხოლოდ ხუთი საარჩევნო ოლქიდან არ მოსულა ჯერ ცნობები არჩევნების შედეგების შესახებ.

„ნაციონალური" მთავრობის მომხრეებისათვის მიცემულ ხმების საერთო რაოდენობა შეადგენს 14.240.937; კონსერვატორებმა მიიღეს 11.867.697 ხმა, ლეიბორისტებმა შეაგროვეს 6.611.167 ხმა.

სიგმის საარჩევნო ოლქში მაკდონალდმა მიიღო 28.9788 ხმა, ლეიბორისტული ოპოზიციის კანდიდატმა კოკსონმა 23.027 ხმა.

დასავლეთ ფაიფშირში ლეიბორისტების მიერ წამოყენებულმა სამთამადნო კავშირის პროფბიუროკრატებმა, კაბინეტის ყოფილი წევრი — ადამსონი დამარცხდა ადამსონმა შეაგროვა მხოლოდ 11.153 ხმა. კონსერვატორებმა კი მიიღეს 12.977 ხმა, ხოლო კომუნისტმა გალახერმა 66.928 ხმა.

სულ 26 საარჩევნო ოლქში კომპარტიის მიერ წამოყენებულმა კანდიდატებმა შეაგროვეს 74.824 ხმა, იმ დროს, როდესაც 1929 წლის არჩევნებში კომუნისტური პარტიის კანდიდატებმა 25 საარჩევნო ოლქში შეაგროვეს 60.622 ხმა. საგრძნობლად გაიზარდა კომპარტიის კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რიცხვი შემდეგ ოლქებში: დენდი, რონდე, ომრირა, ებერდინი, უაიტჩეპელი, ბეტნალ-გრინი და ატერკლიფი.

ლონდონი, 29 ოქტომბერი. უაიტჩეპელში ლიბერალების კანდიდატმა მიიღო 11.013 ხმა, ლეიბორისტებმა —9.864 ხმა, კომუნისტ დეპუტატმა პოლიტმა — 2.658 ხმა, მოსლის ახალი პარტიის კანდიდატმა —154 ხმა.

ჩრდილოეთ ებერდინში კონსერვატორების კანდიდატებმა მიიღო 22.931 ხმა, ვედჟვუდ ბენმა —8.953 ხმა, კომპარტიის კანდიდატმა ჰელენ კრაუფორდმა—3.980 ხმა.

ბოტველში კონსერვატორებმა მიიღო — 16.571 ხმა, ლეიბორისტებმა—14.423 ხმა და კომპარტიის კანდიდატმა მაკ კურტმა—2.163 ხმა.

გორბელსში ლეიბორისტმა მიიღო — 19.279 ხმა, კონსერვატორმა—11 264 ხმა. და კომპარტიის კანდიდატმა მაკშეინმა — 2.626 ხმა.

დასავლეთ რონდში ლეიბორისტმა მიიღო 23.024 ხმა და კომუნისტ ჯეიკ დევისმა— 4.296 ხმა.

აღმოსავლეთ რონდში ლეიბორისტმა მიიღო 22.086 ხმა, კომუნისტ ხორნერმა—10.359 ხმა (1929 წელში—5.789 ხმა) (ადს).

შუბლმაგრები მოითხოვენ „მტკიცე ხელის" პოლიტიკას.

ლონდონი, 30 ოქტომბერი. ინგლისის კონსერვატორული პრესა მოითხოვს შემოღებულ იქნას ინდოეთში „მტკიცე ხელის" პოლიტიკა (ადს).

პირველი მერცხალი

ლონდონი, 30 ოქტომბერი. მთავრობის პირველ აქტს არჩევნების შემდეგ წარმოადგენს ის, რომ მან სასტიკი მიწერილობა გაუგზავნა კუნძულ კვიპროსის გუბერნატორს —ყოველი ღონე იხმაროს აჯანყების ჩასაქრობად (ადს).

მაკდონალდი წინააღმდეგობას უწევს

ლონდონი, 30 ოქტომბერი. როგორც იუწყებიან, მაკდონალდი წინააღმდეგობას უწევს კონსერვატორების მისწრაფებას ხელთ იგდონ კაბინეტის ყველა თანამდებობანი (ადს).

საბჭოთა ვაჭრობის ძირითადი საკითხები

თითქმის ნახევარმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა პარტიის ცკ-ის, სახკომსაბჭოს და „ცენტროსოიუზ"-ის მიმართვა „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ". ამ დადგენილებაში, როგორც კოოპერაციის ძირითადი სნეულებანი, აღნიშნული იყო „მუშაობაში მოუქნელობა და ბიუროკრატიზმი მუშაობაში, რაც იწვევს საქონლის ბრუნვის გაყინვას, რის გამო ხშირად ხელოვნურად იქმნება საქონლის სიმცირე საქონლის ნაშთის საგრძნობ გადიდებასთან ერთად". „სამომხმარებლო კოოპერაცია,—აღნიშნული იყო მიმართვაში,—გაურბის სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს და საბჭოთა ვაჭრობის გაშლის ამოცანებს".

მიმართვამ დასვა სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის და მომარაგების სახალხო კომისარიატის ორგანოების წინაშე მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ამოცანები საბჭოთა ვაჭრობის და მუშათა მომარაგების გაუმჯობესების საქმეში.

განვლო 6 თვემ. მომარაგების სახალხო კომისარიატს და „ცენტროსოიუზ"-ს ჰქონდათ ყველა შესაძლებლობა, რომ შეესრულებინათ პარტიის დირექტივები საბჭოთა ვაჭრობის შესახებ. მსუბუქი ინდუსტრიის ზრდამ და სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის სწრაფმა ზრდამ უკვე მიმდინარე წელს საგრძნობლად გაადიდეს საქონელი და ფართო მოთხოვნილების საგნები.

შეასრულეს თუ არა მომარაგების სახალხო კომისარიატის და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემებმა პარტიის მაისის დირექტივები? სავაჭრო ორგანოებმა ამ უკანასკნელ დროს გაშალეს მუშაობა პარტიის დირექტივების ცხოვრებაში გატარებისათვის. რიცხვობრივად სავაჭრო ქსელი საგრძნობლად გაიზარდა: ამ ხნის განმავლობაში „ცენტროსოიუზ"-მა გახსნა 6.758 ახალი სავაჭრო ერთეული, მომარაგების სახკომმა—4.155. მაგრამ ეს რიცხვობრივი წარმატებები არ შეიძლება ჩაითვალოს საკმაოდ. სოციალისტური ინდუსტრია იზრდება სწრაფი ტემპებით—იზრდება ახალი მსხვილი სამრეწველო რაიონები, მაღაზიების რაოდენობა ამჟამად ვერ აკმაყოფილებს მუშათა მასების გაზრდილ მოთხოვნილებებს.

მაგრამ თუ სავაჭრო ქსელი საგრძნობლად გაიზარდა რიცხვობრივად, სამაგიეროდ ვაჭრობის ხარისხი აქამდე არ არის დამაკმაყოფილებელი, მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად გადიდდა საქონლის რაოდენობა, უკვე მიმდინარე წელში საქონლის ბრუნვა მოუწესრიგებელია და თავის დროზე არ აღწევს მუშა-მომხმარებლამდე და კოლმეურნემდე.

დღემდე კიდევ ადგილი აქვს დასაქონლებას და მთელ რიგ სხვა დეფექტებს რომლებიც გამოწვეულია პარტიის დირექტივების ბიუროკრატიული დამახინჯებით და მექანიკური განაწილების პრაქტიკას კვლავ აქვს ადგილი.

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან საბჭოთა ვაჭრობის გაშლას, ესაა კოოპერატიულ-სავაჭრო აპარატის მუშაკთა მნიშვნელოვანი ფენების უუნარობა გადავიდნენ საქონლის მექანიკური განაწილებიდან გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე და ნეპმანური სულის ნაშთი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ ეხლა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის უკანასკნელ ეტაპზე, როდესაც საბჭოთა კავშირი შევიდა სოციალიზმის პერიოდში, გაშლილი კოოპერატიული სახელმწიფო ვაჭრობა წარმოადგენს განაწილების ერთად ერთ ფორმას, რომელიც შეეფერება სოციალისტურ წარმოებას.

ოპორტუნისტები ცდილობენ დაუპირისპირონ საბჭოთა ვაჭრობა გეგმას და ეწვევიან „წმინდა ვაჭრობის" ბურჟუაზიულ გზაზე. ამ დაქანებამ პარტიული პოზიციებიდან ბურჟუაზიულ „წმინდა ვაჭრობის" გზაზე თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ფასების პოლიტიკის უხეშად დარღვევის და კომერციული ვაჭრობით გატაცების ფაქტებში, აგრეთვე დიდი მოგებისადმი გამოკიდებასა და მუშა-მომხმარებლის საჭიროებისათვის ანგარიშის გაუწევლობაში, კერძოდ, დამკვრელთა უპირატესობით მომარაგებაზე უარის თქმაში.

„ნეპმანური" სული არამც თუ არ არი ჯერ კიდევ აღმოფხვრილი, არამედ ამ უკანასკნელ ხანებში იგი ახალი ძალით იჩენს თავს კოოპერაციის სხვადასხვა რგოლებში. „ნეპმანური" სულის ახალი გამოხატულებას ასაბუთებენ... სამეურნეო ანგარიშის ინტერესებით. სავსებით ცხადია, რომ ნამდვილი სამეურნეო ანგარიში ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, კერძოდ საბჭოთა ვაჭრობაში, ეყრდნობა (გამოტოვებულია) პროლეტარულ ინტერესებს და ამა თუ იმ საწარმოს, ამა თუ იმ სამეურნეო და კოოპერატიული ერთეულის ხელმძღვანელთა მისწრაფებებს.

კოოპერატიული სისტემის ყველა რგოლებში სამეურნეო ანგარიშის დანერგვასთან ერთად საჭიროა ულმობელი ბრძოლა კოოპერატიული აპარატის იმ ოპორტუნისტების წინააღმდეგ, რომლებსაც სამეურნეო ანგარიშის ნაცვლად კოოპერაციის სისტემაში შეაქვთ „ნეპმანური" სული და „წმინდა ვაჭრობის" კაპიტალისტური მეთოდები.

მაღაზიების რაოდენობის შემდგომ ზრდასთან ერთად საჭიროა ვაჭრობის ისეთი უაღრესად დაკვრითი და მოქნილი ფორმების ფართოდ გაშლა, როგორიცაა საბჭოთა ბაზრები. სავსებით გამართლებულია ასეთი ბაზრების მუშაობის გამოცდილება, რომლებიც საბჭოთა კავშირში ჯერ-ჯერობით რამდენიმე ათეულია.

ამჟამად საბჭოთა ვაჭრობას ანმტკიცებენ საბჭოთა მეურნეობების გაერთიანებანი, ცალკე საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და მუშებით დასახლებულ პუნქტებში აწყობენ სავაჭრო წერტებს სახელმწიფოს მიმართ თავიანთ ვალდებულებათა მთლიანად შესრულების შემდეგ დარჩენილ საქონლის გასასყიდათ.

მუშათა კლასის კეთილდღეობის განუწყვეტლივ გაუმჯობესება (უმუშევრობის სრული ლიკვიდაცია, ოჯახის მომუშავე წევრთა რიცხვის გადიდება, სამუშაო ხელფასის ზრდა) სულ უფრო და უფრო დიდ მოთხოვნას უყენებს სავაჭრო აპარატს. ყველა სამეურნეო, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების მხრით, პირველ რიგში მუშათა მომარაგების და საბჭოთა ვაჭრობის ორგანოების მხრით, საჭიროა ენერგიული მუშაობა საქონლის დამატებითი რესურსების მობილიზაციისათვის.

აქ ჩვენ გვაქვს დიდი შესაძლებლობანი, უმთავრესად ორი ხაზით. ერთი მხრით ესაა — მებოსტნეობის, მეღორეობის და სხვა მეურნეობათა მოწყობა ფაბრიკა-ქარხნებთან, მეორე მხრით — ადგილობრივი დამზადება. გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას მთელ რიგ ორგანიზაციების სხვის ხარჯზე ყოფნისა „სოციზრუნველყოფის" განწყობილება: ჩვენ ზევიდან, „ცენტრიდან" ყველაფერს მოგვეცემო.

ამ ორი გზით უნდა წარიმართოს სამეურნეო, კოოპერატიულ, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების მუშაობა.

საბჭოთა ვაჭრობის გაუმჯობესებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი კვების და პურის ცხობის საკითხი.

საზოგადოებრივი კვების და საზოგადოებრივი პურის ცხობის საჭიროებამ წინ გაუსწრო ამ საწარმოთა სწრაფ ზრდას. ყველა პარტიულ, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, მთავარ საბრძოლო ამოცანად დაეკისრა საზოგადოებრივი კვების მექანიზებულ საწარმოთა და პურის ქარხნების მშენებლობა. 1933 წელს საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრებში მექანიზებულმა პურის ქარხნებმა სავსებით უნდა შესცვალონ პურის საშინაო ხელით გამოცხობა.

კოოპერატიულის სავაჭრო ქსელის, მომარაგების სახალხო კომისარიატის, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მუშაობაში საზოგადოებრივი კვებისა და პურის ცხობის ხაზით მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საქონლის ხარისხის პრობლემას. ბოლშევიკური პირდაპირობით უნდა ითქვას, რომ ამჟამად მუშა-მომხმარებლის და კოლმეურნისადმი დამოკიდებულების ოპორტუნისტული ფორმულა — „ჭამე, რაც შეგხვდეს" — ყველგან არ არის აღმოფხვრილი. როგორია ამჟამად სავაჭრო ქსელის კადრები? ცენტრალური კომიტეტის, სახკომსაბჭოს და „ცენტროსოიუზ"-ის მაისის მიმართვის შემდეგ კოოპერაციაში სამუშაოდ გაწვეულ რამდენიმე ათასმა კომუნისტმა უეჭველად გადაახალისა კოოპერაციის ხელმძღვანელი ცენტრალური, საოლქო და სარაიონო აპარატი. მაგრამ ეს ამხანაგები კოოპერაციის მუშაობაში ჯერ კიდევ არ ასრულებენ გადამწყვეტ როლს. ამის მიზეზს წარმოადგენს მათ მიერ კოოპერატიული მუშაობის ტექნიკის და სპეციფიკაციის სუსტად დაუფლება.

კიდევ უფრო ცუდათ არის საბჭოთა ვაჭრობის ქვედა საფეხურის რგოლის საქმე, ლაპარაკია სავაჭრო ერთეულის (მაღაზია, საწყობი), ხელმძღვანელზე და დახლის მუშაკზე. სავაჭრო ქსელის მუშაკებს შორის ძალიან დიდია ყოფილი ვაჭრების, კულაკების და სხ. პროცენტი. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო მუშაკების ახალი კადრების მომზადებას, ძველი კადრების აღზრდას და მტრული ელემენტების გაძევებას.

ბოლო უნდა მოეღოს ჯერ კიდევ არსებულ უბადრუკ ოპორტუნისტულ „თეორიას", თითქოს კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებში შეიძლება მუშაობა საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკის დაუფლების გარეშე. საბჭოთა ვაჭრობას, როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობის ყოველ დარგს, სჭირდება მაღალი კვალიფიკაციის მუშაკები, რომლებიც ბოლშევიკურად დაეუფლებიან საქმის ტექნიკას. საბჭ. ვაჭრობის ტექნიკის დაუფლება — ასეთია ამჟამად კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის ყველა მუშაკთა, კერძოდ პარტიის მიერ ამ დარგში ხელმძღვანელ სამუშაოზე გაგზავნილი რამდენიმე ათასი კომუნისტის მთავარი საბრძოლო ამოცანა. ამისათვის საჭიროა მოკლე ხანში გავშალოთ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების, საშუალო სკოლების და კურსების ქსელის გაშლა, რომლებიც მოამზადებენ დახლის კულტურულ საბჭოთა მუშაკებს, საქონლის მცოდნეებს და სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ხელმძღვანელ შემადგენლობას.

„სამომხმარებლო კოოპერაციის გარდაქმნის საკითხი უნდა გადაიქცეს მთავარ საკითხად პარტორგანიზაციების მუშაობაში ინდუსტრიალიზაციის საკითხებთან ერთად. ასეთია პარტიის დირექტივა. მხოლოდ ამ დირექტივის შესრულებით, მხოლოდ მუშათა მომარაგების საკითხების პარტიულ ორგანიზაციათა ყურადღების ცენტრში მოქცევით, მხოლოდ ადგილობრივი პარტორგანიზაციების მიერ საბჭოთა ვაჭრობის სისტემის ხელმძღვანელობის გაძლიერებით მოვიპოვებთ გადამწყვეტ წარმატებას სოციალისტური მშენებლობის ამ უმნიშვნელოვანეს ფრონტზე.

„პრავდა", 31 ოქტომბერი.

ოქტომბრის რევოლუციის 14 წლისთავს

შევხვდეთ ახალი გამარჯვებებით ბამბის აკრეფა-ჩაბარების საქმეში

ბამბა

დაიძრენ ბამბის ახალი წითელი ქარავნები

ყარაია, 31 ოქტომბერი (სპეც. კორ.) 30 ოქტომბერს ყარაიას რაიონის ყველა კუთხიდან მიმღებ პუნქტებს მოადგნენ ბამბის ახალი წითელი ქარავნები.

წითელი ქარავნები მოვიდნენ სოფ. ჯაანლალადან, კატინოვკიდან, ქოსალოვიდან, ნაზაროვიდან, ნოვოულიანოვკიდან და სოფ. კორაფადან.

ყარაიას პარტრაიკომის შენობასთან, წითელი ქარავნების მოსვლისთანავე, გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა ბამბის აკრეფის რაიონულ შტაბის თავმჯდომარემ ხოჯაევმა. სიტყვებით გამოვიდნენ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

მიტინგზე გამოსულ კოლმეურნეებმა სიტყვა მისცეს პარტიის და ხელისუფლების სადირექტივო ორგანოებს, რომ ბამბის აკრეფის დარგში მოცემულ წლიურ დავალებას ისინი 20 ნოემბრამდე შეასრულებენ.

ნოე კიკნაძე.

ჯილდო საუკეთესო მკრეფავებს

(ალაზანი, მეოთხე ხუტორი)

ბამბის საბჭოთა მეურნეობა „ალაზანი"-ს მეოთხე ხუტორში ამ ბოლო ხანებში ფართოდ გაიშალა სოცშეჯიბრება და დამკვრელობა; ამან კიდევ უფრო გააცხოველა ბამბის კრეფის საქმე. მინიმუმამდე შემცირდა სიმულიაცია და უდისციპლინობა, რის შედეგად საგრძნობი გარდატეხა მოხდა კრეფის საქმეში. თუ 20 ოქტომბერს ბამბის კრეფა კაც-დღეზე საშუალოდ უდრიდა 16,1 კილოს 23 ოქტომბრისათვის ეს მაჩვენებლები გადიდებული იქნა 23,6 კილომდე. მეხუთე ხუტორში 23 ოქტომბერს პირველად მოხდა ინდივიდუალური შეჯიბრების შემოწმება. აღმოჩნდა, რომ 21-23 ოქტომბერში თითო შრომა - დღეში დამკვრელ კომკავშირელებმა: შუპაკიძე დათიკომ, აკრიფა 42 კილო ბამბა, კუტალიშვილმა 41 კილო, მარტიროსოვმა, ფოჩხიძემ, ხალიევმა და კაჰმაზაროვმა თითომ დაკრიფა 34 კილო.

ზემოაღნიშნული დამკვრელები ბამბისათვის ბრძოლის ფრონტზე დავალებების პირნათლად შესრულებისათვის დაჯილდოებული იქნენ.

ი. შ.

მოგვეცით ვაგონები დამზადებული ბამბის გადასაზიდავად

(წერილი ალაზნის ველიდან)

ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ბამბის კრეფის გეგმის შესასრულებლად; მეურნეობის პარტიული ადმინისტრატიული და პროფორგ. მუშაობა მიმართულია გეგმის მთლიანად და დროზე შესრულებისაკენ. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს არა ნაკლები ყურადღების ღირსია დაკრეფილი ბამბის დანიშნულებისამებრ გადაზიდვის საქმე.

აშკარად უნდა ითქვას, რომ მუშაობის ამ მხარეს სათანადო ორგანიზაციების მიერ ნაკლები ყურადღება ექცევა. საბჭოთა მეურნეობიდან წნორის-წყლის რკინის გზის სადგურამდე ბამბის გადაზიდვა ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს, რაც აშკარა საშიშროების წინაშე აყენებს დაკრეფილ ბამბას: მარტო მეოთხე ხუტორში 24 ოქტომბრამდე დაგროვდა და ცის ქვეშ ეყარა 502 ბარდანა, ანუ 60240 კილო ბამბა. ასეთივე მდგომარეობაა დანარჩენ ხუტორებშიც. გარდა იმისა, რომ წვიმიან ამინდებში შეუძლებელია დაკრეფილი ბამბის გაფუჭებისაგან დაცვა, აგრეთვე ცოტა ატალახების შემდეგ შეუძლებელი გახდება მისი გადაზიდვა რკინის გზის სადგურამდე.

მთავარი მიზეზი ბამბის დიდ რაოდენობით დაგროვებისა არის წნორის-წყლის რკინის გზის სადგური, რომელიც არ იძლევა საკმაო ვაგონებს ბამბის დანიშნულებამდე გადასაზიდათ, საჭიროა ამ უკანასკნელმა მოაგვაროს ვაგონების საკმაო რაოდენობით მიღების საქმე, რომ „სოიუზტრანსი"-ის და თვით მეურნეობის საკუთარი ტრანსპორტით შესაძლებელი გახდეს 10 დღეში ალაზნის ველზე დაგროვილი ბამბის გადაზიდვა სადგურამდე. დრო არ ითმენს. საჭიროა ენერგიული ზომები ბამბის დანიშნულებამდე გადაზიდვისათვის.

მოხევე.

ყარაია, კოლმეურნე ქალი ფიზა უსუბოვა, რომელიც დღეში კრეფს 10 კილოგრამ ბამბას

შესყიდულია 4497 ტონა ბამბა

ამ. - კავ. მებამბეთა კომიტეტის ცნობით, 30 ოქტომბრისათვის ამ. კავ. ფედერაციის სამივე რესპუბლიკაში (საბჭოთა მეურნეობების გარდა) შესყიდული იყო 76.352 ტონა ბამბა, ანუ გეგმის —39,7 პროცენტი.

რესპუბლიკების მიხედვით ბამბა შესყიდულია: **აზერბეიჯანში**—67230 ტონა (გეგმის —42,8 პროც.), **სომხეთში** 4625 ტონა (გეგმის —18 პროც.) და **საქართველოში** —4497 ტონა, რაც შეადგენს —47,8 პროცენტს.

საქართველოში რაიონების მიხედვით ბამბა შესყიდულია:

	ტონა	პროც.
ბორჩალოს რაიონი	2654	46,3
ლიუქსემბურგის	66	28,7
ყარაიას	1291	58,7
სიღნაღის	108	13,2
გარე-კახეთის	26	31,7
გურჯაანის	352	105,1

გურჯაანის რაიონი წარმატებით ასრულებს, როგორც ბამბის აკრეფის, ისე დამზადების გეგმასაც. საჭიროა ამ რაიონის გამოცდილება და პრაქტიკა გადატანილი იქნას ჩამორჩენილ რაიონებში.

—ი.

ბამბის აკრეფა 30 ოქტომბრისათვის

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

30 ოქტომბრისათვის საქართველოს მებამბეობის ყველა რაიონებში აკრეფილი იყო 57.090 ცენტნერი ბამბა, რაც შეადგენს წლიური გეგმის 41,6 პროცენტს.

სექტორების მიხედვით ბამბა აკრეფილია: კოლმეურნეობებში—24414 ცენტ. (გეგმის —46,1 პროც.), ინდივიდუალურ მეურნეობებში 20721 ცენ. (გეგმის—54,4 პროც.), კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებში—1751 ცენ. (მტკიცე დავალების—39,7 პროც.), საბჭოთა მეურნეობებში აკრეფილია 10.204 ცენტ., ანუ გეგმის 24,6 პროცენტი.

კულაკური და შეძლებული მეურნეობები ბამბის აკრეფის საქმეში კვლავ ჯიუტობას იჩენენ, ადგილობრივი ორგანიზაციები ამ მდგომარეობას გულდამშვიდებით უყურებენ. არ სწარმოებს გადამწყვეტი ბრძოლა კულაკურ მეურნეობების წინააღმდეგ უმთავრესად ბორჩალოს და სიღნაღის რაიონებში, სადაც მტკიცე დავალების შესრულება არ აღემატება 36 პროცენტს,—ეს იმ დროს, როდესაც იმავე რაიონებში, კოლმეურნეობებს აკრეფილი აქვთ გეგმის 42 პროცენტამდე, ღარიბ და საშუალო გლეხებს კი—48 პროცენტამდე.

კულაკობა უნდა ვაიძულოთ დაუყოვნებლივ, დაწესებულ ვადებში მთლიანად შეასრულონ მტკიცე დავალებები. კულაკებისადმი ყოველგვარ ოპორტუნისტულ შემარიგებლობას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ.

რაიონების მიხედვით ბამბის აკრეფა ასეთ სურათს გვიხატავს:

რაიონები	ცენტ.	%%
ბორჩალოს	25.451	41,6
ყარაიას	13.460	60,3
სიღნაღის	11.240	25,7
გარე-კახეთის	261	31,8
ლიუქსემბურგის	1.313	72,9
გურჯაანის	3.510	107,8
ქუთაისის	550	76,4
სამტრედიის	386	75,7
მარტვილის	136	21,3
ვანის	783	40,6

ამრიგად ბამბის აკრეფის ტემპები ბორჩალოს, სიღნაღის გარე-კახეთის, ვანის და მარტვილის რაიონებში კვლავ სრულიად არადამაკმაყოფილებელია. **წინ მიდის გურჯაანის რაიონი**, რომელმაც წლიურ გეგმას 7,8 პროცენტით გადააჭარბა.

ადგილობრივი ორგანიზაციების მთელი ყურადღება მიქცეული უნდა იქნას ბამბის აკრეფა-ჩაბარების ჩამორჩენილ ფრონტის დაუყოვნებლივ გამოსწორებისაკენ.

ყარაია. პიონერი კოლმეურნე. რომელიც დღეში 16 კილო ბამბას კრეფავს

ბამბა ჩააბარეს, ფულის მიღებას ვერ ეღირსნენ

(გარე-კახეთის რაიონი)

გარე-კახეთის კოლმეურნეობანი აკრეფილ ბამბას აბარებენ ბადიაურის შემსყიდველ პუნქტს; ჩაბარებულ ბამბის რაოდენობის შესახებ პუნქტი აძლევს ქვითრებს გურჯაანის ბანკიდან ფულის მისაღებათ. ცხადდებიან კოლმეურნენი გურჯაანში, სადაც უთითებენ საგარეჯოს ბანკზე, საგარეჯოს ბანკში—კი ვერავითარ დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ აძლევენ. „ჩვენ თქვენ შესახებ არაფერი ვიცითო"—ასე ისტუმრებენ დღევანდლამდე გარე-კახეთის მებამბე კოლმეურნეებს.

საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება ამ უთავბოლობის სასწრაფოდ აღმოსაფხვრელად.

გარეჯელი.

ამხ. ლიტვინოვის დარბაზობა

თურქეთის პრემიერი ისმეტ-ფაშასთან

ანკარა, 29 ოქტ. ანატოლიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, 28 ოქტომბერს თურქეთის პრემიერმა ისმეტ-ფაშამ ამხ ლიტვინოვის პატივისაცემად გამართა დარბაზობა. დარბაზობაზე ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის (თურქეთში) ამხ. სურიცის და თურქეთის ელჩის (მოსკოვში) ჰუსეინ რაგიბ-ბეის თანადასწრებით ამხ. ლიტვინოვმა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტევფიკ რუშდი ბეიმ გაუზიარეს ერთმანეთს თავიანთი აზრები საგარეო პოლიტიკის იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც საინტერესოა ორივე მხარისათვის გამოირკვა სრული თანხმობა საერთაშორისო მდგომარეობის და ორივე ქვეყნის სათანადო პოლიტიკური ხაზის შეფასებაში.

საღამოთი ამხ. ლიტვინოვი 3 საათის განმავლობაში ესაუბრა პრემიერს (ადს).

ამხ. ლიტვინოვის გამგზავრება მოსკოვიდან

საბჭოთა კავშირში

— ჟენევაში გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია.
— მძლავრი ორთქლმავლის დამზადება 70 დღის განმავლობაში.
— მზადდება ჰიდრო-გენერატორები „დნეპრო - სტროი"-სათვის.

საბჭოთა დელეგაციის გამგზავრება ჟენევაში

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. ჟენევაში გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის ინიციატივით შეტანილ ეკონომიური თავდაუსხმელობის პაქტის შემსწავლელ სპეციალური კომისიის სესიაში.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან დელეგატი გ. ი. სოკოლნიკოვი და ექსპერტები ბ. ე. შტეინი და ბ. დ. როზენბლუმი.

ამხ. მოლოტოვის მისალსალმებელი სიტყვა

გვალვასთან ბრძოლის საკითხებზე შემდგარ კონფერენციაზე

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. 30 ოქტომბერს გვალვასთან ბრძოლის საკითხებზე გამართულ საკავშირო კონფერენციის დილის სხდომაზე საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს სახელით მისალმა სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. მოლოტოვი, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ (ადს).

უდიდესი გამარჯვება მძლავრი ორთქლმავლების მშენებლობაში

ხარკოვი, 30 ოქტომბერი. უკრაინის ცაკის თავმჯდომარის ამხ. პეტროვსკის და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ჩუბარის სახელზე ლუგანსკიდან მიღებულია დეპეშა რკინის გზის ტრანსპორტის სოციალისტური რეკონსტრუქციის შესახებ. ამ დეპეშაში, რომელიც გამოგზავნილია ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ქარხნის ბოლშევიკების კოლექტივის მიერ ნათქვამია:

ქარხნის მუშათა კოლექტივმა დაკვრითი მუშაობით დაამთავრა პირველი საბჭოთა მძლავრი ორთქლმავლის „5—1"-ს გამოშვება. ორთქლმავლის გამოშვება ბრწყინვალე გამარჯვებაა მძლავრი ორთქლმავლების მშენებლობის და ტრანსპორტის სოციალისტური რეკონსტრუქციის ფრონტზე. მუშაობის ბოლშევიკური ტემპებით ქარხნის მუშებმა გაუსწრეს ტექნიკურად მოწინავე ქვეყანას — ამერიკას. ორთქლმავალი დამზადდა 70 დღის განმავლობაში, მაშინ, როცა ამერიკაში მისი აყვავების დროს ასეთი ტიპის ორთქლმავალი მზადდებოდა 5 თვის განმავლობაში. ამჟამად ქარხანაში გაიშალა ენერგიული მუშაობა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის სამრეწველო - საფინანსო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. 1931 წლის 2 ნოემბერს ქვა-ნახშირით დატვირთული ორთქლმავალი ლუგანის მუშების დელეგაციით ჩავა ხარკოვში. ორთქლმავალს უწოდეს ლე- [redacted] ამხ. ძერჟინსკის სახელი (ადს).

ჰიდრო-გენერატორები „დნეპროსტროი"-სათვის

ლენინგრადი, 29 ოქტომბერი. „ელექტროსილა"-ში გაიშალა მზადება „დნეპროსტროი"-ს პირველი ორი ჰიდრო-გენერატორის აწყობისათვის. თითეულ ჰიდრო გენერატორის ძალოვნება უდრის 62 ათას კილოვატ საათს. თავიანთი ზომის მიხედვით აღნიშნული გენერატორები უდიდესი არიან მთელ მსოფლიოში. პირველი ტურბოგენერატორის აწყობა ძირითადად დამთავრებული იქნება ნოემბერში იმ ანგარიშით, რომ 1932 წლის დასაწყისიდან იგი გადაეცეს „დნეპროსტროი"-ს (ადს).

1.500 ავტოსანთელი დამზადებულია ვადაზე ადრე

მოსკოვი, 29 ოქტომბერი. სახკომსაბჭოს—ამხ. მოლოტოვს. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—ამხ. ორჯონიკიძეს, —ავტოსანთლების საცდელი პარტია—1.500 ცალი დამზადებულია ვადაზე ადრე, მიღებულია ყველა ზომები წარმოების სრული დატვირთვით ასამუშავებლად ისეთი ტემპების გაშლით, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ს. მ. უ. საბჭოს წლიური დავალების შესრულებას 1932 წლისათვის (ადს).

მოჭადრაკეთა საკავშირო ტურნირი

მეხუთე ტური

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. მეხუთე ტურში ლისიცინმა წააგო სოროკინთან, კასპარიანმა კირილოვთან, რაუზერმა ქენევსკისთან, ზამიხოვსკიმ ალატორცევთან, ვერლინსკიმ კანთან, მაზელმა იუდოვიჩთან; გოგლიძე-რიუმინის, ბოტვინიკ-ბუდოს პარტიები ყაიმით დამთავრდა; ბოგატირჩუკ-სოზინის პარტია გადაიდო.

მეექვსე ტური

მოსკოვი, 31 ოქტომბერი. მეექვსე ტურში ლისიცინმა წააგო კასპარიანთან, კირილოვმა გოგლიძესთან, სოროკინმა ქენევსკისთან, ალატორცევმა ბოგატირჩუკთან, მაზელმა ბოტვინიკთან, ბუდომ რიუმინთან, კან-რაუზერის, სოზინ-იუდოვიჩის, ვერლინსკი - ზამიხოვსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ვ. გოგლიძე.

„ხვალ ნიუ-იორკში დაიდგმება ლენინის ძეგლი"

ბერნარდ შოუს ახალი სიტყვა

„იზვესტია"-ს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება: ამ რამოდენიმე ხნის წინათ ბერნარდ შოუმ რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა დანიშნული ამერიკელ მსმენელებისათვის, რომელიც უმთავრესად შეეხებოდა საბჭოთა კავშირის შედარებას კაპიტალისტურ მსოფლიოსთან. მეტად დამახასიათებელია, რომ არც ერთმა ინგლისურმა გაზეთმა ნაწყვეტიც კი არ მოათავსა ამ სიტყვიდან და მხოლოდ ეხლა იქმნება შესაძლებლობა მკითხველებს გავაცნოთ ეს სიტყვა.

ბერნარდ შოუ

—:—

თავის სიტყვაში შოუმ სთქვა:

„ალლო, ამერიკა! ალლო, თბილო ბიჭებო, რომლებიც ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ ლაპარაკობდით, რომ მე სრულიად გამარეტიანა ჩემმა მოგზაურობამ საბჭოთა კავშირში. რა გაეწყობა, თუ უკანასკნელი ცნობები ამერიკიდან სიმართლეს შეეფერება, საიჩვეა, რომ თქვენ ახლაც იგივე გაიმეოროთ. რუსეთმა ჩვენ ახლა სასაცილოდ უნდა აგვიღოთ. მან ხომ ჩვენ სულელურ მდგომარეობაში ჩაგვაყენა, დაგვამარცხა, შეგვარცხვინა, ამოგვაგდო კალაპოტიდან და თითქმის — რიგებიდან. ჩვენ ჭკუას ვასწავლით მას ჩვენი მორალური უპირატესობის მწვერვალიდან, ახლა კი ჩვენ ბუჩქებში ვიმალებით, რომ დავმალოთ სირცხვილის სიწითლე, რომელიც იწვის ჩვენს სახეზე მის გვერდით ყოფნის დროს. ჩვენ ვამაყობდით თავისი ხელოვნებით მსხვილი კომერციული საქმეების დარგში და მით, რომ ეს საქმეები აგებულია ადამიანის ბუნების მტკიცე ცოდნაზე. მაგრამ ეხლა ჩვენ ბანკროტები აღმოვჩნდით. თქვენ პრეზიდენტს, რომელმაც სახელი მოიხვეჭა იმით, რომ კვებავდა მსოფლიო ომის შედეგად განადგურებული ევროპის მილიონ დამშეულ მცხოვრებთ, ეხლა არ ძალუძს გამოკვებოს თავისი საკუთარი ხალხი მშვიდობიან ხანაში. ჩვენი ბანკირების სასოწარკვეთილი მოთქმა ხმამაღალ გამოძახილად გაისმა მთელს მსოფლიოში, გამოიწვია მეანაბრეთა შეტევა ინგლისის ბანკზე და გააკოტრა იგი. ჩვენი ბიუჯეტის დეფიციტი უდრის 850 მილიონ დოლარს, თქვენი ბიუჯეტისა კი — 1500 მილიონ დოლარს. ჩვენი საქმის ხალხს არ ძალუძს სამუშაო მისცეს სამ მილიონ მუშას, თქვენებმა კი ქუჩაში გაჰყარეს ორჯერ მეტი ხალხი. როგორც ჩვენს, ისე თქვენ სახელმწიფო მოღვაწეებს ვერ უპოვიათ ვერავითარი გამოსავალი, მათ შეუძლიათ მხოლოდ თავის ქალა გაუტეხონ დამშეულ ხალხს ან მოისყიდონ ისინი საქველმოქმედო ნასუფრალით. ჩვენი სასოფლო მეურნეობა გაპარტახებულია, ჩვენი მრეწველობა კრახს განიცდის საკუთარი საწარმოო შესაძლებლობათა ზეგავლენით, ვინაიდან ჩვენ არ ვიცით თუ როგორ გავანაწილოთ ჩვენი სიმდიდრე. იმ დროს, როდესაც ჩვენში მეფობს საქმიანი უნიჭობა, პოლიტიკური უსუსურობა და ფინანსიური გაკოტრება, რუსეთს შეუძლია დაიტრაბახოს 750 მილიონიანი საბიუჯეტო მონარჩენით, მისი მოსახლეობა უკანასკნელ კაცამდე ჩაბმულია მუშაობაში მისი სასოფლო მეურნეობა, აგებული მეცნიერულ საფუძვლებზე, ადიდებს მოსავლის რაოდენობას, მისი ფაბრიკა - ქარხნები იზრდება, მრავლდება და ივსება მუშაობის ხმაურით, მისი ხელმძღვანელობა ნაყოფიერია და მასში ბატონობს დღემდე უხილავი იმედისა და რწმენის ატმოსფერა.

1914 წელს ჩვენმა იმპერიალისტებმა ჩაგვითრიეს ომში. თქვენ შეეცადეთ განზე მდგარიყავით ამ ომისაგან, მაგრამ იძულებული შეიქენით მიგეღოთ მასში მონაწილეობა. ომმა იმის ნაცვლად, რომ განეხორციელებინა იმპერიალისტების სურვილები მოსპო სამი იმპერია, ევროპა მონარქიული კონტინენტიდან რესპუბლიკანურ კონტინენტად გადააქცია და ევროპის ერთად - ერთი სახელმწიფო, რომელიც შეერთებულ შტატებზე დიდი იყო, სოციალისტურ რესპუბლიკების ფედერაციათ გარდაქმნა თქვენ ხომ ამას არ მოელოდით? თქვენი ახალგაზრდობა სასაკლაოზე მიდიოდა არა ყიჟინით კარლ მარქსის საპატივცემოდ და არა მისი ლოზუნგით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" მაგრამ სწორედ ასე მოხდა.

დასასრულ ბერნარდ შოუ ააშკარავებს ჩვეულებრივ ჭორებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომლებსაც ბურჟუაზიული პრესა ავრცელებს და ურჩევს ამერიკელებს, საინტერესო თამაშს. ის ურჩევს მათ შეაგროვონ მე-18 საუკუნის დამლევის იმ პერიოდის ინგლისური გაზეთების კოლექცია, როცა ამერიკა თავის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, წაშალონ თარიღები, სახელები და წინადადებები მისცენ მსურველებს გამოიცნონ რომელ ქვეყანაზეა ლაპარაკი. „რომელი ქვეყანაა ესო, იკითხავთ თქვენ, — ქვეყანა, რომელმაც დაგლიჯა ყველა სოციალური ძაფები, ჩაეფლო ანარქიაში, ქვეყანა, სადაც ბატონობს უღმერთოთა, ლოთების გარყვნილების, ქურდების და მკვლელების ჯგუფი? თქვენი მეგობრები ვერ გამოიცნობენ: ისინი იტყვიან, რომ ეს არის რუსეთი, იმ დროს როდესაც სინამდვილეში ლაპარაკია ამერიკაზე. ასე სწერდენ ინგლისური გაზეთები, მაგრამ ეხლა ლონდონში სდგას ვაშინგტონის ძეგლი. ხვალ ნიუ-იორკში დაიდგმება ლენინის ძეგლი".

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეიდან ტარდება დაკრედიტების ახალი წესი

განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში, გავაძლიეროთ მანეთით კონტროლი, დავაჩქაროთ სოციალისტური დაგროვების ტემპები

საქ. მრეწველობამ დროზე ვერ დაამთავრა სამზადისი

დაკრედიტების ახალ სისტემაზე გადასვლისათვის საქართველოს მრეწველობამ სამზადისი დროზე ვერ დაამთავრა. მრეწველობის მთელი რიგი დარგებიდან 1-ლი ნოემბრისათვის სახელმწიფო ბანკში კიდევ არ იყო წარმოდგენილი 1-ლი ოქტომბრის ბალანსები. ამ მხრივ განსაკუთრებულ ჩამორჩენას აქვს ადგილი საამშენებლო მასალათა ტრესტის ზოგიერთ საწარმოებში, ტყავის მრეწველობაში, ქიმკომბინატში და სხ.

ბალანსების უქონლობა სახელმწიფო ბანკს უსპობს საშუალებას, გასცეს კრედიტები ასეთი საწარმოებისათვის. ბალანსების უქონლობა დააბრკოლებს აგრეთვე საბრუნავი თანხების განაწილებას ცალკე საწარმოებს შორის. ამიტომ სახელმწიფო ბანკი იძულებული ხდება, რომ ასეთი ჩამორჩენილი საწარმოებისათვის საანგარიშო ფურცლით კრედიტების გაცემა არ აწარმოოს. ყველა ჩამორჩენილი საწარმოები უკრედიტოთ დარჩებიან მანამ, სანამ არ წარმოადგენენ ბალანსებს 1-ლი ოქტომბრისათვის.

უმაღლესი საკავშირო ორგანოებიდან გუშინ მიღებულ იქნა ცნობა, რომ სახელმწიფო ბანკმა საბრუნავი თანხებისათვის საჭირო კრედიტების გაცემა დროებით აწარმოოს იმ მოთხოვნილებათა თანახმად, რომელიც დამტკიცებულია ა.-კ. სახკომსაბჭოს მიერ.

ცალკე საწარმოებს შორის საბრუნავი თანხების განაწილებისათვის დაწყებული მუშაობა უკვე დამთავრდა.

დაკრედიტების ახალ წესზე გადასასვლელად საჭირო დანარჩენი ყველა მასალები საქ. ს. მ. უ. ს. ქვემდებარე მრეწველობამ უკვე წარადგინა დანიშნულებისამებრ. დამუშავებული და წარდგენილია ნოემბერ-დეკემბრის საფინანსო გეგმები, ბალანსები 1-ლი სექტემბრისათვის, ცნობები დამზადებული პროდუქციის ნარჩენების შესახებ და სხ.

საერთოდ, მრეწველობა უფრო მომზადებული ხვდება დაკრედიტების ახალ წესზე გადასვლას, ვიდრე კოოპერაცია და შინამრეწველობა. საქ. ს. მ. უ. საბჭოში მიღებულ ცნობებით მრეწველობის იმ ჩამორჩენილ დარგებს, რომელთაც დღემდე კიდევ ვერ მოასწრეს 1-ლი ოქტომბრისათვის ბალანსების დამუშავება, აღმოუჩინათ პრაქტიკული დახმარება და მიღებულია ზომები, რომ ორი დღის განმავლობაში უზრუნველყონ მთელი მუშაობის დამთავრება.

მზად არიან

ჭიათურის შავი - ქვის ტრესტმა ცნობები დაკრედიტების წესზე გადასასვლელად სახბანკს დროზე გადაუგზავნა. 25 ოქტომბრისათვის ტრესტის მიერ გადაგზავნილია შემდეგი ცნობები: დარჩენილ მასალათა ღირებულებაზე და საანგარიშო ბალანსი 1 სექტემბრისათვის. 27 ოქტომბერს გადაგზავნა ნოემბერ - დეკემბრის საკასო გეგმები.

ტრესტს საკუთარი საბრუნავი თანხა ამჟამად აქვს 1,358,300 მან. მას კი დასჭირდება 2,452,400 მან. ბანკიდან განსაზღვრულ ვადით მან უნდა მიიღოს 1,094,100 მან.

ჭიათურაში დაგროვილია და ჯერ გაუსაღებელია შავი - ქვა. ეს გარემოება ტრესტის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის. ჩაწოლილი შავი-ქვის ღირებულება არ არის განაღდებული. ამისათვის სახელმწიფო ბანკიდან ტრესტმა დამატებით უნდა მიიღოს 4,275,800 მან. ამგვარად ჭიათურის შავი - ქვის ტრესტის საბრუნავი თანხა ექნება 5,369,900 მან. რაოდენობით ეს მოთხოვნილება წარდგენილია ამ.-კავკასიის სახ. ბანკში, რომელმაც ეს თანხა უნდა დაამტკიცოს.

ქ.

ავტოსახელოსნო მზად არ არის

საქმარაგვაჭრობამ დაკრედიტების ახალ სისტემასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბანკს 25 ოქტომბერს გადაუგზავნა შემდეგი ცნობები: საანგარიშო ბალანსი პირველ ოქტომბრისათვის, დარჩენილ საქონელთა ღირებულება. 28 ოქტომბრისათვის, — გაიგზავნა სხვა ქალაქებში გაგზავნილ საქონლების ღირებულების ცნობები.

29 ოქტომბერს — კი ნოემბერ-დეკემბერის საკასო გეგმები.

საქმარაგვაჭრობას საბრუნავ თანხად დასჭირდება 5,200,000 მან. საკუთარი საბრუნავი თანხა ამჟამად აქვს 1,500,060 მან. დანარჩენი თანხა განსაზღვრული ვადით უნდა მიიღონ სახბანკიდან.

სტალინის სახ. ავტო - სახელოსნოში 28 ოქტომბერს ჩატარდა მოხსენება დაკრედიტების ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ. მოხსენების ჩატარების დაგვიანებას ხსნიან „სხვადასხვა“ მიზეზებით. 25 ოქტომბ. სახ. ბანკს გადაეგზავნა საჭირო ცნობები. შემდეგი რიგის ცნობები გადაგზავნილი უნდა ყოფილიყო 30 ოქტომბრისათვის, მაგრამ იგი დღემდე გადაგზავნილი არ არის.

ავტო - სახელოსნოში ჯერ კიდევ არ არის გამოანგარიშებული საკუთარი საბრუნავი თანხა. არავინ იცის სულ რამდენი საბრუნავი თანხა დასჭირდება სახელოსნოს. აქ არც ის იციან თუ ბანკმა რა რაოდენობის ვადიანი კრედიტი მისცეს მათ.

ეს მდგომარეობა მოუთმენელია. ამ საქმეში დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ გადამწყვეტი ზომები. დღეს პირველი ნოემბერია, დაკრედიტების ახალი წესი ძალაში შედის ეს საქმე კი მოუგვარებელია.

არ—ქ.

„ხის ნაწარმი“ აგვიანებს

ხის დამამუშავებელი ქარხანა „ხის ნაწარმი“ დაკრედიტების ახალი სისტემაზე გადასვლას ფართოდ გამოეხმაურა.

კომუნალურ ბანკს 25 ოქტომბრისათვის ქარხანამ გადაუგზავნა ცნობები: საბრუნავი თანხის ბალანსის, საბრუნავ საშუალებათა ანგარიშის და მატერიალურ ღირებულებათა ნორმალური ჯამის შესახებ. დანარჩენი ცნობები გადაიგზავნა 30 ოქტომბერს.

ქარხანას სულ დასჭირდება საბრუნავი თანხა - 197,000 მან. რაოდენობით. ამჟამად მას არ გააჩნია საკუთარი საბრუნავი საშუალებები, რადგან 1929 წელს ქარხანამ იზარალა 67,600 მან. ქარხნის რეკონსტრუქციის შემდეგ შესაძლებელი შეიქნა 1930 წელს 54.600 მან. მოგება. როგორც ვხედავთ 1930 წლის მოგებამ 1924 წლის ზარალი ვერ დაფარა. ამის გამო ქარხანა მოკლებულია საკუთარ საბრუნავ თანხებს.

გარდა ამისა კომუნალურ ბანკიდან ქარხანა „ხის ნაწარმს“ მიღებული აქვს კრედიტი 120,000 მან. ეხლა მას არ აქვს ამის გადახდის შესაძლებლობა. ქარხანამ 197,000 მან. საბრუნავ თანხა უნდა მიიღოს ან მთავრობიდან ანდა ადგილობრივ ბიუჯეტიდან. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი კომუნალურ ბანკისათვის 120,000 მან. გადახდა და მუშაობის წარმოება.

ქ.

სათანადო მუშაობა ჩატარდა

მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში ჩატარდა მოხსენება დაკრედიტების ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ.

პირველ ოქტომბრისათვის დამხმარე მასალის, ძირითადი მასლის, მზა ნაწარმის და სათბობის და სხ. ღირებულება ფაბრიკაში განისაზღვრება 2,600.000 მან. რაოდენობით. აქედან მასალათა სათადარიგო ნორმების მიხედვით საკუთარი საბრუნავი თანხა განისაზღვრება 1,500000 მანეთით. ამ თანხაში შედის სხვა ქალაქში გაგზავნილ საქონელთა ღირებულებაც. დანარჩენი 1,100.000 მან. კი დაბანდებულია სეზონურ დამზადებებში.

მაუდ-კამვოლის ფაბრიკას სეზონური დამზადებები აქვს. მატყლის დამზადება გაზაფხულზე და შემოდგომაზე. ბანკიდან სეზონურ დამზადებისათვის ვადიანი კრედიტის მიღება ფაბრიკას დასჭირდება 739,000 მან. რაოდენობით.,

ფაბრიკამ 25 ოქტომბრისათვის ბანკს გადაუგზავნა ცნობები პირველ ოქტომბრისათვის დარჩენილ მასალათა ღირებულების შესახებ. 28 ოქტომბერს—სხვა ქალაქში გადაგზავნილ საქონლის ღირებულების შესახებ. ხოლო 29 ოქტომბერს—ნოემბერ-დეკემბრის საკასო გეგმები.

„მქრავი“ № 1 ფაბრიკა ფართოდ გამოეხმაურა დაკრედიტების ახალ სისტემაზე გადასვლას. ფაბრიკის საკუთარი საბრუნავი თანხა პირველ ოქტომბრისათვის განისაზღვრება 1,155,000 მან. ფაბრიკას კი დასჭირდება 1,003.700 მან. რჩება ზედმეტი 150.000 მან.; რომელიც გადმეგზავნება სახ. ბანკს.

მქრავ ტრესტს ფაბრიკამ გადაუგზავნა ცნობები: მასალების ნორმები 1930 წ. 1 ოქტომბრისათვის, 1931 წ. 1 იანვრისათვის, 1 აპრილისათვის, 1 ივლისისათვის და 1932 წლის პირველ იანვრის სადირექტივო ბალანსი, და 1931 წლის ნორმალური ნაშთები, რომლის მიხედვით გამოანგარიშებულია საბრუნავი თანხა.

25 ოქტომბერს ბანკს გადაეგზავნა ცნობები: დამხმარე მასალების, ნახევრად ფაბრიკატების, მზა-ნაწარმის და სხვათა შესახებ. 27 ოქტომბერს—ქალაქ გარეთ მყოფ საქონლის ღირებულება. 28 ოქტომბერს კი პირველ ოქტომბრის საანგარიშო ბალანსი. 29 ოქტომბერს—ნოემბერ-დეკემბრის საკასო გეგმები და იმ საქონლის ვალდებულებანი, რომელიც გზაში ირიცხება.

ფ.

დღეს იწყება მოსავლისა და კოლექტივიზაციის დეკადა

გავაძლიეროთ მუშაობა კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, ვუხელმძღვანელოთ ღარიბ საშუალო გლეხთა ახალი მასების ჩაბმას კოლმეურნეობებში, დავეუფლოთ აგროტექნიკას და ბოლშევიკურად წავსწიოთ წინ მოსავლიანობის გადიდების საქმეს

განვამტკიცოთ მიღწევები, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დეკადას, რომელიც დღეს იწყება უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ეს დეკადა უნდა გადაიქცეს კოლმეურნეობების სამეურნეო ორგანიზაციული განმტკიცების, ღარიბ და საშუალო გლეხთა ახალი მასების კოლმეურნეობებში ჩაბმის და მოსავლიანობის გადიდებისათვის ბოლშევიკური ლაშქრობის დღეებად.

ჩვენ სერიოზული გარღვევები გვაქვს მძრალად ხვნის და საშემოდგომო თესვის საქმეში. საჭიროა სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღება ამ გარღვევების უახლოეს დღეებში გამოსასწორებლად. მოსავლისა და კოლექტივიზაციის დეკადაში უნდა მოვახდინოთ მთელი ძალების მობილიზაცია საშემოდგომო სხ. სამ. კამპანიის და კერძოდ თესვის სამუშაოთა დანიშნულ ვადებში შესრულებისათვის.

სერიოზული გარღვევებია აგრეთვე ჩაისათვის ნიადაგის მომზადების, ბამბის აკრეფის, სასილოსო მშენებლობის და სხვა საქმეში. ჩაისათვის ნიადაგის მომზადების მესამე კვარტალის გეგმა სამარცხვინოდ ჩაიშალა; მეოთხე კვარტალის გეგმის შესრულების საქმეშიც დღემდე არ არის მომხდარი საფუძვლიანი გარდატეხა. მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღეები გამოყენებული უნდა იქნას იმისათვის, რომ ბოლშევიკური ტემპებით წავსწიოთ წინ ჩაისათვის ნიადაგის მომზადების და ჩაის თესვის საქმე. უნდა შეიქმნას დამკვრელების ახალი რაზმები, უნდა გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება და ფართოდ უნდა მოეწყოს ჩაის სამუშაოებში ჩამორჩენილ საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების საზოგადოებრივ ბუქსირზე აყვანა.

ამავე დროს მოსავლისა და კოლექტივიზაციის დეკადის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობებში მოსავლის და შემოსავლის სწორად განაწილებას. გადაჭრით უნდა აღიკვეთოს გათანაბრების „მემემარცხენო“ პრაქტიკა. მიღებული უნდა იქნას ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ თითეულ კოლმეურნის შრომა ანაზღაურდეს მის მიერ დახარჯულ და შრომის წიგნაკებში ზუსტად ჩაწერილ შრომა დღეების მიხედვით. ზოგან დღემდე მოუგვარებელია აღრიცხვის საქმე. ეს ნაკლოვანებები დაკვრითი წესით უნდა იქნას გამოსწორებული.

ჩვენ გვაქვს მთელი რიგი სერიოზული მიღწევები, როგორც კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის, ისე მოსავლიანობის გადიდების დარგში. არიან ასობით კოლმეურნეობები, რომელთაც გადაჭარბებით შეასრულეს საწარმოო პროგრამა, ნამდვილად გაადიდეს შრომის ნაყოფიერება, გაატარეს სანარდო სისტემა, მოაწესრიგეს აღრიცხვა, აწიეს მოსავლიანობა, და სხვ. ამ მოწინავე კოლმეურნეობათა მიღწევები ფართოდ უნდა ვაჩვენოთ როგორც კოლმეურნეთა მასებს, ისე ღარიბს და საშუალო გლეხებს, ამ „ხვალინდელ კოლმეურნეებს“.

ჩვენ გვაქვს მეტად მნიშვნელოვანი მიღწევები, როგორც ნათესი არეს გადიდების, ისე მოსავლიანობის აწევის საქმეში. ეს მიღწევებიც ფართოდ პოპულარიზაციაქმნილი უნდა იქნას. უნდა აუხსნათ კოლმეურნეებს და ღარიბ, საშუალო გლეხებს ის ხერხები და ღონისძიებანი, რომლის გატარებითაც მიღწეული იქნა მოსავლიანობის გადიდება; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრო-ტექნიკურ პროპაგანდას და აგროტექნიკის დაუფლების კონკრეტულ ამოცანებს.

სოფლებში და რაიონებში უნდა მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო გამოფენები. ამ გამოფენებში მოცემული უნდა იქნას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და ინდივიდუალურ მეურნეობების ექსპონატები. გამოფენა მოწყობილი უნდა იყოს ისე, რომ მასებმა თვალსაჩინოდ დაინახონ საკოლმეურნეო შრომის უდიდესი უპირატესობა წვრილი, დაქუცმაცებული კერძო მეურნეობებთან შედარებით.

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დეკადა უნდა ჩატარდეს მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტულ პრაქტიკის ძირშივე აღკვეთის, კულაკობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის, კოლმეურნეობების სამეურნეო - ორგანიზაციული განმტკიცების, ჩვენი კლასობრივი ძალების კიდევ უფრო შემჭიდროვების და მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიების გეგმების დაკვრითი წესით შესრულების ნიშნის ქვეშ.

ა. ი.

როგორ ტარდება

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დეკადა საქ. ბაღბოსტან კავშირის ხაზით

კოლექტივიზაციის და მოსავლიანობის დეკადის ჩატარებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს დაკისრებული საქ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. სას. სამ. კოოპერაციამ ამ დეკადის განმავლობაში უნდა მოახდინოს „მესამე გადამწყვეტი წლის მიღწევათა მასიური დათვალიერება“.

კერძოდ, საქ. ბაღ-ბოსტანკავშირის სისტემა, რომელიც ემსახურება სას. მეურნეობის ძვირფას, ტექნიკურ და შრომის ტევადიან კულტურებს მეთამბაქოობა, მევენახეობა და სხვ.),—განსაკუთრებულ მომზადებით შეხვდა ამ სადღესასწაულო დეკადას.

ჯერ კიდევ 21 სექტემბერს ჩამოყალიბდა დეკადის ჩამტარებელი რესპუბლიკანური კომისია, რომელმაც მიზნად დაისახა თავის სისტემის ცენტრალურ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო გამოფენების მოწყობა.

ასეთ გამოფენებს ბაღ-ბოსტანკავშირი აწყობს: 1. თბილისში, 2. გურჯაანში, 3. ქუთაისში, 4. ბათომში, 5. გორში და 6. ზესტაფონში.

გამოფენებში მონაწილეობას იღებენ კავშირის სისტემის ყველა სოფლის მეურნეობანი, წამოწყებანი (სანერგეები, საბჭომეურნეობანი, სარდაფები, ქარხნები და სხვა).

სარაიონთაშორისო გამოფენების საჭიროებისათვის გადადებულია 35.000 მანეთი, ხოლო 14 რაიკავშირში მოსავლის და კოლექტივიზაციის დღის ჩასატარებლად და ადგილობრივი ხასიათის გამოფენების მოსაწყობად გაღებულია 16.000 მანეთი.

რაიონებზე მიმაგრებულ პ-მგებელ თანამშრომელთ მიეცათ განსაკუთრებული დავალებანი და ათდღიურის ჩატარების და გამოფენების მოწყობის გეგმები.

ბაღბოსტანკავშირის თბილისის (ცენტრალური) წამოწყებათა მიერ უკვე გადაგზავნილია რაიონებში სას. სამ. პროდუქციის გადამუშავებული ნაწარმი საკმაო რაოდენობით,—გამოფენათა ექსპონატებად—მეღვინეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის, მეთამბაქოობის, მეფუტკრეობის და სხვ. დარგში.

საგამოფენო ფონდიდან გადადებულია საკმაოდ დიდი თანხა საპრემიო ჯილდოთა გასაცემად.

პირველ რიგში დაჯილდოვებულ იქნებიან ის კოლმეურნეობანი. დამამზადებელი, გადასამუშავებელი პუნქტები და სხვადასხვა წამოწყებები, რომელნიც დამზადების გეგმებს ასრულებენ გადაჭარბებით და იძლევიან საუკეთესო ხარისხის პროდუქციას.

გამოფენებზე ნაჩვენები იქნება კოლმეურნეობათა მიერ თავის პროდუქციის დამზადება - ჩაბარების გეგმათა შესრულების მაჩვენებლები და ჩაბარებულ პროდუქციის ნიმუშები ხარისხის შესაფასებლად.

სარაიონთაშორისო გამოფენების დასათვალიერებლად მოწყობილი იქნება კოლმეურნეთა და ღარიბ - საშუალო მეურნეთა ექსკურსიები.

ლიგანელი.

კოლმეურნეობები ჩაისათვის ბრძოლის მოწინავე რიგებში უნდა ჩადგნენ

მოისმინა რა მოხსენებები ჩაის რაიონებზე მიმაგრებულ აგროინსპექტორების და ინსტრუქტორ-ორგანიზატორების, ჩაის კულტურისათვის ნიადაგის მომზადების მესამე კვარტალის გეგმის შესრულების და მეოთხე კვარტალის გეგმის მსვლელობის შესახებ, საქ. კოლმეურნცენტრი და ჩაის კოლმეურნცენტრი აღნიშნავს:

ჩაის კულტურისათვის მესამე კვარტალის ნიადაგის მომზადების გეგმა—საერთოდ მთელს რესპუბლიკაში ტყიბულის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუს და სენაკის რაიონების გამოკლებით, სამარცხვინოდ დამთავრდა. ნიადაგის მომზადება შესრულებულია 17,1 პროცენტით (უნდა მომზადებულიყო 4090 ჰექტარი—მომზადდა 700 ჰექტარი).

მესამე კვარტალის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზად საქ. კოლმეურნცენტრს და ჩაის კოლმეურნცენტრს მიაჩნია შემდეგი გარემოება:

1. მთელ რიგ რაიონებში (გალის, კოდორის, ხობის, ზუგდიდის, სამტრედიის, ხონის (ჩაის კულტურამ ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა სათანადო შეფასება; რაიკოლმეურნეობების და ჩაის სექციების მიერ და ჩაის კულტურა ჯერ კიდევ არ არის მიჩნეული მოწინავე კულტურათ, რის გამო ადგილი აქვს ჩაის სამუშაოების უკანა რიგში მოქცევას.

2. „საქ. ჩაი“-ს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით რაიკოლმეურნკავშირებთან ჩაის სექციის აპარატის დაგვიანებით ჩამოყალიბება ზოგიერთ რაიონების გამოკლებით, რამაც გამოიწვია ჩაის კულტურისათვის ნიადაგის მომზადების მესამე კვარტალის გეგმის დაგვიანებით (აგვისტოს შუა რიცხვები—სექტემბერი) დაყვანა კოლმეურნეობებამდე—(ხობი, აჭარისტანი, აფხაზეთი და სხვა).

3. მესამე კვარტალის ტრაქტორებით ნიადაგის დამუშავების გეგმა—შესრულებულია 0.9 პროც. (უნდა მოეხნათ 1075 ჰექტარი, სინამდვილეში მოხნულია 10 ჰექტარი). მაშინ, როდესაც გეგმით გათვალისწინებული ტრაქტორებით მოსახნავი ნიადაგი კოლმეურნეობებმა 1075 ჰექტარის ნაცვლად გაწმინდეს 1216 ჰექტარი, სატრაქტორო ბაზებსა და კოლმეურნეობებს შორის ძალზე გაჭიანურდა ხელშეკრულების დადება.

4. ადგილებზე მთელ რიგ რაიონებში (ხობი, წალენჯიხა, მარტვილი, კოდორი, სამტრედია და სხვები) ძალზე მოისუსტებს ჩაის აგროპერსონალის მუშაობა. აგროპერსონალმა ჯერ კიდევ ვერ შესძლო საკოლმეურნეო მასასთან დაახლოვება და მათთან მჭიდრო კავშირის გაბმა; ზოგ რაიონებში უბნის აგრონომებს და აგროტექნიკოსებს არა აქვთ თავიანთი მუშაობის კალენდარული გეგმები. თვითეულ მათგანს არა აქვთ გამოყოფილი სამოქმედო ტერიტორია. სუსტი კავშირი აქვთ სოფ. საბჭოებთან, აგროპერსონალი ვერ აწვდის თავის დროზე ცნობებს რაიონულ ცენტრებს კოლმეურნეობებში გეგმის შესრულების მსვლელობის შესახებ.

5. შრომის სანარდო სისტემა თითქმის ყველა რაიონებში სუსტად ტარდება, მთელ რიგ რაიონებში სანარდო სისტემა ფორმალურად არის გატარებული. ზოგიერთ რაიონებში ადგილი აქვს ინდივიდუალურ სანარდო სისტემის არა საკმაოდ შეფასების შემთხვევებს და უმთავრესად მიმართავენ ჯგუფურ და ბრიგადულ სანარდო სისტემას.

6. ზოგ რაიონებში არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება შესრულებულ სამუშაოების რაოდენობასთან ერთად სათანადო ხარისხის დაცვას (ტრანშეების არაწესიერი გაყვანა, არ არის დაცული ნიადაგის მომზადების სიღრმე და სხვა).

7. უკვე გაშენებულ ჩაის პლანტაციის მოვლას არ ექცევა სათანადო ყურადღება. არის შემთხვევები, როდესაც ზაფხულის პერიოდში სრულებით არ წარმოებულა გათოხნა, ზოგან მეორე და მესამე გათოხნა არ არის ჩატარებული. ხშირად პლანტაციებში მიშვებულია პირუტყვი და ანადგურებს მას.

8. ადგილი აქვს სურსათის და სამრეწველო საქონლის არა სწორს და მიზნობრივათ განაწილებას.

აღნიშნულის გამო საქ. კოლმეურნცენტრი და ჩაის კოლმეურნცენტრი ადგენენ:

1. დაევალოს ყველა რაიონების რაიკოლმეურნკავშირებს და ჩაის სექციებს არა უგვიანეს ორი დღისა გადმოუგზავნონ „ჩაის კოლმეურნცენტრში“ ნიადაგის მომზადების მეოთხე კვარტალის განაწილების გეგმა, თვეების და კოლმეურნეობების მიხედვით.

2. დაისვას საკითხი საქ. გაერთ. „საქ. ჩაი“-ს გამგეობის წინაშე, რათა მიიღოს გადამჭრელი ზომები, მეოთხე კვარტალში გათვალისწინებულ ტრაქტორებით დასამუშავებელ ფართობის უზრუნველყოფის შესახებ—სატრაქტორო ბაზების მიერ. მიღებულ იქნას ზომები იმ რაიონებში, სადაც ხელშეკრულებები სატრაქტორო ბაზებსა და კოლმეურნეობებს შორის ჯერ კიდევ არ არის დადებული, ასეთი დაამთავრონ არა უგვიანეს პირველ ნოემბრისა.

3. საქ. კოლმეურნცენტრი და ჩაის კოლმეურნცენტრი სთვლის რა ყოვლად დაუშვებლად აგროპერსონალის მიერ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ჩაის გეგმების შესრულებაში—აფრთხილებს მათ; რომ ჩაის გეგმების შეუსრულებლობაში სრული პასუხისმგებლები არიან ჩაის დარგში მომუშავე ყველა აგრონომები და აგროტექნიკოსები—რისთვისაც წინადადება ეძლევათ მათ —მიიღონ თავის დროზე—გადამჭრელი ზომები ჩაის კულტურის ირგვლივ ჩასატარებელ კამპანიების და სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის და დასახონ ადგილებზე ისეთი ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ თვითეულ სამუშაოს თავის დროზე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. გეგმის შესრულების ჩამორჩენის შემთხვევაში მათ დროულად უნდა დააყენონ საკითხი რაიონულ ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე, ჩამორჩენის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციისათვის.

4. დაევალოს ჩაის უბნის აგრონომებს და აგროტექნიკოსებს კოლმეურნეობათა ჩაისათვის ნიადაგის მომზადების თვიური გეგმები დაანაწილონ თვითეულ კოლმეურნეობისათვის, დეკადურათ და ყოველდღიურად საჭირო მუშა-ხელის რაოდენობის აღნიშვნით. ყოველდღიურ კალენდარულ გეგმების შედგენისას მხედველობაში იქნეს მიღებული ვარაუდი არა სამუშაო დღეები (წვიმიანი თუ სხვა ცუდი პირობები) 6-10 დღემდე—ადგილობრივ ჰავის პირობების მიხედვით და იგი გამოკლებულ იქნეს სამუშაო დღეებიდან.

5. სასტიკად აღიკვეთოს ინდივიდუალური სანარდო სისტემის არა საკმარად შეფასება, საჭიროა ჩაის პლანტაციისათვის ნიადაგის ხელით მომზადების ყველა (მთლიანი გადაბარვა, ტრანშეების გაკეთება და სხვა) სამუშაოებზე ძირითადად მიღებული იქნეს ინდივიდუალური სანარდო სისტემა, რომელიც იძლევა შრომის მაღალ ნაყოფიერებას. აგროპერსონალებმა თავის ყოველდღიურ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სანარდო სისტემის გატარებას, რაზედაც ძირითადათ დამოკიდებულია გეგმის თავის დროზე შესრულება.

6. გაძლიერდეს სოციალისტური მეთოდების (სოცშეჯიბრი, დამკვრელობა, საბუქსირი) გამოყენება, როგორც კოლმეურნეებს და კოლმეურნეობებს ისე ჩაის რაი სექციებსა და აგროპერსონალს შორის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამასთანავე აუცილებლად უნდა სწარმოებდეს სოცშეჯიბრების პირობების შესრულების რიცხვი და სისტემატიური შემოწმება.

7. წინადადება მიეცეს რაიკოლმეურნკავშირებს და ჩაის კოლმეურნსექციებს—აგროპერსონალთან ერთად, გააძლიერონ ზედამხედველობა ჩაის პლანტაციის გაშენებისათვის ნიადაგის მომზადების სათანადო ხარისხის დასაცავად.

8. დაევალოს რაიკოლმეურნკავშირებს და ჩაის სექციებს, მიიღონ ზომები ჩაის პლანტაციების შემოკავებისათვის, სადაც ეს შესაძლებელი იქნება; ხოლო სადაც ეს შეუძლებელია—პლანტაციებს მიუჩინონ ზედამხედველები—მევლელების სახით. კოლმეურნეობების გამგეობები, რომელნიც დროზე არ მიიღებენ ზომებს პლანტაციების დასაცავად დაუყოვნებლივ უნდა იქნენ გადარჩეულნი.

9. მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ იყო სათანადო მითითებები მიცემული ადგილებისათვის სასურსათო, სამრეწველო საქონლის და კრედიტების კოლმეურნეებს შორის მხოლოდ დახარჯულ შრომის რაოდენობის და ხარისხისა მიხედვით განაწილების შესახებ—ადგილებზე არის შემთხვევები ფულადი და ნატურალური ავანსების, სულადობის, მოთხოვნილების და სხვა მიუღებელი პრინციპების მიხედვით განაწილების. კატეგორიული წინადადება მიეცეს რაიკოლმეურნკავშირებს და ჩაის სექციებს საქონლის და კრედიტების განაწილება მოახდინონ მხოლოდ კოლმეურნის მიერ დახარჯულ შრომა დღეების, შესრულებულ მუშაობის რაოდენობის და ხარისხის მიხედვით.

10. დაევალოს „საქ. ჩაისკოლმეურნცენტრს“ გამოჰყოს კომისია სათანადო სპეციალისტებისაგან, რომელსაც დაეკისროს ჩაის ახალი რაიონების გამორკვევა სახელდობრ: ბაღდადის, ჩხარის, ლეჩხუმის, გუდაუთის და სოხუმის.

11. საქ. კოლმეურნცენტრი და ჩაისკოლმეურნცენტრი აღნიშნავენ, რომ ადგილებზე მეტად სუსტად ზრუნავენ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ სამეურნეო განმტკიცების საფუძველზე. ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხობის კოლმეურნეობებში მოზიდვაზე არის გაშლილი მუშაობა. საინიციატივო შემკრები კომისიების მუშაობა ძალზე მოისუსტებს და მათ არ ეწევა სისტემატიური ხელმძღვანელობა. რაიკოლმეურნკავშირები და ჩაის სექციები სისტემატიურ ხელმძღვანელობას და დახმარებას უნდა უწევდნენ შემკრები კომისიების მუშაობას, რომელიც ხელს შეუწყობს კოლმეურნეობებში ახალი ლტოლვის ორგანიზაციის საქმეს და მის შედეგად ჩაის გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

12. დაევალოს კოლმეურნცენტრის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო სექტორს, ორი დღის განმავლობაში დაამუშავოს კოლმეურნეობების წევრების ინდივიდუალურ მფლობელობაში მყოფი ჩაის პლანტაციების განსაზოგადოების პირობების და მისი შეფასების საკითხი.

13. დაევალოს საქ. კოლმეურნცენტრის და ჩაისკოლმეურნცენტრის საორგანიზაციო საინსტრუქტორო სექტორებს—ოთხი დღის ვადაში დაამუშაონ დებულება რაიკოლმეურნკავშირის და ჩაის სექციის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ.

14. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჩაის პლანტაციებისათვის ნიადაგის მომზადების მსვლელობის შესახებ ყოველდღიურად რაიონულ პრესაში გაშუქების საქმეს, რისთვისაც დაევალოს რაიკოლმეურნკავშირებს, ჩაის სექციებს და აგროპერსონალს სისტემატიურად მიაწოდონ კონკრეტული მასალები რაიონულ და რესპუბლიკურ პრესას ჩაის საკითხებზე.

საქ. კოლმეურნცენტრის თავმჯდომარე
პ. წულუკიძე.

ჩაისკოლმეურნცენტრის თავმჯდომარე
ი. ხუხუა.

ოქტომბრის რევოლუციის 14 წლის თავზე

მივაღწიოთ ამხ. ანდრეევის ბრძანების სრულ რეალიზაციას

28 ოქტომბერს ა.-კ. რკინის გზებზე გათვალისწინებულ 894 ვაგონის ნაცვლად დაიტვირთა 846 ვაგონი

სტალინელებმა გადაჭარბებით შეასრულეს ოქტომბრის გეგმა

სტალინის სახელობის ქარხნის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ბოლშევიკური ხელმძღვანელობით და ინჟინერ ტექნიკოსთა ენერგიული მუშაობით, დამკვრელებთან ერთად, ოქტომბრის გეგმა ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა 30 ოქტომბერს.

ოქტომბერში ქარხანას 1,2 და მესამე კლასის, მთავარი შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 5 ორთქლმავალი, გამოუშვა—6 მეორე კლასის საშუალო შეკეთებადან უნდა გამოეშვა 23, გამოუშვა 22 ორთქლმავალი, გეგმის გარეშე შემთხვევითი შეკეთებიდან გამოუშვა ერთი ორთქლმავალი;

სულ ქარხანას ოქტომბერში უნდა გამოეშვა 28 ორთქლმავალი, ფაქტიურად კი გამოუშვა 29 ორთქლმავალი. 30 ოქტომბერს ჩასაბარებლად მზად იყო ერთი ორთქლმავალი.

ქარხნის სამგზავრო სავაგონო საამქროს ოქტომბრის გეგმით აღდგენითი შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 3 სამგზავრო ვაგონი გამოშვებულ იქნა სამივე. კაპიტალურ შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 10 სამგზავრო ვაგონი, გამოუშვა 12 ვაგონი, საშუალო შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 50 სამგზავრო ვაგონი, გამოუშვა 51 ვაგონი. გეგმას გადააჭარბა სამი სამგზავრო ვაგონით.

საბარგო სავაგონო საამქროს ოქტომბერში კონვენციური შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 285 საბარგო ვაგონი, გამოუშვა 289 ვაგონი, წლიური გასინჯვის იზოტერმიული ვაგონი შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 5 გამოუშვა 12, აღდგენითი შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 20 სხვადასხვა ვაგონი (აღდგენითი შეკეთების თითეული ვაგონი უდრის სამი კონვენციური შეკეთების ვაგონს) გამოუშვა 39 ვაგონი. გეგმის გარეშე გამოუშვა კონვენციური შეკეთების ორი იზოტერმიული ვაგონი.

საბარგო სავაგონო საამქროს ოქტომბრის გეგმით ყველა სახის შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 310 საბარგო ვაგონი, ფაქტიურად კი გამოუშვა 342 ვაგონი.

ამრიგად, ქარხანამ ოქტომბერში 28 ორთქლმავალის ნაცვლად გამოუშვა 30 ორთქლმავალი, 63 სამგზავრო ვაგონის ნაცვლად გამოუშვა 66 ვაგონი, 310 საბარგო ვაგონის მაგივრად გამოუშვა 342 საბარგო ვაგონი.

სტალინელები ნოემბრის გეგმით მოცემულ დავალების შესრულებისთვის უკვე შეუდგენ მუშაობას.

დ. ჯღარკავა.

ამიერ-კავკ. რკინის გზა ვერ ასრულებს გეგმას

27 ოქტომბერს გეგმით გათვალისწინებულ 994 ვაგონის ნაცვლად ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე დაიტვირთა 806 ვაგონი. (26 ოქტომბერს კი დაიტვირთა — 995 ვაგონი).

პირველმა რაიონმა განზრახულ 305 ვაგონის ნაცვლად დატვირთა მხოლოდ 247 ვაგონი. აქედან: პურეული ტვირთით —20 ვაგონი, შაქრით — 8 ვაგონი, დანარჩენი საკლავი ცხოველით — 1 ვაგონი, მალფუჭებადი ტვირთით — 3 ვაგონი, საშენებელი მასალებით — 32 ვაგონი, მადნეულით — 110 ვაგონი, ლითონით და ლითონის ნაწარმით — 3 ვაგონი, ხე-ტყის მასალებით — 7 ვაგონი, შეშით — 5 ვაგონი, ქვანახშირით — 17 ვაგონი, ღვინით — 2 ვაგონი და დანარჩენი ტვირთით — 21 ვაგონი.

მეორე რაიონმა გეგმით განზრახულ 204 ვაგონის ნაცვლად დატვირთა 179 ვაგონი. აქედან: შაქრით — 1 ვაგონი, მარილით — 3 ვაგონი, საკლავი ცხოველით — 19 ვაგონი. მალფუჭებადი ტვირთით — 18 ვაგონი, დანარჩენ საკვებ პროდუქტებით — 2 ვაგონი, მადნეულით — 1 ვაგონი, ლითონით და ლითონის ნაწარმით — 20 ვაგონი, საშენებელ მასალებით — 43 ვაგონი, ხე-ტყის მასალებით — 34 ვაგონი, შეშით — 20 ვაგონი, ღვინით — 1 ვაგონი, დანარჩენი ტვირთით — 16 ვაგონი.

მესამე რაიონმა, რომლის ნორმა 197 ვაგონი იყო, დატვირთა 226 ვაგონი. აქედან: პურეული ტვირთით — 9 ვაგონი, საკლავი ცხოველებით — 25 ვაგონი, მალფუჭებადი ტვირთით — 18 ვაგონი, ზეთი, მარცვლეული და სხვა — 1 ვაგონი, კვების დანარჩენი პროდუქტებით — 15 ვაგონი, მადნეულით — 2 ვაგონი, ლითონით და ლითონის ნაწარმით — 15 ვაგონი, საშენებელი მასალით — 26 ვაგონი, ხე-ტყის მასალით — 8 ვაგონი, შეშით — 6 ვაგონი, ღვინით — 14 ვაგონი, ბამბით — 55 ვაგონი, ბამბის თესლით — 6 ვაგონი, დანარჩენი ტვირთით — 50 ვაგონი.

მეოთხე რაიონმა, განზრახულ 188 ვაგონის მაგივრად მხოლოდ 154 ვაგონი დატვირთა. აქედან: პურეული ტვირთით — 2 ვაგონი, მარილით 3 ვაგონი, საკლავი ცხოველებით 62 ვაგონი, მალფუჭებადი ტვირთით — 5 ვაგონი, კვების დანარჩენი პროდუქტებით — 11 ვაგონი, საშენებელი მასალებით — 34 ვაგონი, შეშით — 1 ვაგონი, ბამბით — 22 ვაგონი, ბამბის თესლით — 1 ვაგონი, დანარჩენი ტვირთით—13 ვაგონი.

გეგმით გათვალისწინებულ 610 ცისტერნა ნავთის ნაცვლად, 27 ოქტომბერს ჩასხმული იქნა 651 ცისტერნა ნავთი.

28 ოქტომბ. ვაგონების დატვირთვის ნორმა კიდევ უფრო მეტი ჩამორჩენით იქნა შესრულებული.

28 ოქტომბერს, პირველმა რაიონმა დატვირთა განზრახულ 305-ის ნაცვლად 243 ვაგონი. აქედან: პურეული ტვირთით—25 ვაგონი, შაქრით — 2 ვაგონი, საკვები ცხოველებით — 6 ვაგონი, მალფუჭებადი ტვირთით 2 ვაგონი, კვების დანარჩენი პროდუქტებით — 1 ვაგონი, მადნეულით —70 ვაგონი, ლითონით და ლითონის ნაწარმით — 4 ვაგონი, საშენებელი მასალით — 60 ვაგონი, ხე-ტყის მასალით — 11 ვაგონი, ქვანახშირით — 25 ვაგონი, ღვინით — 1 ვაგონი, სპირტით — 1 ვაგონი, დანარჩენი ტვირთით — 34 ვაგონი.

მეორე რაიონმა, განზრახულ 204 ვაგონის ნაცვლად დაიტვირთა 154 ვაგონი, აქედან პურეული ტვირთით — 2 ვაგონი, მარილით — 1 ვაგონი, საკლავი ცხოველებით — 34 ვაგონი, მალფუჭებადი ტვირთით — 16 ვაგონი, კვების დანარჩენი პროდუქტებით — 6 ვაგონი, მადნეულით — 2 ვაგონი, ლითონით და ლითონის ნაწარმით — 24 ვაგონი, საშენებელი მასალებით — 31 ვაგონი, ხე-ტყის მასალებით — 34 ვაგონი, შეშით — 24 ვაგონი, ქვანახშირით — 1 ვაგონი, ღვინით — 4 ვაგონი, ბამბით — 3 ვაგონი, დანარჩენი ტვირთით — 11 ვაგონი.

მესამე რაიონმა, 197 ვაგონის ნაცვლად დატვირთა 282 ვაგონი. აქედან: პურეული ტვირთით — 20 ვაგონი საკლავი ცხოველებით — 41 ვაგონი, მალფუჭებადი ტვირთით — 26 ვაგონი, კვების დანარჩენი პროდუქტებით — 7 ვაგონი, მადნეულით — 5 ვაგონი, ლითონით და ლითონის ნაწარმით —. 8 ვაგონი, საშენებელი მასალებით — 24 ვაგონი, ხე-ტყის მასალებით — 4 ვაგონი, შეშით — 6 ვაგონი, ღვინით — 6 ვაგონი, სპირტით — 63 ვაგონი, ბამბის თესლით — 1 ვაგონი, დანარჩენი ტვირთით — 63 ვაგონი.

მეოთხე რაიონმა გათვალისწინებულ 188 ვაგონის ნაცვლად დატვირთა 167 ვაგონი, აქედან: შაქრით — 2 ვაგონი, მარილით— 14 ვაგონი, საკლავი ცხოველებით — 61 ვაგონი, მალფუჭებადი ტვირთით — 6 ვაგონი, კვების დანარჩენი პროდუქტებით 1 ვაგონი, საშენებელი მასალებით — 35 ვაგონი, ხე-ტყის მასალებით — 2 ვაგონი, შეშით — 1 ვაგონი, ღვინით — 1 ვაგონი, ბამბით — 22 ვაგონი, ბამბის თესლით — 2 ვაგონი, დანარჩენი ტვირთით — 20 ვაგონი.

სულ 22 ოქტომბერს ა.-კ. რკინის გზებზე გათვალისწინებულ 894 ვაგონის ნაცვლად დაიტვირთა 846 ვაგონი.

გეგმით განზრახულ 610 ცისტერნა ნავთის ნაცვლად 28 ოქტომბერს ჩასხმულ იქნა 677 ცისტერნა ნავთი.

მემანქანე

ბრძოლა ამხ. ანდრეევის ბრძანების რეალიზაციისათვის

ამხ. ანდრეევის ბრძანების რეალიზაციისათვის ელექტრო - შემკეთებელ სახელოსნოებში და სადგურებში გაიშალა სათანადო მუშაობა.

დღემდე მოწყობილია 6 თვითშემმოწმებელი ბრიგადა, 36 კაცის მონაწილეობით. სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილია 12 ბრიგადა და გაშლილია სათანადო მოსამზადებელი მუშაობა ორთქლმავალ - ვაგონების ელექტრო - განათებაზე მომუშავე ბრიგადების გადასაყვანად სამეურნეო ანგარიშზე.

ელექტრო - შემკეთებელ სახელოსნოს მუშებმა გადასწყვიტეს წლიური რემონტიდან გამოუშვან ორი ვაგონი: ოქტომბრის რევოლუციის 14 წლის თავის და ოსოავიაქიმის სახელობის.

ფართოდ გაიშალა მუშაობა სოცშეჯიბრებაში და დამკვრელობაში მუშათა ჩასაბმელად. 28 ოქტომბრისათვის სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია 151 კაცი, 15 ოქტომბრის 72 კაცის წინააღმდეგ. ფართოდ გაშლილია მუშაობა სათანადო კულტურული მომსახურებისათვის. ამხ. ანდრეევის ბრძანების რეალიზაციისა და სტალინის ექვსი მითითების გატარების გარშემო დარაზმულია ადგილობრივი პრესაც. ამ მიზნით გამოვიდა კედლის გაზეთი: „ელექტრიკ“-ის სპეციალური ნომერი. მუშათა ენტუზიაზმის გაშლის საფუძველზე იზრდება პარტიისაკენ ლტოლვაც. დღემდე სახელოსნოში შემოვიდა პარტიაში მიღების შესახებ 5 ახალი განცხადება და სხვა.

გ—ი.

დავარტყათ მტაცებლურ განწყობილებებს

ამბროლაურის და სტალინისის რაიონებში მოსავლის და შემოსავლის განაწილების საქმე მინდობილია თვითდინარეობაზე

დამახინჯება უნდა აღიკვეთოს

კოლმეურნეობებში მოსავლის და შემოსავლის განაწილების მიმდინარეობის შესახებ ადგილებიდან კვლავ არადამაკმაყოფილებელი ცნობები მოდის. მიუხედავად საქ. მიწსახკომის და კოლმეურნეობათა ცენტრის კატეგორიული მითითებებისა კვლავ გრძელდება ამ საკითხისადმი მემარჯვენე ოპორტუნისტული დამოკიდებულება: გათანაბრება, მოსავლის ერთბაშად, ახლავე განაწილების ტენდენცია, ქალთა შრომის ანაზღაურების შეუფასებლობა, წამგლეჯაობა და სხვ. ეს უმთავრესად ის დამახინჯებანი, რომელიც ზოგან შემჩნეულია მოსავლის და შემოსავლის განაწილების საქმეში.

მოსავლის სწორად განაწილებას ყველაზე უფრო აბრკოლებს აღრიცხვის მოუგვარებლობა. ამ მიმართულებით მიღებული მთელი რიგი გადამჭრელი ზომების მიუხედავად ჯერ კიდევ ადგილი აქვს არეულ-დარევას და ქაოტიურ მდგომარეობას აღრიცხვის საქმეში. სოფ. ნამანევის და ჭელიაღელის (ამბროლაურის რაიონი) კოლმეურნეობებში სამი თვეა რაც არ აღურიცხავთ კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომა-დღეები. აჭარისტანის ზოგიერთ კოლმეურნეობებში კი სრულიად არ სწარმოებს აღრიცხვა (კოლმეურნეობა „წითელი გზით“, „გზა სოციალიზმისაკენ“ და სხვ.). ზესტაფონის რაიონში კი არის ისეთი ფაქტები, როდესაც არაფერს აძლევენ იმ კოლმეურნეებს, რომელთაც 100 შრომა დღეზე მეტი აქვთ გამომუშავებული.

მეორეს მხრივ ისეთ მდგომარეობასაც ვხვდებით, როდესაც კოლმეურნეობები დროზე და კეთილსინდისიერად არ ასრულებენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს რომელიც მოსავლის სასაქონლო ნაწილის სახელმწიფოსათვის ჩაბარებას (მიყიდვას) შეეხება. სოფ. კვაცხუთის და წყალისის კოლმეურნეობები თავიანთი მოსავლის სასაქონლო ნაწილს სპეკულიანტურ ფასებში ყიდიან კერძო [illegible] და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს კი არ ასრულებენ. ეს მოწმობს რომ ამ კოლმეურნეობებში შეპარულია კულაკური ელემენტები, რომელნიც ტაციობის და წამგლეჯობის განწყობილებებს უწყობენ ხელს. გარდა ამისა ეს მოწმობს, რომ აღნიშნულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ ორგანოებში მოკალათებულნი არიან მემარჯვენე ოპორტუნისტები, კულაკების ნამდვილი აგენტები.

ამ მდგომარეობას სათანადო რაიონულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. კოლმეურნეობებიდან და მათი მმართველი ორგანოებიდან დაუზოგავად განდევნილი უნდა იქნან კულაკები და მათი აგენტები. დაუზოგავადვე უნდა დავარტყათ მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებს, რომელნიც კოლმეურნეობებში ხელს უწყობენ კულაკების გავლენის ზრდას, ასაზრდოვებენ ყოველგვარ მომხმარებლურ-მტაცებლურ განწყობილებებს და აბრკოლებენ საკოლმეურნეო მოძრაობის გაშლა-განმტკიცებას. კოლმეურნეობებში მოსავლის და შემოსავლის განაწილება დაყენებული უნდა იქნას ისე, რომ ძირშივე აღიკვეთოს ყოველგვარი მტაცებლური განწყობილებანი. კოლმეურნეობებმა პირნათლად და კეთილსინდისიერად უნდა შეასრულონ სახელმწიფოს წინაშე საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

მოსავლის განაწილების წესიერად ჩატარებას ყველგან აბრკოლებს ერთი მთავარი მიზეზი, ესაა აღრიცხვის უქონლობა. როგორც ირკვევა ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის აღრიცხვის მნიშვნელობის შეუფასებლობა. სოფ. მაწაარში (ხილნადის რაიონი) კოლმეურნეებს ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე მიქონდათ ავანსები, ბოლოს როცა მოსავლის განაწილების დრო დადგა გამოირკვა, რომ გასანაწილებელი არაფერია. ასეთი მაგალითები მრავალია. დროა ამ დანაშაულობრივ დაუდევრობას გადაჭრით ბოლო მოეღოს. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და განსაკუთრებით კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა მტკიცედ უნდა შეიგნონ, რომ **აღრიცხვის მოუწესრიგებლობის გარეშე არ შეიძლება არც მოსავლის სწორად განაწილება და არც კოლმეურნეობების სამეურნეო -ორგანიზაციული განმტკიცება.**

ამის გამო კოლმეურნეობათა მოანგარიშეების მომზადება და გადამზადებასთან ერთად მოსავლის და შემოსავლის განაწილების პერიოდში კოლმეურნეობებს უნდა დავახმაროთ ადგილობრივ წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე ბუღალტერ მოანგარიშეები.

კოლმეურნეობებში მოსავლის და შემოსავლის განაწილებას უახლოესი დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა „მემემარცხენო“ გათანაბრების ძირშივე აღკვეთასთან ერთად მიღებული უნდა იქნას ყველა ზომები იმისათვის რათა ვინც კარგად და უკეთ მუშაობს მან მეტი მიიღოს ხოლო ვინც არ მუშაობს იმან არაფერი არ მიიღოს.

გ. რ—შვილი.

უკუღმა გაიგეს

(ზესტაფონის რაიონი)

ზესტაფონის რაიონის ზოგიერთ სასოფლო საბჭოებმა და კოლმეურნეობებმა (სოფ. საქარის, საყავრის, ტევრის და სხვ.) დღემდე ვერ შესძლეს, მოსავლის სავსებით აღება. ეს მდგომარეობა ხელს უშლის სოიის და ყურძნის აკრეფას. სოია მინდორში ლპება და მას ყურადღებას არავინ აქცევს.

სოფ. როდინაულისა და შროშის კოლმეურნეობებში მოსავლის განაწილებაში დიდ დამახინჯებებს ჰქონდა ადგილი. აქ იმ კოლმეურნისათვის შრომა-დღეების მიხედვით არაფერი მიუციათ, რომელთაც 100 შრომა-დღეზე მეტი ნამუშევარი აღმოაჩნდათ.

საჭიროა ადგილობრივი ორგანიზაციებმა ყურადღება მიაქციონ მოსავლის თავის დროზე აღებას და მისი სისწორით განაწილებას.

ზ. ცხელიშვილი.

3 თვეა არ სწარმოებს შრომის აღრიცხვა

(ამბროლაურის რაიონი.)

ამბროლაურის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს შრომის აღრიცხვის მოუწესრიგებლობას. დირექტივა იმის შესახებ, რომ ყოველ ხუთ დღეში შრომა-დღეები ეწერებოდეს კოლმეურნეს შრომის წიგნაკში არ სრულდება.

ნამანევის, ამბროლაურის და ჭელიაღელის სახ. სამ. არტელებში 3 თვის შრომა-დღეები ჯერ კიდევ შეუტანელი აქვთ შრომის წიგნაკებში. სუსტია კოლმეურნეობის გამგეობის ხელმძღვანელობა.

მოვითხოვთ ამ ნაკლოვანების დაკვრითი წესით გამოსწორებას.

შ. ნ.

სამაგალითო და მახინჯი კოლმეურნეობები

(ამბროლაური)

მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილების საქმეში, სოფ. მუხლის, ხოტევის, ხიმშის, წესის, კოპტის და ჭყვიშის სახ. სამ. არტელები, სანიმუშო მაგალითს იძლევიან. მათ წარმატებით დაამთავრეს მოსავლის აღება.

მოსავლისა და შემოსავლის განაწილების საფუძვლად დადო ფაქტიურად დახარჯული შრომის რაოდენობა და ხარისხი. ამის მიხედვით პრინციპი: „ვინც მეტს მუშაობს ის მეტს მიიღებს, ვინც არ მუშაობს, ის არაფერს არ მიიღებს“. აღნიშნულ სოფლის კოლმეურნეობებში ურყევად გატარდა.

მაგრამ რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს არა სასურველ მოვლენებსაც. არის შემთხვევები, როდესაც საკმაოდ ვერ აფასებენ ფონდებს და მათ მნიშვნელობას კოლმეურნეობების განვითარებისათვის.

კოლმეურნეები ვერ არიან გარკვეულნი იმაში, თუ შემოსავლის რომელ ნაწილიდან იქმნება განუყოფელი ფონდი.

კონტრაქტაციის მიხედვით სახელმწიფოსადმი პროდუქტების ჩაბარება (მიყიდვა) ბევრ კოლმეურნეობებში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ზოგან კი (წყალისის, ამბროლაურის და კვაცხუთის კოლმეურნეობებში ადგილი აქვს ნამდვილ ოპორტუნისტულ პრაქტიკას. ამ საქმეში. სასაქონლო პროდუქტების სახელმწიფოსათვის ჩაბარების, მაგიერ ისინი ხელს უწყობენ სპეკულიანტებს, აძლევენ რა მათ ზედმეტ ფასებში ჭირნახულის სასაქონლო ნაწილს.

საჭიროა ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღების გამახვილება ამ ნაკლოვანებების დაჩქარებით გამოსწორებისათვის.

ნოე შარაბიძე.

ბელადის მითითებათა განხორციელებისათვის

ბრძოლის ლოზუნგით ჩავატაროთ ფაბქარხკომების გადარჩევები

მოსამზადებელი მუშაობა გაიშალა

ქუთაისის რაიპროფსაბჭომ მიმდინარე ფაბქარხკომების და ადგილკომების მოსამზადებელი მუშაობის გასაშლელად პრეზიდიუმის წევრები მიამაგრა ცალკე კავშირებზე. 19 ოქტომბერს შესდგა პროფსაბჭოს პლენუმი, სადაც დამუშავდა ფაბქარხკომების და ადგილკომების გადარჩევების წესი. საგადარჩევო პირველი პერიოდის მუშაობა უკვე გაშლილია, კავშირების მიერ გამოყოფილია მუშათა ბრიგადები, რომელნიც იკვლევენ ფაბქარხკომების და ადგილკომების მიერ ჩატარებულ მუშაობის შედეგებს. ბრიგადები იკვლევენ, თუ როგორ ჩატარდა და ტარდება ამხ. სტალინის 6 მითითების რეალიზაცია და როგორ სრულდება მე-4-ე კვარტალის საწარმოო საფინანსო გეგმები.

მთელი რიგი ცალკე კავშირების (მედსანშრომის, გემოკვების, განათლების) ცენტრალური გამგეობები საგადარჩევო სამზადისთან დაკავშირებით რაიონებს ვერ უწევენ ცოცხალ ხელმძღვანელობას. 22 ოქტომბერს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე დამტკიცდა საანგარიშო და საგადარჩევო კრებების კალენდარული გეგმა. გადარჩევები უნდა დამთავრდეს 25 ნოემბრამდე.

მოსამზადებელი მუშაობის, საანგარიშო მოხსენებების და გადარჩევების საუკეთესოდ ჩატარებისათვის ქუთ. პროფსაბჭომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია აჭარისტანის პროფსაბჭო.

ვ. ლ—ი

ფეხსაცმელების ფაბრიკა ჩამორჩა

ფეხსაცმელების ფაბრიკა № 1 პირველ მაისიდან გადასულია სამეურნეო ანგარიშზე. მდგომარეობა მაინც უნუგეშოა, რადგან ფაბრიკის ბუღალტერია არ აწარმოებდა სათანადო აღრიცხვას. ფაბრიკაში მასალების მომჭირნეობით ხმარებაზე არავინ ზრუნავს.

მუშების საქმიან წინადადებებს ყურადღება არ ექცევა. დღემდე შემოსულია ოთხი წინადადება და ჯერ არცერთი არ განუხილავთ.

სოცშეჯიბრება და დამკვრელობა სუსტად არის გაშლილი. სამეურნეო ანგარიშზე საამქროები არ არიან გადასულნი. ზოგიერთი ხელმძღვანელი გაურბის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლას.

ფაბრიკას წლიური გეგმა შესრულებული აქვს 45,5 პროც. მესამე კვარტალის გეგმა არ შეუსრულებიათ. შრომის ნაყოფიერება შემცირდა 30 პროც. გაცდენილია 9.950 სამუშაო საათი. წუნდებულია 66 წყვილი ფეხსაცმელი.

უნდა აღინიშნოს, რომ მეოთხე კვარტალში გრძელდება ჩამორჩენა. მუშების ხელფასის მოუწესრიგებლობის გამო მუშა-ხელის ცვალებადობას აქვს ადგილი.

მანქანებზე მიმაგრებული მუშები პასუხისმგებლობას არ გრძნობენ, ამიტომ ფაბრიკაში გაუპიროვნებას აქვს ადგილი. ფაბრიკის ტექნიკის შემსწავლელი კურსები დაიხურა, რადგან მეცადინეობას არავინ ესწრებოდა.

ადმინისტრაციის და საამქროების გამგეებს მუშებში ამხ. სტალინის ისტორიული სიტყვა არ დაუმუშავებიათ. ფაბრიკამ ორი თვით შეაჩერა მუშაობა, მომწოდებელ ორგანოების მიერ ხელშეკრულების დარღვევის გამო, რამაც გამოიწვია 126.000 ფეხსაცმელის დაუმზადებლობა.

მლებროვი, აბარიანი, მოსეოვი, არუთინოვი.



კახოვკაში (უკრაინა) შენდება და ჩქარა იქნება ამუშავებული ახალი ბამბის საწმენდი ქარხანა, მოწყობილი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.
სურათზე—„ზარადევიგ“-ის სისტემის ბამბის საწმენდი მანქანების დადგმა ცეხებში.

ქვანახშირის ამოღება ტყიბულში

ტყიბული, 30 ოქტომბერი. 26 ოქტომბერს ტყიბულის მაღაროებში ამოღებულ იქნა 454 ტონა ქვანახშირი, 27 ოქტომბერს — 425 ტონა, 28 ოქტომბერს — 519 ტონა და 29 ოქტომბერს — 454 ტონა. ამოღებაზე მუშაობდა: 26 ოქტომბერს — 715 მუშა, 27 ოქტომბერს — 516 მუშა, 28 ოქტომბერს — 793 მუშა, ხოლო 29 ოქტომბერს — 763 მუშა.

შრომის ნაყოფიერება უდრიდა: 26 ოქტომბერს — 635 კილოს, 27 ოქტომბერს — 524 კილოს, 28 ოქტომბერს — 650 კილოს,, ხოლო 29 ოქტომბერს — 603 კილოს.

როგორ მუშაობდა ცემენტის ქარხანა

კასპი, 30 ოქტომბერი. (საქ. კორ.) 28 ოქტომბერს კასპის ცემენტის ქარხანაში დაფქვილია 3.006 კასრი ცემენტი (გეგმის 112 პროც.), გამომწვარია — 3.677 კასრი (126 პროც.) და გაგზავნილია 3.099 კასრი (99 პროც.).

29 ოქტომბერს ქარხანაში დაიფქვა 3.018 კასრი (113 პროც.), გამოიწვა — 3.658 კასრი (125 პროც.) და გაიგზავნა — 3.424 კასრი ცემენტი (110 პროც.).

მუშაობა დაიწყო

(სამტრედია)

სამტრედიის რაიპროფსაბჭოს ხელმძღვანელობით ფაბქარხკომების და ადგილკომების გადარჩევებისათვის დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა..

საკითხი დამუშავდა პროფსაბჭოს პრეზიდიუმზე. შემდეგ გადატანილი იქნა პროფსაბჭოს პლენუმზე. პლენუმმა მიიღო სათანადო ღონისძიებები ამ კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებისათვის, ამჟამად საკითხი მუშავდება პროფკავშირის აქტივის კრებებზე.

ფაბქარხკომებისა და ადგილკომების საარჩევნო - საანგარიშო კამპანია ჩატარებული იქნება ფართო თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ. პროფორგანიზაციებს შორის გაშლილია სოცშეჯიბრი. ცალკე საწარმოებში საგადარჩევო კამპანიასთან დაკავშირებით ამუშავებენ 1932 წლის შეხვედრ საწარმოო - საფინანსო გეგმებს.

ა. კირცხალია

ხვნა-თესვის ყოველდღიური დავალება

საქ. მიწსახკომის მიერ დაწესებულ ვადებში უნდა შეასრულოს თვითეულმა გუთანმა, ტრაქტორმა, საბჭოთა მეურნეობამ და კოლმეურნეობამ

მაგრად დავარტყათ მემარჯვენე ოპორტუნისტებს

საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშემოდგომო თესვა ჩაშლის საფრთხის წინაშეა. 20 ოქტომბრისათვის ხვნის გეგმა შესრულებული იყო 29 პროცენტით, მაშინ, როდესაც ამ ვადისათვის შესრულებული უნდა იყოს გეგმის 50 პროცენტი სათესლე ფონდის შეგროვების გეგმა იმავე რიცხვისათვის შესრულებულია 80 პროცენტით, ნაცვლად 100 პროცენტისა. ახევე ჩამორჩენილია დასაზღვევი სათესლე ფონდების შეგროვება და სათესლე მასალის გაწმენდა-შეწამვლა.

ეს სამარცხვინო ჩამორჩენა შედეგია იმისა, რომ როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური სამიწადმოქმედო ორგანოები და საკოლმეურნეო-კოოპერატიული სისტემა არა საკმაო ხელმძღვანელობას უწევენ ადგილებს საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის და კერძოდ მძრალად ხვნის და თესვის კონკრეტულ ამოცანათა შესრულების საქმეში: კამპანიების გატარებაში მთრიგობის პრაქტიკა და ოპორტუნისტულ თვითდინებაზე მინდობა—აი უმთავრესად რა იწვევს ჩამორჩენასა და გარღვევებს.

რით უნდა აიხსნას თუ არა მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრით პრაქტიკაში ის ფაქტი, რომ სოფ. ჯიმითის, არაშენდის და კარდენახის სასოფლო საბჭოებს (გურჯაანის რაიონი) ჯერაც არა აქვთ დამუშავებული საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარების გეგმა. რით უნდა აიხსნას თუ არა აშკარა ოპორტუნისტული პრაქტიკით ის გარემოება, რომ სოფ. მუხრანში (მცხეთის რაიონი) კულაკებს ჯერ თითქმის არ დაუდგიათ საშემოდგომო თესვისათვის,—აქ მტკიცე დავალების თანახმად კულაკებს უნდა მოეხნათ 182 ჰექტარი, ფაქტიურად დღემდე მათ მიერ მოხნული არ არის არც ერთი ჰექტარი.

ვხვდებით აგრეთვე „მემარცხენე" ოპორტუნისტულ გადახვევების აღმაშფოთებელ ფაქტებსაც. ნაცვლად იმისა, რომ გაშალონ მასიური ახსნა-განმარტებითი მუშაობა, დარაზმონ კოლმეურნეები და ღარიბი, საშუალო გლეხები საშემოდგომო თესვის კონკრეტულ ამოცანების ირგვლივ და სხვა ზოგან მიმართავენ ძალადობას და უხეშ ადმინისტრატიულ ზომებს. სიღნაღის რაიონულ ორგანოების მიერ თესვის ხელმძღვანელობისათვის სოფ. ბოდბეში მივლინებული ბრიგადის ხელმძღვანელი ღარიბს და საშუალო გლეხებს ამგვარად აშინებს: „**კოლმეურნეობაში თუ არ შეხვალთ, გორებს იქით გადაგასახლებთო**".

სიღნაღის და მცხეთის რაიონები გამონაკლისს არ წარმოადგენენ. მემარჯვენე „მემარცხენე" ოპორტუნისტული გადახრების და მათთან შემრიგებლობის ფაქტებს ვხვდებით სხვა რაიონებში. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ცეცხლი ოპორტუნისტების წინააღმდეგ; არ უნდა დავივიწყოთ, რომ მემარჯვენე გადახრა არის ახლანდელი ეტაპის **მთავარი საფრთხე**. ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა სწარმოებდეს არა „საერთოდ", არამედ კონკრეტულად. **გამოაშკარავებული უნდა იქნან [illegible]ნი ოპორტუნისტული გადახრის კონკრეტული მატარებელნი** და მათ წინააღმდეგ უნდა მივიღოთ მკაცრი და გადამწრელი ზომები. მხოლოდ **ორ ფრონტზე** გადამწყვეტი ბრძოლის გაძლიერებით შეიძლება კლასობრივ მტერთა წინააღმდეგობის დამსხვრევა და არსებული გარღვევების დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია.

უნდა გაძლიერდეს კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობა საშემოდგომო სას. სამ. კამპანიის კონკრეტულ ამოცანებზე. რაციონალურად იქნას გამოყენებული მუშა-ხელი და მაქსიმალურად დატვირთოს მთელი მანქანა-იარაღები. თითეულ გუთანს, ტრაქტორს, კოლმეურნეობას; საბჭოთა მეურნეობას, ბრიგადას და ჯგუფს უნდა მიეცეს მტკიცე ყოველდღიური დავალება ხვნა-თესვის გეგმის შესრულებისათვის. მხოლოდ ამ გზით შეიძლება საშემოდგომო კამპანიის გეგმის წარმატებით შესრულება.

ირ.

„კოლმეურნეობაში შედით, თორემ გორებს იქით გადაგასახლებთ"

(ს. ბოდბე, სიღნაღის რაიონი)

ბოდბის სასოფლო-საბჭო საშემოდგომო თესვის კამპანიაში სამარცხვინოდ ჩამორჩა. კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობებს გეგმის თანახმად უნდა მოეხნა 2625 ჰექტარი; დღემდე მოხნულია მხოლოდ 200 ჰექტარი; რაც გეგმის 7,5 პროც. უდრის.

ადგილი აქვს „მემარცხენე" ოპორტუნისტულ გადახვევებსაც; ერთ-ერთმა ბრიგადირმა საუბნო კრებაზე ასე „განუმარტა" გლეხობას: „კერძოდ მიწის ხვნა არ შეიძლება უნდა შეხვიდეთ კოლმეურნეობებში, ან ჯგუფურ განაერთებში და ერთად იმუშაოთ თორემ გორებს იქით გადაგასახლებთო"(!) ამ „მემარცხენე" ოპორტუნისტის „განმარტებამ" ღარიბ-საშუალო გლეხებში და კოლმეურნეებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია

16 ოქტომბერს მოწვეულ იქნა თემში შემავალ აქტივის საერთო თათბირი, სადაც დამუშავდა საკითხი საშემოდგომო თესვის მიმდინარეობის და დაშვებული შეცდომის დაუყოვნებლივ გამოსწორების შესახებ.

თათბირმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებები საშემოდგომო თესვაში გარდატეხის მოსახდენათ: გამოიყო ორი კულტურულ-მასიური ბრიგადა, რომლებმაც უკვე გაშალ გლეხობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოიყო ფონდი სამაგალითო მთესველების დასაჯილდოებლად.

გ. მესტიაშვილი, ი. ჭოჭუა.

გეგმის მხოლოდ 8 პროცენტი

(წერილი კასპიდან)

საშემოდგომო თესვის გეგმა კასპის რაიონში ითვალისწინებს 11880 ჰექტარა მიწის მოხვნას. 20 ოქტომბრისათვის (ორივე სექტორში) მოხნული იყო 7.900 ჰექ., რაც შეადგენს გეგმის 79,2 პროცენტს; იმავე 20 ოქტომბრისათვის დათესილი იყო მარცვლეული კულტურა—300 ჰექტარზე, ანუ გეგმის 8 პროც.

რაიონში გამოცხადებულმა (10 ოქტომბრიდან 20-მდე) დამკვრელმა ათდღიურმა ზოგიერთ მიმაგრებულ ამხანაგების სისუსტის გამო, ვერ გაამართლა იმედები: ხვნა-თესვის საქმეში ვერ მივიღეთ გარდატეხა.

კასპის რაიკომის ბიურომ უკანასკნელ თავის სხდომაზე გამოიტანა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები შემოდგომის თესვა დარგში გარღვევების სალიკვიდაციოდ, ადგილებს უკვე მიეცათ მითითებები.

20-დან 30 ოქტომბრამდე გამოცხადდა მეორე დამკვრელი ათდღიური, რომელმაც უნდა მოგვცეს თვალსაჩინო გარდატეხა თესვის დარგში.

მ. ჯ—ლი.



გაუწმენდელი თესლი ითესება, ტრიერები კი უქმად დგას

(სტალინისის რაიონი)

საშემოდგომო სასოფლო - სამეურნეო კამპანია სტალინისის რაიონში სუსტი ტემპებით იშლება. **20 ოქტომბრისათვის სულ დათესილი იყო მარცვლეული კულტურა 185 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის 2 პროცენტს; მძრალად ხვნის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 12 პროცენტით.**

რაიონი განსაკუთრებით ჩამორჩენილია თესლის გარკვევა - შეწამვლის საქმეში. გარკვეულია კოლმეურნეობებში მთელი თესლის — 22 პროცენტი, ინდივიდუალურ მეურნეობებში კი 9 პროცენტი; შეწამლულია კოლმეურნეობებში — 15 პროცენტი, ინდივიდუალურ მეურნეობებში — 1 პროცენტი.

შემკეთებელი ბრიგადა რაიონში დაგვიანებით გაიგზავნა, მაგრამ გაგზავნილ ბრიგადის მუშაობა შემდეგში არავინ შეამოწმა, მიუხედავად იმისა, რომ ბრიგადამ ზოგიერთი სასოფლო საბჭოები ჩამოიარა, მანქანა იარაღები დღესაც შეუკეთებელია.

არის შემთხვევები, როცა უმოქმედოთ დგას ტრიერები და საბჭო არ იღებს ზომებს ამ მანქანების გამოსაყენებლად; მაგალითად: ქვიშხეთის სასოფლო საბჭოს ბინაზე სამი ტრიერი სდგას; დღემდე მის სოფელში გასატანად თავი არავინ შეიწუხა, თესლი კი გაურკვეველი და შეუწამლავი დაითესა.

ავლევის სასოფლო საბჭოებში სამი ტრიერი შეუკეთებელი უქმად სდგას, საბჭომ კი ამის შესახებ არავის აცნობა; ამავე სასოფლო საბჭოებში მიიღეს ახალი ტრიერი და მთელი კვირა გაუხსნელი უქმად იდგა.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურმა დღემდე ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა; ტრაქტორების ნაწილი ჯერ ისევ შესაკეთებელი, გაჩერებული დგას.

მაქსიმალურად არ არის გამოყენებული ცოცხალი გამწევი ძალა. კოლმეურნეობები იმედებს მთლიანად სატრაქტორო სადგურებზე ამყარებენ.

ზანგი.

საშემოდგომო თესვა „დაავიწყდათ"

(გურჯაანის რაიონი)

ამ დღეებში გურჯაანის რაიკომის ბიურო გაფართოებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა რაიმიწგანის მოხსენება, რაიონში საშემოდგომო თესვის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რაიონში საშემოდგომო თესვა სრულიად არა დამაკმაყოფილებლად იშლება.

ზოგიერთი სოფლის საბჭოები და კოლმეურნეობები ჯერაც არ იცნობენ შემოდგომის თესვის სარაიონო გეგმებს (ჯიმითი არაშენდა, კარდენახი) ჯიმითის სას. სამეურნეო არტელს დღემდე არ მიუღია რაიკოლმეურნეობათა კავშირიდან გარკვეული დირექტივა—საშემოდგომო თესვის კამპანიაში პრაქტიკული მონაწილეობის მისაღებად; არაშენდის სას. საბჭოს, მიუხედავად იმისა რომ მიმაგრებულმა ამხანაგებმა სპეციალურად დაამუშავეს შემოდგომის თესვის საკითხები, დღემდე პრაქტიკული მუშაობის გეგმაც არ შეუდგენია.

რაიონში სუსტად მიმდინარეობს იარაღ-მანქანების აღრიცხვა, ძალზე სუსტად მიმდინარეობს დაზიანებულ იარაღ-მანქანების შეკეთება და სხვ. გურჯაანის არსებული სას. სამ. იარაღ-მანქანების შემკეთებელი სახელოსნო მხოლოდ ავტო-მანქანების შეკეთებას უნდება და არავითარ ყურადღებას არ აქცევს ტრაქტორების, გუთნების, ტრიერების და სხვა სას. სამეურნეო მანქანების შეკეთებას.

მუკუზნისა და კაჭრეთის საბჭოთა მეურნეობებს ჯერაც არ მოგონებიათ მიწადმოქმედობა, იარაღ-მანქანების შეკეთება, სათესლე ფონდის შეგროვება და სხვ. ძალზე სუსტია სამეურნეო-კოოპერატიული და პროფორგანიზაციების მუშაობა შემოდგომის თესვის დარგში.

საშემოდგომო ხვნის ფრონტი გარღვეულია: დღემდე მოხნულია რაიონის მაშტაბით **გეგმის მხოლოდ 17 პროცენტი.**

ძირშივე უნდა აღიკვეთოს გეგმების შესრულების დარგში თვითმიმდინარეობაზე დაყრდნობა, მჭიდროთ დავრაზმოთ შემოდგომის თესვის გეგმების შესრულების ირგვლივ კოლმეურნე და ღარიბ - [illegible]ხთა მასები და მით უზრუნველვყოთ მოცემულ დავალებათა დროზე შესრულება.

ვ. ჭ.

კულაკები არ ასრულებენ მტკიცე დავალებას

(ს. მუხრანი, მცხეთის რაიონი)

20 ოქტომბრისათვის მუხრანის თემში გეგმით გათვალისწინებულ 1832 ჰექტარის ნაცვლად მოხნული იყო 929 ჰექტარი, რაც უდრის 50,1 პროც., **კულაკურ - შეძლებულ მეურნეებს მტკიცე დავალებით უნდა მოეხნათ 182 ჰექტარი, — დღემდე არც ერთი ჰექტარი არ აქვთ მოხნული.**

ადგილობრივი სას-სამ. საწარმოო ამხანაგობა სუსტ მონაწილეობას ღებულობს საშემოდგომო თესვაში, მათ უნდა მოეხნათ 300 ჰექტარი, სინამდვილეში მხოლოდ 23 ჰექტარია მოხნული.

მუხრანში არსებობს სატრაქტორო კოლონა, რომელსაც აქვს 7 ტრაქტორი, მაგრამ ეს ტრაქტორები არ არის რაციონალურად გამოყენებული, კოლონა ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებით, საწვავი მასალით და სხვა საჭირო დეტალებით არ არის მომარაგებული; **ტრაქტორები 20 საათის ნაცვლად მუშაობენ მხოლოდ 8 საათს;** არ არის ტრაქტორისტების შორის გაშლილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა.

ზოგიერთ კოლმეურნეობების გამგეობები არ იყენებენ ცოცხალ გამწევ ძალას, ისინი დაყრდნობილნი არიან მხოლოდ მექანიკურ გამწევ ძალაზე; სატრაქტორო კოლონა ვერ აკმაყოფილებს და ამასობაში კოლმეურნეობებზე მიცემული გეგმები რჩება შეუსრულებელი. კოლმეურნეობებში შრომის სოციალისტური ფორმების გამოყენება შესაფერ დონეზე არა სდგას.

ათ. თოფურია და ი. მინასოვი.

ზუგდიდის სამანქანო-სატრაქტორო სადგური სამარცხვინოდ ჩამორჩა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ზუგდიდის სამანქანო - სატრაქტორო სადგური ჩამორჩა საშემოდგომო თესვის კამპანიის გეგმისათვის ბრძოლის საქმეში.

სადგურმა ვერ შესძლო კოლმეურნეთა მასების დარაზმვა ტექნიკურის კულტურების განვითარების ირგვლივ; სადგურმა ვერ შესძლო **გაუპიროვნების** წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება, რის გამო მანქანები და ტრაქტორები ხშირად ზიანდება და ცდება.

სატრაქტორო სადგურს კოლმეურნეობებისათვის უნდა მოეხნა ჩაისათვის 1100 ჰექტარი, სინამდვილეში მოხნული აქვს მხოლოდ 49 ჰექ.; რამის კულტურისათვის უნდა მოეხნა — 145 ჰექტარი, მოხნული აქვს სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა.

ზუგდიდის სამანქანო - სატრაქტორო სადგურმა **ამხ. სტალინის** ექვსი მითითების საფუძველზე უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა, სატრაქტორო სადგურმა უნდა შესძლოს უახლოეს დღეებში გარღვევების ლიკვიდაცია საშემოდგომო სას. - სამ. კამპანიის დარგში.

ი. იზორია

გადაჭარბებით შევასრულოთ გადამწყვეტი კვარტალის საფინანსო გეგმა

ყველა რაიონების და ავტონომიური რესპუბლიკების ფინრწმუნებულებს

მეოთხე გადამწყვეტი კვარტალი ჩვენ უნდა დავამთავროთ ბოლშევიკურად. ეს ნიშნავს წლიური საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. ამაშია ეხლა ადგილობრივი და ცენტრალური ფინორგანოების მთავარი ამოცანა. ამ ამოცანას უნდა მიექცეს ამ თავითვე განსაკუთრებული ყურადღება, იგი უნდა გადავსჭრათ და განვახორციელოთ ყოველ მიზეზს გარეშე.

ჩვენ უკვე განვვლეთ მეოთხე კვარტალის პირველი თვე—ოქტომბერი.

ოქტომბერში ფულადი სახსრების მობილიზაციის შედეგები სრულიად არადამაკმაყოფილებელი იყო.

თვიური გეგმა 20 ოქტომბრისათვის შესრულებულია მხოლოდ 41 პროცენტით. ზოგი რაიონები გეგმის შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ.

გადასახადთა სხვადასხვა სახეების აკრეფაში ადგილი აქვს დაუშვებელ გარღვევებს. აქ პირველ ყოვლისა აღსანიშნავია **სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და თვითდაბეგვრის და სახდაზღვევის გადასახადებისადმი სრულად დაუშვებელი უყურადღებობა. კულაკური მეურნეობებისაგან სასოფლო-სამეურნეო გადასახადი დღემდე არ არის საბოლოოდ აკრეფილი და იქ, სადაც კულაკებს ეს გადასახადი არ შეუტანიათ, არ არის რეალიზაციაქმნილი მათი ქონება; მიუხედავად ყველა დაწესებული ვადების გასვლისა.**

აშკარაა, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს **წმინდა წყლის მემარჯვენე** ოპორტუნიზმთან, რაც რაიონების პრაქტიკაში სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას.

სახელმწიფო სესხის საკონტროლო ციფრზე ხელის მოწერა საქართველოში გადაჭარბებით (145 პროცენტით) არის შესრულებული.

ცალკე სექტორებშიაც ამ მხრივ საკონტროლო ციფრის დავალებანი გადაჭარბებით შესრულდა. მაგრამ საერთო შესრულებას თან ახლავს დიდი ნაკლი: არ არის შესრულებული დირექტივა ხელის მოწერაში მთელი 100 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების ჩაბმის შესახებ. თუ დავეყრდნობით შრომის კომისარიატის ცნობებს, ჩვენი მუშა-მოსამსახურეების რიცხვი უდრის 260.000, ხოლო სესხზე ხელის მოწერაში ჩაბმულია 232.311 კაცი.

კოლმეურნეების რიცხვი (კოლხოზცენტრების ცნობებით) უდრის 250.000; ხოლო სესხის რეალიზაციაში ჩაბმულია 131.944, (53 პროც.). ეს არა თუ უბრალო ნაკლია, არამედ დიდი გარღვევაც, რის გამოსწორებას ადგილობრივი ორგანიზაციები სასწრაფოდ უნდა შეუდგენ იმ ანგარიშით, რომ ოქტომბრის რევოლუციის მე-14-ტე წლის თავზე მთელი 100 პროცენტით იქნან ჩაბმული სესხის რეალიზაციაში ყველა მუშა-მოსამსახურენი და კოლმეურნენი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე შემნახველ სალაროებში თანხების უკუქცევის ლიკვიდაციას.

ადგილობრივ რაიკომებსა და პასუხისმგებელ ფინმომუშავეებს უნდა ახსოვდეთ, რომ ჩამორჩენის და გარღვევების სასწრაფოდ გამოსწორება და ლიკვიდაცია, პირველ ყოვლისა მათ უნარიან და ენერგიულ მუშაობაზე არის დამოკიდებული.

ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულებმა (7-8 ნოემბერი) არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეანელოს ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში ადგილობრივი ფინორგანოების მუშაობა. პირიქით, ამ დღესასწაულების დროს ყოველგვარი კრებები გამოყენებულ უნდა იქნას მუშაობის ტემპების კიდევ უფრო გასაძლიერებლად;

ეს იქნება ნამდვილი ბოლშევიკური მუშაობა, ეს იქნება ბოლშევიკური ზეიმი.

საქართველოში ფულადი სახსრების მობილიზაციის და წლიური საფინანსო გეგმა უნდა შესრულდეს გადაჭარბებით.

მთელი თქვენი ენერგიით ხელი შეუწყვეთ ამ ფრიად სერიოზულ ამოცანის განხორციელებას. ენერგიულად გაშალეთ მუშაობა, აამოძრავეთ ყველა ცოცხალი ძალები.

თვითეულმა რაიონმა, თვითეულმა პატიოსანმა მუშაკმა მიზნათ უნდა დაისახოს მეოთხე კვარტალის საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

მხოლოდ ამ ამოცანისა და დავალების გადაჭარბებით შესრულება მოგვცემს წლიურ საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

თანახმად მოცემული დირექტივებისა, რომელიც ცალკე იყო გადმოგზავნილი ადგილებზე, მეოთხე კვარტალში ეწყობა საფინანსო შეკრებები (ესტაფეტა).

ყველა ამ საკითხების შესახებ ყველა რაიკომებს და ავტონომიურ რესპუბლიკების ფინრწმუნებულებს ევალებათ სასწრაფოდ შევიდნენ მოხსენებებით ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებში და მიიღონ ყოველგვარი ზომები მასიური მუშაობის გასაშლელად შემდეგი ლოზუნგებით: 1. მეოთხე კვარტალის საფინანსო გეგმის შესრულება გადაჭარბებით თვითეულ რაიონსა და ავტონომიურ რესპუბლიკაში; 2) წლიური საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულება საქართველოში. 3) გადამწყვეტი წლის სახელმწიფო სესხის რეალიზაციაში მთელი 100 პროცენტით მუშა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების ჩაბმა და სხვა.

მეოთხე კვარტალის დამთავრებამდე ორი თვე დარჩა. არ უნდა დავკარგოთ არც ერთი წუთი, არც ერთი საათი და არც ერთი დღე ამ ამოცანების შესრულებისათვის.

ენერგიულად, ბოლშევიკურად გაშლილი მასიური მუშაობით და ენტუზიაზმით საქართველოში წლიური საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გადამწყვეტი წლის სესხის რეალიზაციაში ჩამორჩენების ლიკვიდაცია და გამოსწორება! აი მორიგი ამოცანები.

ფრიად საპატიო, რთული და საპასუხისმგებლო დავალებები აქვთ დაკისრებული პარტიისა და ხელისუფლების მხრით პირველყოვლისა ფინორგანოებს.

ბოლშევიკურად დავირაზმოთ და გავანაღდოთ პარტიის და ხელისუფლების ეს დავალება ყოველგვარი დამახინჯებისა და გადახვევების გარეშე.

ა. დოლიძე.

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის 129 ტრაქტორი

ა. ქ. სამანქანო - სატრაქტორო სადგურებისათვის

ნავთლუღის სადგურზე სტალინგრადიდან მიიღებულია სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის 129 ტრაქტორი. ეს ტრაქტორები სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის განაწილებულია ამგვარად: სალიანის სამანქანო - სატრაქტორო სადგური ღებულობს 10 ტრაქტორს, ასტრახან-ბაზარის —6, მასალინის— 10, გინდარას —10, ყარაიას —8, ლაგოდეხის 10, სამუხის —(ახალი სამ. სატრაქ. სადგური) —10, წნორის (ახალი სამანქანო - სატრაქტორო სადგური)—20, ზუგდიდის —10, ნახიჩევანის — 10, დავალის —10 და ლანჩხუთის 10.

გარდა ამისა ბაქოში მიღებულია კიდევ სტალინგრადის ქარხნის 14 ტრაქტორი. ეს ტრაქტორები იგზავნება ახალ სამანქანო სატრაქტორო სადგურისათვის, რომელიც ეწყობა ლენქორანის რაიონში.

უახლოეს მომავალში მოელიან ტრაქტორების მე-2 დიდ პარტიას, რომლებიც განაწილდება 17 ახალ სამანქანო - სატრაქტორო სადგურებს შორის. (ადს).

სასკოლო მშენებლობა აფხაზეთში

ქართული ცხრაწლედის ახალი შენობა სოხუმში

1909 წელში დაბადებულთა [illegible]

წითელი არმია ღებულობს ფიზიკურად ჯანსაღ და კლასობრივად შეგნებულ ცვლას

საომარი ტეხნიკის ბოლშევიკური დაუფლება ახალწვეულთა ძირითადი ამოცანაა

„მოიხადეთ თქვენი მოვალეობა სოციალისტური ქვეყნის წინაშე"

ამხანაგო ახალწვეულებო!

თქვენ სდგებით საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ დამცველთა რიგებში იმ დროს როცა ჩვენმა ქვეყანამ ბოლშევიკების ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, მიაღწია უდიდეს წარმატებას სოციალისტურ მშენებლობაში, როცა ის ძლევამოსილად ამთავრებს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს.

ავუგუშნდნენ ასობით ახლად აგებული ფაბრიკები და ქარხნები, 518 ახალი საწარმო დაიწყებს მუშაობას ამა წლის დამლევისათვის. 120 ათასი ტრაქტორი ახლად გამოდის ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის მინდვრებზე. გლეხურ მეურნეობათა ნახევარზე მეტი კოლმეურნეობებში შევიდა, მოწყობილია ათასობით საბჭოთა მეურნეობანი—მარცვლეულის უდიდესი ფაბრიკები. ამუშავებულია ასი ათასობით ახლად გახსნილი სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, საავადმყოფოები, სამეცნიერო დაწესებულებანი.

მთელი საბჭოთა ქვეყანა ჩაბმულია სოციალისტურ მშენებლობაში, ასობით მილიონის მშრომელები ჰქმნიან ახალ ცხოვრებას.

ჩვენი წარმატებანი იმიტომ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში ამჟამად ადგილი აქვს მეურნეობის დაცემას. დაიხურა ასობით საწარმოები. ქუჩებში გამოყრილია მილიონობით უმუშევარი. განადგურდნენ და ჩაცვივდნენ გამოუვალ სიღარიბეში გლეხურ მეურნეობათა მილიონები.

უდიდეს გამარჯვებას, რაც მიღწეული საბჭოთა ხელისუფლების 14 წლის არსებობის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის მშრომელები კიდევ უფრო განამტკიცებენ და გააფართოებენ. ამოცანა—უახლოეს 1 წლის განმავლობაში ტეხნიკურად და ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს— შესრულებულ უნდა იქნას და შესრულდება კიდეც.

ამ ამოცანის განხორციელება ვალად აწევს აგრეთვე წითელ არმიასაც. მის უდიდეს მოვალეობას შეადგენს—უზრუნველყოს მუშების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა მშვიდობიანი შრომის შესაძლებლობანი. კაპიტალისტების ყოველი ცდა—ჩაშალონ ჩვენი მშენებლობა. გადაჭრით უნდა იქნა აღკვეთილი.

1909 წელს დაბადებულ ახალგაზრდობა მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმის საფრთხე ყოველთვის არსებობდა. მაგრამ ამჟამად ეს საფრთხე განსაკუთრებით დიდია. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადებას ბურჟუაზია ამჟამად უფრო ფართოდ და მეტის დაჟინებით აწარმოებს.

აი რატომ არის, რომ თვითეული ახალგაზრდა წითელარმიელის უპირველეს მოვალეობას შეადგენს ყოველივე ძალღონეს მიმართოს იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად შეითვისოს სამხედრო საქმე და მალე გახდეს ჩვენი ქ[illegible] ყოველ მხრივ შეიარაღებულ დამცველად. დაკვრითი საბრძოლო წესით, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლით უნდა მოჰკიდოთ ხელი სამხედრო ტეხნიკის შესწავლას, უნდა გახდეთ ჩინებული მსროლელი, უნდა იყოთ პოლიტიკურად შეგნებული, მცოდნე, ფიზიკურად ამტანი მებრძოლი.

ამხანაგებო! სამხედრო სწავლებას თქვენ გაივლით კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რიგებში. კავკასიის წითელდროშოვანი არმია იცავს საბჭოთა კავშირის საზღვრებს ერთ-ერთ საპასუხისმგებლო ადგილს, დაბანაკებულია ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში. ა.-კ. სფსრ-ის მოსახლეობა მრავალი ერისაგან შესდგება. კავკასიის წითელდროშოვანი არმიაც აგრეთვე ჩვენი წითელი არმიის ყველაზე მეტად მრავალეროვანი რაზმია.

ძმური ინტერნაციონალური შეკავშირება, ყველა ხალხთა მტკიცე ერთობა ყოველთვის შეადგენდა საბჭოთა ამიერ-კავკასიის მშრომელებისა და აგრეთვე კავკასიის წითელდროშოვანი არმიის წარმატებისა და ძლიერების საფუძველს. ამიტომ ბრძოლა ინტერნაციონალური ძმობის განსამტკიცებლად არმიის შიგნით და აგრეთვე მთელი კავკასიის წითელდროშოვანი არმიისა ა.-კ. სფსრ-ის მშრომელებთან—ეს თვითეული ახალგაზრდა მებრძოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობას შეადგენს. გადამწრელი წინააღმდეგობა დიდმპყრობელური და ადგილობრივი ნაციონალიზმისა და ანტისემიტიზმის ყოველგვარ გამოხატულებას! თვითეული ახალგაზრდა მებრძოლი წარმოადგენს ლენინური ინტერნაციონალიზმის მედროშეს, იგი ინტერნაციონალური ძმობის გამტარებელია.

თქვენ, წითელი არმიის ახალგაზრდა მებრძოლებს, მხურვალე სალამი საბჭოთა ამიერ-კავკასიის მშრომელთაგან!

იყავით კლასობრივად ფხიზელი, პოლიტიკურად შეგნებული მებრძოლნი წითელი არმიისა.

ბოლშევიკური ტემპებით სამხედრო ტეხნიკის დასაუფლებლად!

განამტკიცეთ რევოლუციონური სამხედრო დისციპლინა!

ინტერნაციონალურად შეაკავშირეთ თქვენი რიგები. განამტკიცეთ ძმური კავშირი ა.-კ. სფსრ-ის მშრომელებთან.

მთელი ენერგიით და ენტუზიაზმით იმუშავეთ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის საბრძოლო ძლიერების განსამტკიცებლად და ამით შეასრულეთ თქვენი რევოლუციონური ვალი სოციალიზმის მშენებელ საბჭოთა ქვეყნის წინაშე.

გაუმარჯოს საკავშ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს—სოციალისტური ქვეყნისა და წითელი არმიის ბელადს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას, რომელსაც ფხიზლად სდარაჯობს კავკასიის წითელდროშოვანი არმია!

გაუმარჯოს წითელდროშოვანი არმიის ახალგაზრდა მებრძოლებს!

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

არ შევანელოთ მუშაობა მორიგ გაწვევის ირგვლივ

1909 წელს დაბადებულ ახალწვეულთა საქმიმო შემოწმება ამიერ-კავკასიაში დამთავრდა. სამხედრო კომისარიატებში გაფაციცებით მუშაობენ განწესთა შესასრულებლად. თუ როგორ შეავსებენ სამხედრო კომისარიატები ჯარის ნაწილებს, როგორ გაანაწილებენ ახალწვეულებს—ამაზე არის დამოკიდებული არმიის მთელი საბრძოლო მომზადება.

ახალწვეულის კადრებში დანიშვნის დროს ადგილობრივ სამხედრო სამართველოს ორგანოების თვითეულ[illegible] მუშაკი ფრთხილად, ყოველმხრივად და ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს თვითეულ ახალწვეულს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სერიოზული ამოცანაა ახალწვეულ სპეციალისტთა სწორად განაწილება სხვადასხვა სახის ნაწილებს შორის. გაწვევის კომისიების მუშაობის შედეგები გვიჩვენებს, რომ ზოგიერთმა რაიონმა საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მიერ დასმული ამოცანა ახალწვეულთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ 100 პროცენტით შეასრულა. ამ მხრივ პირველი ადგილი უკავიათ აჭარისტანის საბჭოთა რესპუბლიკის, ზესტაფონის და გორის სამხედრო კომისარიატებს. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე ცუდათ იყო დაყენებული ალბულაღ-მანგლისის, ახალქალაქის და თბილისის რაიონებში. აქ წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პროცენტი მხოლოდ 70-75 უდრის, რაც მოწმობს, რომ ამ რაიონებში პარტიულმა, საბჭოთა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ეს მუშაობა სათანადოთ ვერ შეაფასეს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ საქმეს ეხლავე უნდა მოჰკიდონ ხელი და მოახდინონ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია 1909 წელს დაბადებულ ახალწვეულთა მთელს კონტინგენტს შორის.

შესუსტდა მუშაობა აგრეთვე პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების უმრავლესობაში. ტემპები შენელდა იმ მომენტში, როცა მუშაობა უმაღლეს წერტილამდის უნდა ასულიყო. რა გააკეთეს სასოფლო საბჭოებმა, უჯრედებმა, ქარხნებმა ფაბრიკებმა, კოლმეურნეობებმა და მთლიანად რაიონებმა ახალწვეულთა გაცილებას მოსამზადებლად? ჯერ-ჯერობით ამ მხრივ ძალიან ცოტა რამ გაკეთდა, გაცილებას მოწყობას აპირებენ თვითმდინარეობით.

სანამ არ დაგვიანებულა, პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უნდა მოაგვარონ ეს საქმე, უნდა გამოჰყონ პასუხისმგებელი პირები ახალწვეულთა გაცილების ჩასატარებლად. გაცილების გარშემო ფართოდ უნდა დაირაზმოს საზოგადოებრივი აზრი. გაცილების მომენტში საბჭოთა ამიერ-კავკასიის ყოველი მშრომელი უნდა გრძნობდეს, რომ იგი წითელ არმიაში აგზავნის რესპუბლიკის საუკეთესო შვილებს რომელთაც ავალებს მშრომელთა მშვიდობიანი შრომის და სოციალისტური მშენებლობის დაცვას კაპიტალისტების თავდასხმისაგან. საჭიროა ამ კამპანიის ფართოდ ჩატარება. ეს ამოცანა მნიშვნელოვანი და სერიოზულია და პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ის მთავარ საკითხად უნდა დასვან თავიანთი დღის წესრიგში.

მ.—ვი.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისი ღრმავდება

1929 წლის შემოდგომის უკანასკნელ თვეებში, როდესაც იმპერიალისტური ბურჟუაზია ამერიკული აყვავების" („პროსპერიტის") იმედებით კიდევ იკვებებოდა, შეერ[illegible] კაპიტალისტ. ინდუსტრიის ძირითადი დარგების წარმოება — და მისმა პროდუქციამ იწყო შეუწყვეტელი შემცირება. ამით დაიწყო მსოფლიო ეკონომიური კრიზისის პირველი ეტაპი.

კაპიტალის მაგნატების და მათი პარტიულ მსახურებისათვისაც კი მოულოდნელი იყო ეს; ისინი საკმაოდ უდარდელად გრძნობდენ თავს კაპიტალისტური სტაბილიზაციის დამპალ და მერყევ საფუძველზე და პროლეტარიატის ექსპლოატაციის უსაზღვრო გაძლიერების იმედებით გატაცებულნი მოგების შემდგომ ზრდაზე ოცნებობდნენ.

ასეთ ოცნების ამერიკულ გამოხატულებას წარმოადგენდა ჩ. ა. შეერთებულ შტატების პრეზიდენტ **ჰუვერის** — განცხადება თავისი კომიტეტის ორტომიანი შრომის... წინასიტყვაობაში, რომ შეერთებული შტატების „**წინაშე უსაზღვრო სივრცეა და ახალი მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილებაც გზას გაუხსნის სხვა ახალ მოთხოვნილებებს**". მაგრამ სინამდვილემ დასცინა ჰუვერის გულთმისნობას და ამერიკული ბურჟუაზიის ოცნებას. მან კაპიტალისტური ქვეყნები დააყენა კაპიტალიზმის ისტორიაში გაუგონარი ეკონომიური კრიზისის წინაშე.

ის ფაქტი, რომ კრიზისი უკვე ორი წლის განმავლობაში გრძელდება და ღრმავდება, რომ იგი **კაპიტალიზმის ეკონომიური კრიზისიდან მისი პოლიტიკური კრიზისის გამოსავალ წერტილად გადაიქცა**, ლაპარაკობს მიმდინარე კრიზისის სპეციფიურობასა და მის განსაკუთრებულ სიღრმეზე, სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქის — წინაიმპერიალისტურ პერიოდის — კრიზისებიდან განსხვავებით.

ომის შემდეგდროინდელი კაპიტალიზმის ნაწილობრივი, მაგრამ მერყევი სტაბილიზაციის საფუძველზე, სტაბილიზაციის, რომელიც უხვად საზრდოობდა დღეს უკვე საკმაოდ საფუძვლიან შერყეულ ვერსალის ყაჩაღური ხელშეკრულებით და რომელიც ეხლა „**დასასრულს უახლოვდება**", (კომინტერნის აღმასკომის მე-11 პლენუმის თეზისებიდან) — გაიშალა მიმდინარე მსოფლიო ეკონომიური კრიზისი.

კაპიტალისტური წარმოების „აყვავების" ყველაზე მეტად კლასიური ქვეყანა—შეერთებული შტატები — პირველი მოექცა კრიზისის გამანადგურებელი გავლენის ქვეშ. შეერთებულ შტატებში დაწყებული ეკონომიური კრიზისი რკინის აუცილებლობით გადაიქცა **მსოფლიო - საყოველთაო ეკონომიურ კრიზისად.** კრიზისი გაიშალა არა მარტო შეერთებულ შტატებში, არამედ მან მაგრად ჩაჰბღუჯა თავისი გამანადგურებელი კლანჭები **გერმანიას, ინგლისს, იტალიას, პოლონეთს, საფრანგეთს** და მსოფლიოს ყველა კოლონიალურ, ნახევრად კოლონიალურ და აგრარულ ქვეყნებს. 7—8 თვის განმავლობაში, 1930 წლის დასაწყისისათვის კრიზისმა უკვე მიიღო **მსოფლიო ეკონომიური კრიზისის** ხასიათი. ეს იყო პირველი მწვავე სილა, რომელიც ბურჟუაზიული მეცნიერების წარმომადგენლებს გაუწნა კრიზისის განვითარების პირველმა ეტაპმა.

მომენტი, რომელიც სპეციფიურს ხდის მიმდინარე ეკონომიური კრიზისს, მის **საყოველთაო** ხასიათში მდგომარეობს.

როგორც შეერთ. შტატებში, დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც კრიზისი **შეეხო მეურნეობის ყველა დარგებს, მის ყველა სახეებს, გარდა** სამხედრო მრეწველობისა, იგი შეეხო **კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობასაც** და კატასტროფიულ მდგომარეობამდე მიიყვანა მრეწველობის ნედლეულის ბაზა. კრიზისის გაშლის და განვითარების ძირითადი ნიშნები გამოიხატა შემდეგ **ოთხ ფორმაში**: 1. კაპიტალისტური მრეწველობის პროდუქციის და შემდეგ დირებულების ფონდის აშკარა პერმანენტული შემცირება; 2. მშრომელი მოსახლეობის გაღატაკების, მათი სყიდვითი უნარიანობის დაწევის და მუშათა კლასის მატერიალური პირობების გაუარესების საფუძველზე ქვეყნის საშინაო ბაზარზე საქონლებზე არსებულ მოთხოვნილებების მინიმუმამდე შეკვეცა; 3. ცალკე კაპიტალისტური ქვეყნების საგარეო ვაჭრობის და საერთოდ მსოფლიო ვაჭრობის შემცირება და 4. სამრეწველო - სავაჭრო კრიზისზე მიმდინარე წლის ზაფხულში აღმოცენებული მწვავე საბანკო-საკრ. კრიზისის.

სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქის კრიზისებიდან განსხვავებით, როდესაც კრიზისის განვითარების პირველ ეტაპზე თავს იჩენდა საბანკო - საკრედიტო კრიზისის ნიშნები, მიმდინარე ეკონომიური კრიზისის დროს ამ ნიშნებმა მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1931 წლის ივლის - აგვისტოში იჩინა თავი და კიდევ უფრო გააღრმავა და გაახანგრძლივა მიმდინარე კრიზისი.

ეს ფაქტი, ერთხელ კიდევ ლაპარაკობს, რომ **კაპიტალიზმის იმპერიალისტურ საფეხურზე, ძირეულად იცვლება კრიზისის ხასიათი და მიმართულება, მისი სიღრმე და გავლენა და იგი ხდება კაპიტალიზმის დამარღვეველ მოვლენად. მისი დაკაბუნების ქრონიკულ გამოხატულებად.**

ორი წ. განმავლობაში, როდესაც კრიზისმა მიიღო მსოფლიო საყოველთაო კრიზისის ხასიათი, იგი ვითარდებოდა და ვითარდება **არათანაბრად**. კაპიტალიზმის, **არათანაბარი** განვითარების საფუძველზე, ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნების და წარმოების სხვადასხვა დარგების **უთანაბრო** განვითარების ნიადაგზე, გაიშალა მიმდინარე კრიზისის **არათანაბარი** განვითარება. სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა დარგებში, სხვადასხვა დროს შეიჭრა კრიზისი და შეიტანა იქ თავისი **უთანაბრო**, მაგრამ მაინც გამანადგურებელი გავლენა. კრიზისის ეკონომიური მაჩვენებლებმა, რომლებიც პირველად კაპიტალისტური წარმოების პროდუქციის შემცირებაზე ლაპარაკობდნენ ამ ორი წლის მანძილზე მიიღეს ისეთი სახე, რომ ისინი ეხლა აშკარად გვიჩვენებენ [illegible] კრიზისის იმ დიდ სიღრმეს, რომელიც არც ერთ წინა კრიზისს არ ახასიათებდა და იმ ხანგრძლივობას, რომლის საფუძველზე სწრაფად იშლება და ირღვევა კაპიტალისტური მეურნეობა. შეერთ. შტატებში კრიზისი მრეწველობის პროდუქციის დაცემით დაიწყო. კიდევ უფრო ამწვავებდა კრიზისის ხასიათს და მის მძაფრ შედეგებს ის გარემოება, რომ იგი პირველადვე კაპიტალისტური ინდუსტრიის ძირითად დარგების: [illegible] მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის და მანქანათმშენებლობის პროდუქციის შემცირებით დაიწყო, რამაც მაშინ გამოიწვია საწარმოო აპარატის დატვირთვის 65—70 პროცენტამდე (ელექტრო და სპილენძის მრეწველობა) შეკვეცა.

ჩრ. ამერიკის ეკონომიური ჟურნალ „ანალისტი"-ს ცნობებით ფოლადის პროდუქცია ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში 1930 წლის სექტემბერში, 1929 წლის სექტემბრის 4,5 მილიონ ტონის წინააღმდეგ, 2,9 მილიონ ტონამდე შემცირდა; იმავე პერიოდში თუჯის წარმოება 3,5 მილიონ ტონიდან 2,3 მილიონ ტონამდე (34 პროცენტი), ხოლო ავტომობილების პროდუქცია 429.700 ცალიდან 226.300 ცალამდე (47 პროცენტი) შემცირდა. უკვე 1929 ოქტომბერში, მრეწველობის პროდუქციის შემცირების და კრიზისის სხვა ქვეყნებში შეჭრის საფუძველზე, შეერთ. შტატებში თავი იჩინა საგარეო ვაჭრობის შემცირების ტენდენციამ, დაეცა მსოფლიო ბრუნვაში შეერთ. შტატების ხვედრითი წონა. 1930 წლის ივლისისათვის შეერთ. შტატების საგარეო ვაჭრობა 486 მილიონ დოლარს არ აღემატებოდა, 1929 წლის ივლისის 756 მილიონ დოლარის წინააღმდეგ.

სხვადასხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით მრეწველობის პროდუქციის შემცირების საფუძველზე თავი იჩინა საგარეო ვაჭრობის შემცირების ნიშნებმა; 1930 წლის პირველ ნახევარში 1929 წლის იმავე პერიოდთან შედარებით შემცირდა. ინგლისის ექსპორტი 22 და იმპორტი 12 პროც. გერმანიის ექსპორტი 15,7 და იმპორტი 22,4 პროც. და საფრანგეთის ექსპორტი 14 და იმპორტი 10 პროცენტით.

ჩვენ მოვიყვანთ უფრო დამახასიათებელ ცნობებს იაპონიის საგარეო ვაჭრობის შემცირების შესახებ, რომელიც შედარებით გვიან მოექცა კრიზისის გავლენის ქვეშ. 1931 წლის პირველ ნახევარში იაპონიის ექსპორტი 574, იმპორტი კი 947 მილიონ მანეთს უდრიდა, რაც 1930 წლის პირველ ნახევართან შედარებით ექსპორტის 21 და იმპორტის 28 პროცენტით შემცირებას ნიშნავს.

განსაკუთრებული სიმწვავით კრიზისი წვრილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს (პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი და სხვა) შეეხო და განადგურების გზაზე დააყენა მათი მეურნეობა. ამ ვასალურ ქვეყნებში სწრაფად დაიწყო მრეწველობის პროდუქციის შემცირება; მაგ. პოლონეთის მრეწველობის ყველა დარგების პროდუქცია 1929 წლის ოქტომბრიდან 1930 წლის აპრილამდე (6 თვის განმავლობაში) 4,4 მილიონიდან, 2,6 მილიონ ტონამდე (40,1 პროც.) შემცირდა.

ეკონომიური კრიზისის გავლენის ქვეშ —**სოფლის მეურნეობაც** მოექცა. კრიზისი განსაკუთრებით შეეხო, კანადას, სამხრეთ ამერიკას, ინდოეთს, ეგვიპტეს და სხვა ქვეყნებს. ამგვარად **მსოფლიო სამრეწველო კრიზისი** შეხვდა და გადაეჯაჭვა **მსოფლიო აგრარულ კრიზისს**, რომელმაც თავისი გამოხატულება კრიზისის პირველ თვეებში უპირველეს ყოვლისა **სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებზე ფასების დაცემაში ჰპოვა**. თითქმის ყველა აგრარულ, კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში დაიწყო ფასების დაცემა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. შემდეგი ცნობები, მოგვცემენ ნათელ სურათს მსოფლიო ბაზარზე სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების ფასების დაცემის შესახებ; (1929 წლის 17 ოქტომბრიდან 1930 წლის 16 ოქტომბრამდე).

პროდუქტები.	პროცენტი. ფასის დაკლებით
ხორბალი	45
ამერიკული ბამბა	53
ეგვიპტის ბამბა	41
იაპონიური აბრეშუმი	52
ჩინური აბრეშუმი	39
ავსტრალიის მატყლი	20
კაუჩუკი	42
პალმის ზეთი	36
ახალზელანდიის ზეთი	39
ბრაზილიის ყავა	29

ამგვარად კრიზისის პირველი წლის განმავლობაში (ოქტომბერი 1929-30 წ.წ.) აღნიშნულ **10 ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასმა მსოფლიო ბაზარზე საშუალოდ 39,6 პროცენტით დაიწია**. განსაკუთრებით მწვავე სახე კრიზისმა მიიღო აგრარულ-ინდუსტრ. ტიპის წვრილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, კერძოდ კი **პოლონეთში**, სადაც დიდი სიჩქარით დაეცა სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების ფასები.

*

კრიზისის დაწყების მომენტიდან ორი წელი გავიდა. ბურჟუაზია არ მოელოდა, კრიზისის ამგვარ გახანგრძლივებას. ბურჟუაზიულ ეკონომისტების მტკიცებით მიმდინარე კრიზისი კაპიტალისტური მეურნეობის თითქმის მხოლოდ და მხოლოდ „**უბრალო შეფერხებას**", **სამრეწველო კაპიტალიზმისათვის „ჩვეულებრივ" კრიზისს, საბაზრო - კონიუნქტურული ხასიათის დაბრკოლებას წარმოადგენდა**, რომელსაც რამოდენიმე თვეში უნდა მოეღებოდა ბოლო. ასე ოცნებობდა თავს კრიზისის პირველ თვეებში მსოფლიო იმპერიალიზმი და სოციალ-დემოკრატია.

სინამდვილეში მსოფლიო ეკონომიური კრიზისი დღესაც აშკარად აჩენს თავის გამანადგურებელ ძალას, **ვითარდება, როგორც ომის შემდეგ დროინდელი კაპიტალიზმის საერთო - საყოველთაო კრიზისის ეკონომიური და პოლიტიკური გამოხატულება** და კატასტროფიულ მდგომარეობამდე მიჰყავს უმთავრეს კაპიტალისტურ სახელმწიფოების მეურნეობა.

მიმდინარე ეკონომიურ კრიზისმა, აშკარად დაამტკიცა ის გარემოება, რომ **ეხლანდელი კრიზისი წარმოადგენს არა კაპიტალისტური წარმოების „უბრალო შეფერხებას", არა ჩვეულებრივ კრიზისს და საბაზრო - კონიუნქტურული ხასიათის მოვლენას, არამედ კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის გამოხატულებას, მის საფუძველზე გაშლილ იმპერიალიზმის [illegible] ილიუსტრაციას.**

უკანასკნელი ცნობებით, რომლებიც კრიზისის შემდგომი გაღრმავების, მისი ახალი ეტაპის შესახებ ლაპარაკობენ, ცხადი ხდება, რომ ფიქრი კრიზისის დასასრულის მოახლოებაზე შემცდარია.

კრიზისის, როგორც „უბრალო შეფერხების" ილიუზიის ნამსხვრევს წარმოადგენდა 1931 წლის გაზაფხულზე ბურჟუაზიის და მათი მსახურების ის ალტაცება, დაიმედება, რომლებიც მათში **საგაზ. გამოცოცხლებამ** გამოიწვია; მიმდინარე წლის პირველ თვეებში (იანვარ-მაისი) სამრეწველო საწარმოთა და განსაკუთრებით ამშენებლობის ოდნავ გამოცოცხლებამ, რომელსაც ზოგიერთ ქვეყნებში ჰქონდა ადგილი, ბურჟუაზიის უფრო გულუბრყვილო წარმომადგენლებს შეუქმნა კრიზისის დასასრულის მოახლოების ავადმყოფური ილიუზია, რომელმაც გაზაფხულის უკანასკნელ დღეებთან ერთად განქარდა სულ. უფრო გონიერი ბურჟუაზიულ ბანაკიდან მშვენივრად გრძნობდნენ ამ „გამოცოცხლების" ფასს და უიმედოდ შეჰყურებდნენ მომავალს. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ეკონომისტი ო. სპრაგი, ასეთი ილიუზიის გასაფანტავად მიმდინარე წლის აპრილში აცხადებდა: „**მე სიამოვნებით გამოვაცხადებდი ჩ. ა. შეერთებულ შტატებში ეკონომიური აღდგენის ნიშნებს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ აბსოლუტურად უძლური ვარ ასეთი ნიშნების აღმოჩენაში. პირიქით, მე გამოვამჟღავნებ იმის სხვადასხვა ნიშნებს, რომ კრიზისი ხდება თუ ქრონიკული არა, უფრო მეტად მწვავე მაინც. ორი წლის უკან ძნელი იყო ამ აზრის გამოთქმა, რადგან ამერიკა მაშინ კიდევ იკვებებოდა აყვავების სავსებილი ნაყოფით. ეხლა ამერიკა იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიო, რომელიც განიცდის ამ საუკუნის მანძილზე ყველაზე უსაშინელეს კრიზისს**".

მეორე ინტერნაციონალის „მარქსისტებზე" უფრო შორსმჭვრეტელი და სიღრმისეული აღმოჩნდა ბურჟუაზიული პროფესორი, რომელმაც აღიარა მწარე სინამდვილე; სწორად შეაფასა საგაზაფხულო გამოცოცხლების უიმედო ილუზიები. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადად დაადასტურა მიმდინარე კრიზისის სიღრმე და **უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში (ივლისი — სექტემბერი) კრიზისი გადავიდა თავისი განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე, იგი კიდევ უფრო გაღრმავდა და შეიჭრა კაპიტალისტური სახელმწიფოების ფინანსების, მათი საკრედიტო და ფულადი სისტემის სფეროში.**

განსაკუთრებით მკაფიოდ კაპიტალისტური ფინანსების, მისი საბანკო-საკრედიტო და ფულადი სისტემის კრიზისმა თავი იჩინა მიმდინარე წლის მაის-აგვისტოში.

ოთხი ძირითადი მომენტი გარკვევით ლაპარაკობს კრიზისის ახალი ფაზის, მისი შემდგომი გაღრმავების შესახებ; ეს მომენტებია: 1. ამ გაზაფხულზე და უკანასკნელ თვეებში მთელ რიგ სახელმწიფოებში (შეერთ. შტატები, გერმანია, ავსტრია, შვეიცარია, უნგრეთი და ბოლოს ინგლისი) მომხდარი, მსხვილ კაპიტალისტურ-მონოპოლისტურ გაერთიანებათა და საწარმოთა მასიური გაკოტრებანი.

2. ამ ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის და ხარჯების კატასტროფიული დაქვეითების საფუძველზე აღმოცენებული და განვითარებული მათი სახელმწიფო ფინანსების კრიზისი, რომელიც ინგლისის სახელმწიფო ფინანსების კრახით და მთელი რიგი სახელმწიფოების (ავსტრალია, ავსტრია, სამხრეთ-ამერიკის ქვეყნები, პერუ, ბოლივია, ჩილი და სხვა) სრული გაკოტრებით დაიწყო.

3. სამრეწველო პროდუქციის შემცირების და მონოპოლისტურ გაერთიანებათა გაკოტრების საფუძველზე აღმოცენებული და გაშლილი საბანკო - საკრედიტო კრიზისი და 4. წარმოების და გასაღების კრიზისის საფუძველზე, სახელმწიფო ფინანსების და საბანკო-საკრედიტო სისტემის შერყევასთან დაკავშირებით გაშლილი ფულადი კრიზისი, რომელიც ინგლისში ოქროს სტანდარტის გაუქმებით დაიწყო და რომელმაც მთელი რიგი სახელმწიფოების (ფინლიანდია, შვეცია, შეერთ. შტატები) ფულის სისტემის შერყევა და სტერლინგის ღირებულების დაცემა გამოიწვია.

განსაკუთრებით აძლიერებს ამ ფაქტორების სიმწვავეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ახალი მოსავალზე ფასების დაცემასთან დაკავშირებული მსოფლიო აგრარული კრიზისის შემდგომი გაღრმავება. (კრიზისი შეიჭრა ისეთ დარგებში, რომლებიც პირველად ცოტად თუ ბევრად არ განიცდიდენ მის გავლენას. მაგ.: მეცხოველეობა და სარძეო მეურნეობა).

მიმდინარე წლის ზაფხულში, კაპიტალისტურ სახელმწიფოების მსხვილმა მონოპოლისტურმა გაერთიანებებმა, საერთაშორისო კარტელებმა და ტრესტებმა, მსხვილმა ბანკებმა და ბოლოს სახელმწიფოებმაც კი განიცადეს ფინანსიური კრახი—გაკოტრდენ.

მასიური ხასიათი მიიღო კერძოდ ბანკების გაკოტრებამ შეერთ. შტატებში, გერმანიაში, ავსტრიაში, და უნგრეთში. 1931 წელში შეერთ. შტატებში გაკოტრებულ ბანკების რიცხვი გაიზარდა დიდი სისწრაფით.

კატასტროფიულ მდგომარეობამდე მიიყვანა გაკოტრებამ გერმანიის საბანკო-საკრედიტო სისტემა და მასზე დამოკიდებული მრეწველობის ძირითადი დარგები. „ფრანკფურტერ ცეიტუნგი"-ს ცნობით მარტო 1931 წლის პირველ ნახევარში გერმანიაში 10.297 გაკოტრება მოხდა.

ცნობილი გერმანელ „**დანატბანკის**" გაკოტრებამ, რომელსაც ბრიუნინგის რეაქციონური მთავრობა 45 მილიონი მარკით დაეხმარა გერმანიის საქმიან წრეებში უდიდესი პანიკა გამოიწვია. გაკოტრდა **დრეზდენის სამრეწველო ბანკი**, რომელმაც მთავრობისაგან 300 მილიონიან დახმარება მიიღო. ავსტრიაში გაკოტრდა უდიდესი სამრეწველო ბანკი „**კრედიტ ანშტალტ**", რომელზედაც დამოკიდებული იყო ავსტრიის მრეწველობის 75 პროცენტი. ბანკების მასიურ გაკოტრებას ჰქონდა ადგილი უნგრეთში, რუმინეთში, ნაწილობრივ ესპანიაში და ბოლოს ის შეეხო ფართოდ ინგლისსაც.

საგაზაფხულო გამოცოცხლებას, რომელმაც ვერავითარი ფაქტიური გაუმჯობესება კაპიტ. მეურნეობის კონიუნქტურაში ვერ შეიტანა, ორგანიულად მოჰყვა უმთავრეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებში პროდუქციის შემდგომი შემცირება.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ახალ ფაზისში შესვლასთან დაკავშირებულია მსოფლიო აგრარული კრიზისის შემდგომი გაღრმავება და გამწვავება, რამაც თავისი გამოხატულება სხვადასხვა ქვეყნებში სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებზე ფასების დაცემის გარდა, ამ პროდუქტების განსაკუთრებით კი ხორბლის მარაგის გაზრდაში ჰპოვა.

ხორბლის მარაგის ზრდა (მილიონი ბუშელი)

	საშუალო მარაგი			
	1910—14 წ.წ.	1926—30 წ.წ.	1930 წელი	1931 წლის 1 ივლისი
ჩ. ა. შეერთ. შტატებში	84	133	212	368
კანადა	38	145	195	178
ავსტრალია და არგენტინა	91	58	66	93
ინგლისი	66	67	77	61

ამგვარად ოთხ დიდ ქვეყანაში, რომლებიც უმთავრეს პურის მწარმოებელ ქვეყნებად ითვლებიან (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბალკანეთ - დუნაის ქვეყნებს) 1931 წლის პირველ აპრილისათვის პურის მარაგი სამჯერ აღემატებოდა ომის წინათდელი წლის საშუალო მარაგს და 20 პროცენტით მეტი იყო 1930 წლის პურის მარაგზე; ეს ხდება იმ დროს, როდესაც კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში უმუშევრობის და სიმშილის გამო მილიონები სიცოცხლეს ეთხოვებიან. ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებში უკანასკნელად კიდევ უფრო გაღრმავდა ეკონომიური კრიზისი და შემცირდა ეკონომიური ცხოვრების ისედაც ნელი მაჯისცემა. შეერთ. შტატებში 1931 წლის პირველ ნახევარში 1930 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 19 პროცენტით შემცირდა მრეწველობის პროდუქცია და შეიკვეცა საგარეო ვაჭრობა. შეერთ. შტატების საგარეო ვაჭრობა დაეცემა კატასტროფიულ ციფრებამდე. 790 მილიონ დოლარიდან (1929 წლის ივნისი) იგი 577 მილიონამდე შემცირდა (1930 წლის ივნისი). ხოლო მიმდინარე წლის ივნისში იგი 368 მილიონ დოლარამდე დაეცა; (ექსპორტი 187 და იმპორტი 176 მილიონი დოლარი).

კრიზისი გაძლიერდა და გაღრმავდა ინგლისშიაც. კრიზისმა კიდევ მეტად შეამცირა ინგლისის მრეწველობის ძირითად დარგების პროდუქცია და მისი მონაწილეობა მსოფლიო ბრუნვაში.

ლონდონის „ეკონომისტი"-ს ინდექსით, ინგლისის მეურნეობის ძირითად დარგების პროდუქცია მიმდინარე წელში ასეთია: (1924—100).

	I კვარტალი.	მარტი	აპრილი	მაისი	1930 წლის მაისი
რკინა და ფოლადი	90	84	78	82	128
ქვანახშირი	111	112	108	102	111
ბამბა	70	64	64	66	85
კაუჩუკი	418	355	371	309	337
ელექტრო-ენერგია	133	126	118	108	128
მანქანწარმოების გატანა	66	66	168	64	93

აბსოლუტური ციფრები, რომლებსაც ჩვენ ინგლისის სამეურნეო ცხოვრების შესახებ ქვემოდ მოვიყვანთ, ერთხელ კიდევ დაადასტურებს კრიზისის იმ დამანგრეველ გავლენას, რომელიც განსაკუთრებით 1931 წლის განმავლობაში გამომჟღავნდა და რომელმაც ასეთ კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩააყენა ეს ქვეყანა.

წარმოება ინგლისში წლის პირველ ნახევარში

	1929 წ.	1930 წ.	1931 წ.
ქვანახშირი (მილიონ ტონებში)	42,5	41,9	37,1
თ უ ჯ ი	3,60	3,72	2,01
ფოლადი	4,86	4,36	2,65
გემთმშენებლობა პირველ კვარტალის ბოლოს (მილიონ ტონებში)	1,86	1,31	0,69

მიმდინარე წლის უკანასკნელ თვეებში, განსაკუთრებით შემცირდა ინგლისიდან ნახშირის გატანა; 1931 წლის მეორე კვარტალში (აპრილი - ივნისი) ინგლისიდან გატანილ იქნა 72 მილიონი გირვანქა სტერლინგის ფაბრიკატი, 1930 წლის იმავე პერიოდში 110,3 მილიონი გირ. სტერლინგის ნაცვლად.

კრიზისმა, თავისი გამანადგურებელი გავლენით, გერმანიის საბანკო საკრედიტო სისტემის შერყევასთან ერთად, მისი სამრეწველო პროდუქციის შემცირებაც გამოიწვია.

ასეთივე მდგომარეობაა გერმანიაშიც, სადაც მრეწველობის პროდუქციის შემცირებასთან ერთად შემცირდა საგარეო ვაჭრობაც.

როგორც ცნობილია, შედარებით გვიან, მაგრამ მწვავედ კრიზისი შეეხო საფრანგეთს. 1930 წლის იანვრიდან დაწყებული, ეკონომიური კრიზისის გაშლის და გაღრმავების საფუძველზე, საფრანგეთის მრეწველობის პროდუქციამ იწყო შემცირება.

სამრეწველო პროდუქციის შემცირებამ, საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის შემცირება გამოიწვია და თითქმის განახევრა იგი. საფრანგეთის საგარეო ვაჭრობა 7.665 მილიონ ფრანკიდან (1930 წლის მაისი) დაეცა 6.013 მილიონ ფრანკამდე (1931 წლის მაისი).

ასეთია კაპიტალისტური მეურნეობის მისი მრეწველობის და ვაჭრობის უკანასკნელი, საგაზაფხულო გამოცოცხლების შემდეგი თვეების ცოცხალი ციფრები, რომლებიც დაჟინებით და გარკვეულად ლაპარაკობენ მსოფლიო ეკონომიური კრიზისის შემდგომი გაღრმავების, მისი ახალი ფაზის, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებულ ეკონომიური და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა უდიდესი ზრდის, კაპიტალიზმის დაშლის და გახრწნის გაფართოების შესახებ.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ახალ ფაზისთან დაკავშირებით იმპერიალისტური ბურჟუაზია გადადის შეტევაზე მუშათა კლასის ელემენტარული საარსებო პირობების წინააღმდეგ და საერთაშორისო მენშევიზმის აქტიური დახმარებით ამზადებს ფაშიზმის ფრონტს პროლეტარული რევოლუციის ახალგაზრდა ძალების საწინააღმდეგოდ. ეძებს გამოსავალს ამ მდგომარეობიდან.

კაპიტალისტური სახელმწიფოების სამინისტროთა პერმანენტული კრიზისის და ცვლის საფუძველზე, სახელმწიფო ძალაუფლების სამხედრო პირთა ხელში გადასვლის და შემდგომი ფაშიზაციის ნიადაგზე თანდათან იშლება და ფართოვდება [illegible] მზადებები; იზრდება მსოფლიო კაპიტალიზმის ეკონომიური კრიზისის იმპერიალიზმის [illegible] პოლიტიკურ კრიზისად გადაქცევის პროცესი.

ვალ. მგალობლიშვილი.

რევოლიუციონური კანონიერების უხამსი დარღვევის შემთხვევა

გასული წლის 29 ივნისს ღამით ს. ერკეთში (ჩოხატაურის რაიონი) გატყუებით კეტების საშუალებით თავი გაუჩეჩქეს საუკეთესო ექიმს—ვანო ჩიგოგიძეს. ვინ მოჰკლა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ვინ მოაკვლევინა ექიმი ვანო ჩიგოგიძე? ოზურგეთის საავადმყოფოს ყოფილმა გამგემ, უდიპლომო, ცრუ ექიმმა ივანე უჯმაჯურიძემ, რომელიც თავისი ჟანგიანი საოპერაციო დანით მუსრს ავლებდა მის საავადმყოფოში მოხვედრილ ავადმყოფებს. რატომ მოაწყო უჯმაჯურიძემ ეს საზიზღარი მკვლელობა?

აი რატომ, ვინც დაწვა უჯმაჯურიძის დანის ქვეშ, მას მზის სინათლე აღარ უნახავს. ამან დააფრთხო ავადმყოფები, რომლებიც თოფის სასროლ მანძილზეც აღარ ეკარებოდნენ უჯმაჯურიძეს. ამავე დროს გურიაში მუშაობდა გამოცდილი ქირურგი ექიმი—ჩიგოგიძე. ყველა რთული ოპერაციებისათვის მას იწვევდნენ, მას მიმართავდნენ. უჯმაჯურიძე თავს შეურაცყოფილად გრძნობს. გრძნობს რომ მის ცრუ ექიმობას ფარდა ეხდება და ეს მართლაც ასე მოხდა. ერთ-ერთ თათბირზე ექიმ ჩიგოგიძემ საჯაროთ ამხილა უვიცობა უჯმაჯურიძისა, რომელიც სახელს უტეხავდა სოფლად ექიმებს და თავისი ბოროტმოქმედებით ექიმბაშობას უწყობდა ხელს. უჯმაჯურიძეს მოსთხოვეს მოწმობა უმაღლესი განათლების მიღების შესახებ, რომელიც მას არ აღმოაჩნდა. გამოაშკარავდა უჯმაჯურიძის ცრუ ექიმობა.

შეურაცყოფილი უჯმაჯურიძე სამაგიეროს გადასახდელად მიმართავს მხეცურ გზას. ის თავის ძმას ვასილ უჯმაჯურიძეს ავალებს ჩიგოგიძის მოკვლას, აძლევს მას სათანადო რჩევა - დარიგების. ჩიგოგიძე გაიტყუეს ვითომ ავადმყოფის სანახავად და გზაში კეტებით თავი გაუჩეჩქეს მას.

ყოველივე ეს გამოაშკარავდა და დადასტურდა გამოძიებით. ხალხის აღშფოთების საზღვარი აღარ ქონდა. საქმის გასარჩევად ჩოხატაურში სპეციალურად ჩავიდა უზენაესი სასამართლოს სესია, რომელმაც უშუალო მკვლელს უჯმაჯურიძეს მიუსაჯა ათი წლით სასტიკი იზოლაცია, ხოლო წამქეზებელს და მკვლელობის სულის ჩამდგმელს ცრუ ექიმ—ივანე უჯმაჯურიძეს (მართალია, მასაც ათი წელი მიესაჯა) ამნისტიის შეფარდების შემდეგ დაუტოვა ხუთი წლის პატიმრობა სასტიკი იზოლაციით.

მაგრამ რას ვხედავთ? გადის რამოდენიმე კვირა და „ექიმი“ ივანე უჯმაჯურიძე ისევ ოზურგეთში ჩადის და აკრავს განცხადებას, თუ რა და რა საათებში მიიღებს ავადმყოფებს.

რას ჰგავს ეს?, ვინ უტეხავს სახელს რევოლიუციონურ კანონიერებას? მოსახლეობა აღშფოთებულია უჯმაჯურიძის ასეთი გამოსვლით. „ექიმი“ უჯმაჯურიძე იძულებული გახდა ეცადრებინა ოზურგეთიდან გაპარვა.

უჯმაჯურიძე თბილისიდან ძველ ნათლიმამების საშუალებით იგზავნება საგარეჯოში პატენტიან ქირურგად, საგარეჯოში ჯერ-ჯერობით უკვე მიუხარებია სამარესათვის ორი მსხვერპლი.

დაშავებული შეცდომა დაუყონებლივ უნდა გამოსწორდეს. უჯმაჯურიძემ უნდა მოიხადოს კანონით მისჯილი სასჯელი. საბჭოთა სასამართლოს გადაწყვეტილებათა სახელის გამტეხავებმა კი სასტიკი პასუხი უნდა აგონ.

იმაური.

ბოროტმოქმედება რკინის გზის საბავშო კერებში

რკინის გზის მეოთხე და მეექვსე საბავშო კერები, მისმა გამგემ ელენე ძიძიგურმა განადგურებამდე მიიყვანა. ძიძიგური სისტემატიურად ითვისებდა კერის თანხებს, სურსათ-სანოვაგეს, სპეცტანსაცმელებს, შეშა და სხვ.

იმ მიზნით, რომ ბოროტმოქმედებები დაეფარა, ძიძიგური მთელ ანგარიშებს თვითონ აწარმოებდა. ბოროტმოქმედებების დაფარვაში მას ეხმარებოდა მისი ერთგული სამნეო ნაწილის გამგე ბაქრაძე, რომელიც აგრეთვე საკმაოდ ითბობდა ხელს სახელმწიფო ქონებაზე.

საბუთების მიხედვით ძიძიგურს დღემდე გაფლანგული აქვს 4837 მანეთი, ბაქრაძეს კი 300 მანეთამდე. ამას გარდა მათ ყალბი ცნობების შედგენით მითვისებული აქვთ რამდენიმე ათასი მანეთი, რომლის საბოლოო ჯამი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. ძიძიგურს თანამშრომლებად გატარებული ჰყავს ისეთი პირები, რომლებიც კერებში ჯერ არავის უნახავს. მიუხედავად ამისა, ამ ფიქტიურ თანამშრომლებზე გაცემულია „ხელფასი“ 1140 მანეთის რაოდენობით. ცხადია, ეს ფულიც „ჩვეულებრივად“ ძიძიგურმა მიითვისა.

ძიძიგურს მარტო ფული არ აკმაყოფილებდა. იგი კერების ქონებას, ასე ვთქვათ, ნატურითაც ითვისებდა. მას კერის სამნეო ნაწილიდან წაღებული აქვს 374 კილო შაქარი, საპონი, ზეთი, ერბო, ჩაი, მაკარონი; ბრინჯი, ხახვი და სხ. ამას გარდა ძიძიგურმა და მასწავლებელ გიორგაძემ კერის საწყობიდან გაიტანის და გაინაწილეს 35 კუბიური მეტრი შეშა.

განსახკომის მთავარმა ბუღალტერმა ციციშვილმა „შეამოწმა“ ძიძიგურის ანგარიშები და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ბოროტმოქმედებები გამომჟღავნდა, ძიძიგურის საქმიანობა მაინც დამაკმაყოფილებლად სცნო. აშკარაა, ციციშვილმა დაფარა ძიძიგურის ბოროტმოქმედებები.

დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ამ უმსგავსოებათა გამოკვლევა. ძიძიგურმა და მისმა მფარველებმა სასტიკი პასუხი უნდა აგონ საბჭოთა კანონების წინაშე.

მ—ალი.

გავაუმჯობესოთ გამოცხვარი პურის ხარისხი

პურის ხარისხის გაუმჯობესების ერთთვიური დაწყებულია

20 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე მთელ საბ. კავშირში მიმდინარეობს პურის ცხობის ხარისხის გამაუმჯობესებელი ერთთვიური კამპანია. ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, ერთთვიურის ჩატარება დაიწყო 25 ოქტომბრიდან და გაგრძელდება 25 ნოემბრამდე.

საქართველოში ერთთვიურის ჩატარებას ხელმძღვანელობს საფქვავ და პურის ცხობის მუშათა პროფკავშირი, რომელთანაც გამოყოფილია ერთთვიურის ხელმძღვანელი რესპუბლიკანური შტაბი. შტაბში შედიან—საქ. პროფსაბჭოს, საქ. მუშათა და გლ. ინსპექციის, ჯანსახკომის, პურის სახელმწიფო ინსპექციის და „სოიუზხლების“ წარმომადგენლები.

თვითეულ პურის საცხობთან, ქარხანასთან და სახელოსნოსთან გამოყოფილია ადგილობრივი შტაბები და ბრიგადები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ ერთთვიურის ჩატარებას ადგილებზე. ადგილობრივ გამოყოფილ ბრიგადებს დავალებული აქვთ აგრეთვე, შეუდგნენ მუშათა წინადადებების შეგროვებას და მიიღონ ზომები საუკეთესო წინადადებათა დაუყოვნებლივ განხორციელებისათვის.

ერთთვიურთან ერთად, ამჟამად მიმდინარეობს აგრეთვე საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტების ხელახალი არჩევნები. არჩევნების სახელმძღვანელოთ ადგილებზე დაგზავნილ პროფმუშაკებს დაევალათ, ხელმძღვანელობა გაუწიონ პურის ცხობის გაუმჯობესების ერთთვიურის ჩატარებასაც.

ერთთვიურის საუკეთესოდ ჩატარებისათვის და საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტების საარჩევნო კამპანიის წარმატებისათვის, საფქვავ და პურის ცხობის მრეწველობის მუშათა პროფკავშირმა გამოყო ფულადი პრემია. ამავე კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ წინადადება მისცა ქვემდებარე ორგანიზაციებს, ფართოდ გაშალონ მუშაობა ერთთვიურის ხელის შესაწყობად და მიიღონ ზომები, რომ ერთთვიურის ჩატარებაში ჩაბმულ იქნენ მსხვილ საწარმოთა მუშები და მათი ოჯახის წევრ-დიასახლისები.

10 ნოემბრამდე ტარდება სანიტარული დეკადა

ერთთვიურის ჩატარებასთან დაკავშირებით 1-ლიდან 10 ნოემბრამდე თბილისში ჩატარებული იქნება პურის საცხობებისა და გასასყიდი დუქნების სანიტარული შემოწმების დეკადა. შემოწმებაში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ადგილობრივი ბრიგადების, ისე პურის ინსპექციის და ჯანმრთელობის ორგანოების წარმომადგენლები.

რესპუბლიკანურმა შტაბმა წინადადება მისცა ადგილობრივ შტაბებს და ბრიგადებს მოაწყონ წითელი შაბათობები პურის საცხობების გასაწმენდად და გასასუფთავებლად.

დეკადის დასასრულამდე უნდა მოხდეს აგრეთვე პურის ცხობის ტეხნოლოგიური პირობების შემოწმებაც.

სოფლის საბჭოების დაჯილდოება

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საორგ. განყ. გამგის ამხ. ბეჟანიშვილის მოხსენება მესამე გადამწყვეტი წლის სესხის საუკეთესო რეალიზაციისათვის, სოფლის საბჭოების დაჯილდოვების შესახებ.

სესხის რეალიზაციის საქმეში ენერგიული მუშაობით განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ავჭალის და წყნეთის სასოფლო საბჭოებმა. მესამე გადამწყვეტი წლის სესხის საუკეთესო რეალიზაციისათვის თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა როგორც ჯილდო გაიხსნას მიმდინარე სასწავლო წლიდან ავჭალის და წყნეთის სოფლის საბჭოებში საბავშო ბაღები. პრეზიდიუმმა დაავალა განათლების განყოფილებას დაამუშაოს ამ ორ სოფლის საბჭოებში საბავშო ბაღის გახსნის და შენახვის ხარჯთ-აღრიცხვა.

ვ. ხვიჩია.

მილიონების მიტინგი

საკავშირო რადიო—გამოძახება ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების შესახებ

ხუთ ნოემბერს ეწყობა მილიონების სრულიად საკავშირო რადიო-გამოძახება მოკავშირე რესპუბლიკების მონაწილეობით. გამოძახების ძირითადი თემაა: ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება, მოკავშირე რესპუბლიკების მიღწევები და წარმატებანი ამ სფეროში. გამოძახებაში მონაწილეობას იღებენ: მოსკოვი-ხარკოვი, მინსკი—თბილისი, ტაშკენტი და ბაქო. ყველა აღნიშნულ ქალაქებში მოეწყობა საზეიმო კრებები საუკეთესო დამკვრელ მუშათა და კოლმეურნეთა მაქსიმალური დასწრებით. საბჭოთა კავშირში ყველა კლუბებსა, წითელ კუთხეებსა და პარტაუდიტორიებში მოეწყობა მასიური კოლექტიური მოსმენა. გამოძახებაში მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენლები, რომლებიც იძლევიან პატაკს ლენინურ ნაციონალური პოლიტიკის მიღწევების შესახებ ოქტომბრის მე-14 წლის თავისათვის.

ა.-კ. რადიო ცენტრი წინადადებას აძლევს რესპუბლიკანურ რადიო-ცენტრებს და კავშირ-გამგეობის რაიონულ განყოფილებათა გამგეებს და რადიო-კვანძებს [illegible] ადგილობრივ პარტიულ საბჭოთა ორგანიზაციებთან და უზრუნველყონ ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება.

ა. კ. ცაკის პრეზიდიუმის კომისია.

პრაქტიკული ღონისძიებები კომერციულ საქონელზე ფასების შესამცირებლად

30 ოქტომბერს საქართველოს მომარაგების კომისარიატში, ფასების ბიუროსთან, შესდგა თორმეტ კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციების (სარეწაო კავშირის, საქთევზმრეწვის, სოიუზმიასოს, თბილისის საბჭოს, ზაკკოოპპროდუქტის, [illegible], საქ. აფთობა. ზაკსოიუზის ფასების ბიუროს, საქძეფრინველის და სხვა) წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა, რომელმაც დაამუშავა საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ ფასების კომიტეტის 27 ოქტომბრის დადგენილება კომერციულ საქონელზე ფასების 30 პროცენტით შემცირების შესახებ.

ფასების კომიტეტის გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის სხდომამ მიიღო შემდეგი დადგენილებები:

1. პირველ ნოემბრიდან კომერციულ საქონელზე საშუალოთ 30 პროცენტით ფასების შემცირების უზრუნველსაყოფად, სასწრაფოდ ჩატარდეს ყველა კომერციულ საქონლის აღწერა სადუქნო კომისიების მონაწილეობით; იქ, სადაც სადუქნო კომისიები არ არსებობს ჩატარებულ იქნეს ყველა კომერციულ საქონლის აღწერა—ცენტრალურ აპარატის მიერ და შედგენილ იქნეს შესაფერი აქტები. შედგენილ აქტების საფუძველზე საქონლის მიყიდვა უნდა იწარმოოს დაკლებულ ფასებში. მასიური კონტროლის გაადვილების მიზნით აღნუსხულ იქნება საქონლის ფასები და პრეისკურანტი გამოკიდებულ იქნება პირველ ნოემბრიდან თვალსაჩინო ადგილზე.

ამიერ-კავკ. მომარაგების კომისარიატმა უნდა გამოარკვიოს საკითხი: ეხება თუ არა კომერციულ საქონლის ფასების 30 პროცენტით შემცირება იმ პატარა ნებაყოფლობით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ვაჭრობენ განუსაზღვრელი ფასებით.

ფასების 30 პროცენტით შემცირება გატარებულ იქნება იმ საქონელზე, რომელზედაც არ არის სპეციალური საბიუჯეტო დანარიცხი.

ზემოაღნიშნული დადგენილებები ეცნობა სხვადასხვა კომერციულ და კოოპერატიული ვაჭრობის ორგანიზაციებს 31 ოქტომბერს ტელეფონოგრამით.

ფეხბურთი

ნორვეგია-თბილისი

29 ოქტომბერს ლენინის სახ. სტადიონზე გაიმართა მეორე შეჯიბრება ნორვეგიის ფეხბურთელთა გუნდთან, სტუმრების წინაამდეგ თამაშობდა სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხნის გუნდი. ამ დღეს ორივე მხარემ შეჯიბრებაში გამოიყვანეს თავიანთი საუკეთესო ძალები.

თამაშის დაწყებისთანავე ინიციატივა ხელთ იგდო თბილისელებმა და გადავიდნენ მძლავრ შეტევებზე, მაგრამ ნორვეგიელების მეკარის მოხდენილი თამაშის გამო ყველა იერიშები უშედეგოდ მთავრდებოდა. მთელი შეჯიბრების უკანასკნელ წუთამდი თამაშის ინიციატივა ხელიდან-ხელში გადადიოდა, ბოლოს კი თბილისელებმა ენერგიული იერიშები მიიტანეს ნორვეგიელების კარებზე და სამჯერ გაარღვიეს სტუმრების კარები, ხოლო ამ ხნის განმავლობაში სტუმრებმა ერთხელ მოახერხეს თბილისელების კარების გარღვევა.

თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 3-1 თბილისელების გამარჯვებით.

თამაშის მეორე განყოფილებაში ინიციატივა ხელთ იგდეს ნორვეგიელებმა, მაგრამ თბილისელების მეკარის პაპკოვის კარგი თამაშის მეოხებით თავდასხმები უშედეგოდ მთავრდებოდა. შემდეგში თბილისელები დაჯარიმდნენ პენალტით, ნორვეგიელებმა ორჯელ გაარღვიეს თბილისელების კარები. შეჯიბრების შედეგი თანასწორი ანგარიშით მიმდინარეობდა. ორივე მხარე იბრძოდა გამარჯვებისათვის, ჰქმნიან კრიტიკულ მომენტებს. ერთ-ერთი ასეთი კრიტიკული მომენტის დროს თბილისელებმა გაარღვიეს სტუმრების კარები, ხოლო იმავე დროს მეორედ კიდევ გაირღვა სტუმრების კარები და შეჯიბრება დამთავრდა 5-3 თბილისელების გამარჯვებით.

ნორვეგიის ფეხბურთელთა გუნდმა ორივე შეჯიბრება წააგო თბილისში საერთო ანგარიშით 10-6 თბილისელების გამარჯვებით.

ვ. ლუტიძე.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა საქართველოს სსრ კომუნალურიმეურნეობის კომისრის მოადგილედ ამხ. ანდრო სიამაშვილის დანიშვნის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილედ დაინიშნოს ამხ. ანდრო სიამაშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალურიაღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალურიაღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

თბილისი.
1931 წ. ოქტომბრის 27.

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სამსახურისათვის ქალ. ახალციხეში გადაყვანილი სარაიონო დაწესებულებათა მომუშავეებისა და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმდგომთა შემდგენილობის საბინაო საჭიროებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საცხოვრებლად გამოსაყენებელი ფართობის ჩამოსართმევად იმ მიზნით, რომ ეს ფართობი მიეცეთ სარაიონო დაწესებულებათა მომუშავეებს და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ჯარის ნაწილებისა და დაწესებულებების თავმდგომ შემადგენლობის პირებს, რომელნიც სამსახურისათვის ქალ. ახალციხეში არიან გადაყვანილი, ნება დაერთოს ახალციხის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს შეუფარდოს ქ. ახალციხეს ა.-კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 6-ის დადგენილება „რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო - საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის შესახებ“ (ა.-კ. სფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-9 №-ი, მუხ. 120), რისთვისაც უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 28-ის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია — აღნიშნული კანონის შეფარდების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-14 №-ი, მუხ. 161).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ოქტომბრის 27.
თბილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში ოთახი № 6 ამხ. ფანცულაიას კაბინეტში დღეს, პირველ ნოემბერს, სალამოს 7 საათზე მოწვეულია პარტიული კომიტეტის, პარტკოლექტივის ბიუროების და მსხვილ საწარმოთა უჯრედების თათბირი ძირითადი საამქროების უჯრედების მდივნებთან ერთად. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ორგანიზაციებიდან: შემკეთებელ ქარხანა, დეპო, სად. თბილისი, 26 კომუნართა ქარხანა, ტრამვაი, მაუდის ფაბრიკა სუხიშვილის სახ. ქარხანა; მკერავი № 1, სოიუზტრანსი, 1-ლ, მე-2 და მე-3 სტამბა აბრეშუმის ფაბრიკა, ავეჯეულობის ფაბრიკა, ტყავის ქარხანა № 1-ლი, ფეხსაცმელების ფაბრიკა, მკერავი № 2, სასაკლაო, სადნავთლური; ბამბის ფაბრიკა; 1-ლი და მე-2 თამბაქოს ფაბრიკები; სამხედრო მშენებლობა; ახალმშენი, ა.-კ. სახკომსაბჭოს მშენებლობა; ორჯონიკიძის სახ. ქარხანა; საწყობი № 24.

სტალინის სახელობის რაიკომი წინადადებას აძლევს: ჩაჩუას (ხიმკომბინატი), აბუთიძეს, პიროევს (აფთიაქის სამმართველო), ნინო ძიძიგურს (გან. მუშ. ც. გ.), ვახტანგაძეს (ზაკპროდუქტი); კუდრიავცევს (მე-47 სკოლა); მიკირტუმოვს (მე-12 სკოლა), ცომაია ნადიას (1 პედ. ტეხნ.); კობახიძეს (1-ლი პედ. ტეხნიკუმი), ქურაძეს (პედ. ინსტიტუტი), გამოცხადდნენ კულტპროპში ამხ. კაპარავასთან.

—:—

2 ნოემბერს, სალამოს 8 საათზე მარქსიზმ ლენინიზმის ინსტიტუტში (რუსთაველის პრ. 21), შესდგება ამხ. შ. დუდუჩავას მოხსენება, თემაზე: „ბრძოლა ორ ფრონტზე მუსიკის დარგში“.

—:—

სხვადასხვა

— დღეს, სალამოს 7 საათზე შესდგება სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხანასთან არსებულ დამკვრელ მუშათა სალიტერატურო წრის საერთო კრება.

სახელმწიფო საოპერო თეატრი 1931—32 წ. სეზონი.

1931-32 წ. სეზ.

დღეს, 1 ნოემბერს	ორშაბათს, 2 ნოემბერს	სამშაბათს, 3 ნოემბერს
მე-11 აბ. მე-3 წარ.	მე-15 აბონ. მე-3 წარმ.	მე 2 აბონ. მე-3 წარმოდ.
ტოსკა	**თამარ ცბიერი**	**პიკის ქალი**

წარმოდგენა იწყება სალამოს სრულ 8 საათზე. მესამე ზარის შემდეგ საყურებელ დარბაზში მისვლა არ შეიძლება. გამოცხადებული წარმოდგენების სააბონემენტო შესატანი მიიღება ყოველდღე 11-დან 2 საათამდე, ხოლო მიმდინარე წარმოდგენების სააბონემენტო შესატანი სალამოს 6-დან 8 საათამდე. აბონენტები, რომელთაც არ გადაუხდიათ მესამე მორიგი საბ. შესატ., წარმოდ. არ იქნებ. დაშვებულნი. ნ. 3009

რუსთაველის თეატრი სანდრო ახმეტელის ხელმძღვან.

1 ნოემბერს	2 ნოემბერს	4 ნოემბერს
მე-7 აბონ. 1-ლი წარმოდ.	6 აბონ. 2 წარმოდ.	5 აბონ. 2 წარმოდ.
განგაში	**რღვევა**	**რღვევა**

დასაწყისი სალ. 8 ს. მესამე ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია. ყველა წარმოდგენებზე ხაზინის ბილეთებისა დატოვებულია გასასყიდად. ბილეთები და აბონემენტები იყიდება თეატრის სალაროში. ვისაც მეორე გადასახადი არ შეუტანია წარმოდ. დაშვებული არ იქნება. ნ. 3011

სახელმწიფო დრამა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

დღეს, 1 ნოემბერს	ორშაბათს, 2 ნოემბერს	სამშაბათს, 3 ნოემბერს
წარს. სეზ. 1-ლი აბ. მე-14 წარ.	მე-9 აბონემ. 1-ლი წარმოდგ.	წარს. სეზ. მე-13 აბ. 14 წარმოდ.
ანათემ პარსკვლავანი	**როგორ**	**მოსუში ენთუზიასტი**

აბონემენტები იყიდება

წარმოდგენის დღემდე აბონენტს უნდა ქონდეს შემოტანილი მეორე გადასახადი. ნ. 3012

სახკინმრეწვ. თეატრები

ხმოვანი კინო — „ოქტომბერი“ (ყოფ. აპოლო) სეანსები: 12, 2, 4, 6-30, 8-30, 10-30 — დადგმის 4 კვირა **„სამრეწველო პარტიის პროცესი“**. პროგრამის გარეშე: დუეტი „აბესალომ და ეთერი“-დან, ურმული და სხ. შეასრულებენ ბადრიძე, ცირღილაძე და ქიაურელი.

სალამოს კინო სპარტაკი სეანსის დას. 7, 8-45, 10-30 — ი. ეგოროვა, ვ. იაროსლავცევი მხატვრულ სურათში **ბოროტი ოქრო**

დღის კინო სპარტაკი სეანსის დასაწყისი 12, 1-30, 3 ს. — მხატვრული ფილმი **სალამანდა**

როზა ლიუქსემბურგის სახელობის (ყოფ. მინიონი) სეანსების დასაწყ. 7, 8-45, 10-30 — მხატვრული ფილმი **კაცი საპატიმროდან**. პროგრამის გარეშე ს. კ. ჟ. № 54.

პალასი სეანსის დასაწ. 7, 8-45, 10-30 — მხატვრული ფილმი **სრული სიწყნარე**

კინო „დარბაზი“ სეანსის დასაწყ. 6 ს., 7-30, 9-30, 10 ს. — მხატვრული ფილმი **კაცი მარტო დარჩა** 0—23

სახ. ცირკი

დღეს და ყოველდღე
ახალ მსახიობთა დებიუტები
აგრეთვე
I ციკლის პროგრამის
გამოსათხოვარი გამოსვლები.
ტრამვაი ჩერდება ცირკთან.

დასაწყ. 8-15 წ.

5 ნოემბერს
დღის წარმოდგენა
დასაწყისი
დღის 2 საათზე.
ნ. 3013

= სია =

იმ ფილმებისა, რომელთა ჩვენება სასურველია ოქტომბრის მე-14 წლისთავისათვის.

ა. პარტია და მუშათა კლასი საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

- ჯავშნოსანი პოტიომკინი.
- რომანოვთა დინასტ. დამხობა.
- ოქტომბერი.
- რკინის ავანგარდი.
- ამერიკანკა.
- ორი ძალა.
- 1917 წელი.
- ორი ჯავშანი.
- სანქტ-პეტერბურგის აღსასრული.

ბ. სამოქალაქო ომი—ქვეყნის თავდაცვის საკითხები.

- ქალაქები და წლები.
- მკვდრების შეთქმულება.
- ჯანყი.
- ომი ომს.
- ს.ს.რ. კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალები.
- წითელი არმია ს.ს.რ. კავშირის საგუშაგოზე.
- ზღვის ტყვეები.
- ფრონტი ფრონტზე.
- იქითა მხარეს.
- ჩერვონცები.
- განსაკუთრებული შორეულ-აღმოსავლეთის არმია.
- პირველი ცხენოსანი არმია.
- ამხანაგი დირიჟაბლი.

გ. საბჭოთა კავშირის მიღწევები 14 წლის განმავლობაში.

- დღეს.
- გიგანტი.
- ზაჰესი.
- „სელმაშსტროი“.
- კერის ქარხანა.
- ენერგეტიკის რგოლი.
- „ტურქსიბ“-ი.
- ხუთწლედის პირველი წელი.
- გიგანტების პატაკს იძლევიან.
- ენერგეტიკის გიგანტები.
- ძველი ქარხანა.
- ვოლგის კომუნა.
- ორმოცი გული.
- მახომეტრი.
- ჯიმ შუანტე.
- კბილ ბაშკიროდუსტან.
- ნაირის ქვეყანა.
- შირაქი.
- „დნეპროსტროი“.
- „კუზნეცკსტროი“.
- ყურადღება გიგანტის მშენებლობას.
- კერის გიგანტი.
- უტივით დროს.

სოციალისტური მშენებლობა (მრეწველობა)

- რატომ ასე?
- ქურდი.
- ნამდვილი სიცოცხლე.
- ქარი საზღვა.
- იმპერიის ნამსხვრევი.
- რელსები გუგუნებენ.
- დამნაშავეა ქესიორე.
- ჰეგემონი.
- რკინის ბრიგადა.
- კაცი ზღვაში გადავარდა.
- დაიხსომეთ მათი სახე.
- მხიარული ბიჭები.
- ძმა ბიჭი.
- თორმეტი ოცდახუთი.
- ოქრო თებქვე.
- კოკტასი.
- შეტევა.
- ფოლადის გზა.
- ქარბებიდან.

(სოფლის მეურნეობა)

- მიწას სწყურია.
- მეზღვაური ივანე გალაი.
- გასაგები შეცდომა.
- მეორე ნაბიჯი.
- მობრუნება.
- შუადღე.
- ნზის ლაშქრობა.
- სტანიცა დალნაია.
- ძველი და ახალი.
- ზღვის მძვინელები.
- ყინულის მტრელი.
- ვოლგის კომუნა.
- „გი ანტი“.
- ორი გიგანტი.
- შორს აღმოსავლეთში.
- ველის მარგალიტი.
- კიდევ ერთი ფურცელი.
- მიწის იერიში.
- მშვენიერი მუხუდო.

ეროვნულ უმცირესობათა ბრძოლა თავის განთავისუფლებისათვის.

- გაჯი ყარა.
- ცისფერი წავი.
- ჯიმ შუანტე.
- ხევსურეთი.
- აინა.
- წმინდანის ქალიშვილი.
- შურის მაძიებელი.
- ქვეყნის შვილი.
- შორს აღმოსავლეთში.
- სამი ალუმი.
- ცეცხლი.
- ჭაგუბზიარა.
- ტალიში.
- ირმის მხედარი.
- ივერია.

ინტერნაციონალური აღზრდა

- ბორისლავი იცინის.
- გიგანტების ბრძოლა.
- ქარდი.
- ჰამბურგი.
- ჯიმი ხიგინს.
- ხვალამდის.
- სიძულვილი.
- მოჩვენება, რომელიც არ ბრუნდება.
- რუბიკონი.
- ბედნიერი კენტი.
- ისინი, ვისაც თვალი აეხილა.
- ერის დრომა.
- ცისფერი ექსპრესი.
- ბედნიერ ნავთსადგურისკენ.
- შანხაის დოკუმენტი.
- სრული სიწყნარე.

ყოფა-ცხოვრების რეკონსტრუქცია, ქალის განთავისუფლება, მისი დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე.

- სიცოცხლე მის ხელში.
- მტკიცე ხასიათი.
- არ მინდა ბავშვი.
- ნათელი ქალაქი.
- სასამართლოს სხდომა უნდა გაგრძელდეს.
- ჩვენი ქალიშვილები.
- სალორის ვარდი.
- ერთ მწკრივში.

ნ. 2082 **საქართველოს სახკინმრეწვი.**

ორშაბათიდან
2 ნოემბრიდან
კინო-თეატრ
პალასში
ვ. კუინზი.
ფერდინანდოვი.
შტრაუხი
მხატვრულ სურათში
ცეცხლოვანი
რეისი
ნ. 3010

დავკარგე
საქ. სამთო-მადნო პ. ძ. გლაუბერის მარილის ქარხნის პროფ-რწმუნებულის ბეჭედი.
8806

ვეძებთ
ძიძას
ლენინის ქ. № 3, ბინა № 3.
არჩვაძე.
8836

მალე

ახალი ხმოვანი და მოლაპარაკე ფილმი

ერთი მრავალთაგანი

ნ. 3010

კ. ი. ჯალალოვი

ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) ხიფილისი, შეხბაკუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით 8—9 ს. სალამოს 6—9 საათ. ქალების და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე, მისამართი: კამოს ქუჩა № 19, ყოფილი დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედანის მახლობლად ნ. 65—1.

4328 25—4

მათემატიკოსი
უმაღლესი ცენზით,
მოკლე ხანში ასწავლის,
მათემატიკას
ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, არითმეტიკა და ამზადებს მოწაფეებს უმაღლეს, სასწავლებლებისათვის 7 წლედის და ხიმწიფის მოწმობაზე მუშფაკისათვის, მუშათა უნივერ.. საბუღალტ. კურსებზე შესასვლელად და
მოანგარიშ. თანამდებობაზე
ასწორებს აგრეთვე სუსტ მოწაფეებს პლეხანოვის გამზირი № 25 (შესავალი ჩერნიშევის 5. ალექსის კუთხიდან). 3 —7 ს.
8850

1-ლ ნოემბერს, სალამოს 7 საათზე, ქალ. თბილისში, შ. რიტაძის ქუჩა № 2, მოწვეულია
საზ-ბა „წერა-კითხვა“-ს ცენტრალური გამგეობის
გაფართოებული პლენუმი
დღის წესრიგი:

1. ც/გამგეობის პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება.
2. თანამოხსენებები ავტონომიურ რესპუბლიკების გამგეობებისა.
3. საქ. განათლების სახკომის მოხსენება წ/კ. უც. ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

პლენუმს უნდა დაესწრონ გარდა ც/გამგეობის წევრებისა ადგილობრივ გამგეობების თავმჯდომარენი ან პ/მგ. მდივნები.

2—28771

სტალინის რაიონის რეალიზაციის ინსპექტორი
ა-წ. 2 ნოემბერს, დილის 11 საათზე ნიშნავს
საჯარო ვაჭრობას
მოქ. ხელაშვილის ღვინის სარდაფის ქონებისას, სახელმწიფო დავალიანების ასანაზღაურებლად, კალინინის ქ. № 14-ში.
ცნობების მიღება შეიძლება თბილისის შენობაში ოთახი № 62.
ნ. 3008 ინსპექცია.

ა-წ. 2 ნოემბერს. სალამოს 7 საათზე, ვოროშილოვის სახელობის კლუბში (კომინტერნის ქ. № 5)
შესდგება
თბილისის მ. გ. და წით. არმ-თა დეპუტატების მე-9 მოწვევის
საბჭოს მე-9 პლენუმი
დღის წესრიგი:

1. სასოფლო საბჭოების 20 დღიურის დათვალიერების შედეგები (მომხ. ამხ. ჩხარტიშვილი).
2. დაფინანსების ახალი წესი (მომხ. საფინგანიდან).
3. ტულის მუშების მომართვა მუშათა მომარაგების საკითხზე. (მომხ. ამხ. ციბაძე).

საბჭოს წევრების და მომაგრებული აქტივის დასწრება აუცილებელია.

ნ. 3014 2-5 თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

საქ. პროლეტარულ სასპორტო საზოგადოება
„დინამო“
აცხადებს ყველა დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ, რომ ა.-წ. 1 ნოემბრიდან იგი 10 პროცენტით დაუკლებს ფასებს ფოტოსაქონელზე. ბითუმად მყიდველებს მიეცემათ შეღავათი 15-დან 20 პროცენტამდე.
2—1 8791 საქდინამოს სავაჭრო სექტორი.

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: ბიძა არსენ, ბიცოლა ვარდო, ბიძაშვილები: ოლია დარეჯანი, გრიშა, ანიჩქა, პატარა ციალათი, სიძე მარკო მარგიშვილი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სიცოცხლით სავსე უსაყვარლესი აგრონომი

ერმილე მათეს-ძე მელუა

ნ. 3006

უახლოესი ამხანაგები: ლამარა ჯანელიძე, ილია თალაკვაძე, ვახტანგ ლომინაძე, მიშა გუგუნავა, თედორე ბერიძე, სიმონ შუბლაძე, ვარლამ გოგელია, დიმიტრი შარაშენიძე აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი ამხანაგის აგრონომ

ერმილე მათეს-ძე მელუას

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 3006

დამწუხრებული მეუღლე აქვსენტი, შვილი ილო, რძალი თამარა ტერელაძეები იუწყებიან, რომ 28 ოქტომბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი

ივდითი ივანეს-ას. პაპავა-ტერელაძისა

დაკრძალვა მოხდა 30 ოქტომბერს სამტრედიაში. ნ. 3004

ევა ამირაჯიბისა, დავით, გიორგი ოჯახებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარი

მაკრო იოსების ასულის პაიჭაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 1-ლ ნოემბერს 4 ნახ. საათზე. ნინოშვილის ქ. № 21. 8813

ულახლვრო მწუხარებაში მყოფნი: მშობლები ვლადიმერი და სარაძმიდა ნინა, ძმები: აქვსენტი და ლეონიდე, დები: ქსენია ლიუცია და ზოია, რძალი ანიჩკა, ძმისშვილები იუზა და ნუნუ იუწყებიან, რომ მათთვის დაუვიწყარი

მანია ვლადიმერის ასულ კოპალეიშვილის

ხსოვნის ალსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 5 ნოემბერს, სოფ. ქაჯანში. 8834

თბილისის რკინის გზის საქონლის სადგურის მუშა-მოსამსახურენი ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე სადგურის უფროსის სერგო ალექსანდრეს ძე თუმურაშვილის მამის

ალექსანდრე იოსების-ძე თუშურაშვილის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა სოფ. კავთისხევში. 8820

მეუღლე ოლღა შვილებით: ანდრო, ნინა, მერი და გოგით იუწყებიან, რომ გარდახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

იოსებ მიხეილის-ძე ლომიძის

ხსოვნის ალსანიშნავად დღეს, 1-ლ ნოემბერს, 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 8819

სამუდამოდ გაუბედურებული ცოლი ნატო, შვილები: ალექსანდრე, ვასილი, ქსენაფორი, ვასა, მექი, სანდრო, გედევანი, ლენა ხოდარი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 5 ნოემბერს განახლებაში (გურია) დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ და მათი ნუგეშის

ვარდენ გლახუნის-ძე ზამბახიძის

ხსოვნის ალსანიშნავად ნ. 3005

დღეს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

ეკატირინე იოსების ასულ ოქრუაშვილი-ყიფიანის

ხსოვნის ალსანიშნავად, რასაც იუწყებიან გულმოკლული და ელისაბედი მეუღლე იოსებით და შვილები: მიშა. ნინა, ალექსანდრე, თამარი ქაჩიაშვილები. 8814

დამწუხრებულნი აღმზრდელნი: ლოლა და ბაქო მოისრათიიშვილები იუწყებიან, რომ კვირას 1-ლ ნოემბერს 5 სათზე, კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ჰიდრო-ტეხნიკუმის მე-4 კურსის სტუდენტის

თამარა მარშანიშვილის

ხსოვნის ალსანიშნავად. 8691

ანა, ნიკოლოზ, ლევან და ქეთო ყავრიშვილები. ეკატირინე ციციშვილი, მარიამ რატიშვილისა, ქეთო პაპაიშვილი ელიკოთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარი

მაკრო იოსების-ას. პაიჭაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 1 ნოემბერს, ნინოშვილის ქ., 21. 4 ნახ.

დამწუხრებული მშობლები: გრიშა და ლენა, ბიძები: ლეონიდე თავისი ოჯახით, მიშიკო ცოლით, კოლია და სანდრო. მამიდები: ქსენია, იულია, ბებია მატა ჯიბვაძეები, ბაბუა ოხეფრე, ბებია მაშიკო ენდელაძეები იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პატარა საყვარელი

ამლეტი (კიკაია) ჯიხვაძე

დასაფლავება ბაღდადში. 8823

უსაზღვროთ დამწუხრებული შვილი მერი, სიძე დავითი, შვილებით ეთერით და კიაზოთი კვიციანაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი პირველის დედა, მეორეს სიდედრი, ხოლო დანარჩენთა საყვარელი ბებია

ოლღა ბესარიონის ას. იაშვილისა

დაკრძალვა 1 ნოემბერს, სოფ. ძეგვში. 8809

მწუხარებაში მყოფი შვილები ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ჩვენი ძვირფასი ძმობლების

დედა პელაგია ლეჟავასი

და მამა პეტრე ლეჟავას

ხსოვნის ალსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 3 ნოემბერს ქუთაისში, სალამოს 5 საათისათვის. 8832

დამწუხრებული მშობლები: ფილიმონი, ქრისტინა, და მარია, ძმები: ხეკტორი, ილია და ვაჟიკო იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი თბილისის სას. სამ. ინსტიტუტის 1-ლი კურსის სტუდენტი

ნადია ფილიმონის ასული ნადირაძე

დასაფლავება 3 ნოემბერს სოფ. ვანში. 8807

გულმოკლული მეუღლე ალექსანდრე, შვილები: მიშა ცოლშვილით ნატაშა პატარა ჯიოკონდათი, მაკრო და ელენა იაშვილები იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ოლღა ლასხიშვილის ას. იაშვილისა

დაკრძალვა 1-ლ ნოემბერს სოფ. ძეგვში. 2—2 8803

ბარბალე, ნინო, არჩილი, ვახტანგ ქართველიშვილები და ვერა მიქაბერიძისა ოჯახობით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი დეიდა

მაკრინე ყავრიშვილი-პაიჭაძე

გამოსვენება ნინოშვილის ქუჩა № 21 დღეს, 4 საათზე. 8805

მწუხარებაში მყოფნი: ცოლი მერი ნიკოლოზის ასული, დედა ნინა, ძმები: გიორგი, ივანე ოჯახობით და იულია გაბუნიები იუწყებიან ძვირფასი

ალექსანდრე სამსონის-ძე შენგელიას

გარდაცვალებას. დასაფლავება 1 ნოემბერს, სოფ. ჭაგანში 7 საათზე. 8827

ღრმად დამწუხრებული შვილი ლეო გაბუნია იუწყება, რომ გარდაიცვალა საყვარელი მამა

ფარნაოზ ბეჟანის-ძე გაბუნია

გამოსვენება კამოს საავადმყოფოდან დღეს, 1-ლ ნოემბერს 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 8850

შვილები: დემნა, ლეო, ნინო და კალისტრატე, სიძე ვასო ვერულა შვილი და შვილიშვილი ლეილა აუწყებენ ნათესავებსა და მეგობრებს, რომ ვერის ახალ სასაფლაოზე ნოემბრის 1-ლს, 5 საათზე, შესდგება

კონსტანტინე დავითის-ძე შენგელაიას

ხსოვნის ალსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი. 8838

ა/კ. სატყეო და ხის დამამუშავებელ მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციის ბიურო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს სექციის წევრის, ახალციხის სატყეო მეურნეობის მეტყევე-ინჟენერის

სერგო მოსეს-ძე სტურუას

ტრაღიკულად დაღუპვის გამო. 8845

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ექიმები: დარეჯანი და ჯონდი, ბაბუა ალექსი, მამიდები: შუშუ და ძუკუ კაკუბერები და სიძე ვიქტორი კობახიძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ოთარიკო

დაკრძალვა ახალსენაკში კვირას, 1-ლ ნოემბერს. 8846

თავზარდაცემული დეიდა ოლია, ბიძა ირაკლი, დეიდაშვილები ნათელა და ნაზი დოლიძეები, დეიდები ვერა და მარო მელქაძეები იუწყებიან ძვირფასი დისშვილის

აგრონომ სერგო (სერიოჟა) სტურუას

ტრაღიკულად გარდაცვალებას. 8847

გულდამწვარი შვილი სოფიო ალხაზიშვილი შვილებით: თამარა და ქეთოთი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ გარდაიცვალა მათთვის მუდამ დაუვიწყარი, პირველის დედა და მეორეთა საყვარელი ბებია

ოლღა ბესარიონის ას. იაშვილისა

დაკრძალვა 1-ლ ნოემბერს, სოფ. ძეგვში. 88 9

ღრმად დამწუხრებულნი: ბებია მარიამი, ბაბუა ერმილე, დეიდა თამარი, ბიძები: სიმონი, გიორგი, ანტონი, სევერიანე, ბესარიონი, ალექსანდრე, ვალოდია და შოთა, ბიცოლები: თამარი, იულია და მილიცა, ბიძაშვილები: კოლია, დიმა, კირილე და ვახტანგი თაყაიშვილები იუწყებიან, რომ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ოთარი კაკუბერი 8846

დამწუხრებული ცოლი ნინა, შვილი გიზო; ცოლისძმები: მალვა, ივანე, ლადო პაპალაშვილები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს რომ დღეს, 5 ს., ავლაბრის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ცხ. ლეგ. მეთაურის

თეოფილე ივანეს-ძე ბუქიას

ხსოვნის ალსანიშნავად. 8848

გაუბედურებულნი დედ მამა ანეტა სპირიდონის-ასული და მოსე ესტატეს-ძე სტურუები შვილებით: გალიიათი და ტუშათი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ახალციხეში ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

სერგო (სერიოჟა) სტურუა

დასაფლავება ქ. სამტრედიაში სამ ნოემბერს 4 საათზე. 8852

სამუდამოდ გულმოკლული მეუღლე: გრიგოლ. შვილები: იულია და ვალიკო, დედა ლიზა, ძმები ლადო და გრა [illegible], დები მარო და ნადია მეუღლითურთ ულრმეს მადლობას უცხადებთ ვინც გაიზიარა ჩვენი მწუხარება პირადი მოსვლით თუ წერილობით ძვირფას

იერია ვადაჭკორია-ელენტის

დაკარგვის გამო. 8854

ღრმად და წუხებული დედა მარიამი, და ოლია შვილებით და ძმა სანდრო ოქრუაშვილი მეუღლე ლობათი იუწყებიან, რომ დღეს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

ეკატირინე იოსების ასულ ოქრუაშვილი-ყიფიანის

ხსოვნის ალსანიშნავად. 8814

გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის სტამბა

მთავლიტი № 274